პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

წელიწადი მერვე

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდო მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან და მის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგეს 18—30.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპ., № 34, ტელეფონი № 8—81.
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.
განცხადებები: საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ— ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ღირრება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

დღიური

— გერმანიაში მოითხოვენ ნანკინის მთავრობის ცნობას.
— 2 აგვისტოს ვენაში დაკრძალეს საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენლის (ავსტრიაში) ამხ. ბენჩინის ნეშტი.
— ლორდთა პალატა კელოგის პაქტის შესახებ.
— დამთავრდა ანტვერპენის მეზღვაურთა გაფიცვა.
— გლეხურ-დემოკრატიული კოალიციის კონფერენცია ზაგრებში (სამხრეთ-სლავია).
— საბჭოთა კრეისერი „ავრორა“ ნორვეგიის წყლებში.
— შვებულებიდან დაბრუნდა ამხ. ლიტვინოვი.
— განაჩენი გლეხკორ ბალდასაროვის საქმეზე.

შაბათი, 4 აგვისტო 1928 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 179 (2222)

კომუნისტი
გრძელდება ხელისმოწერა აგვისტოსათვის
კანტორა—რუსთაველის პრ. № 34. ტელეფ. 8—81.

ომის საფრთხე და სოც.-დემოკრატია

14 წლის წინედ, 1914 წ. 4 აგვისტოს, გერმანიის სოციალ-დემოკრატიამ ხმა მისცა ვილჰელმის მთავრობის მიერ რეიხსტაგში წარდგენილ სამხედრო ბიუჯეტს. სამშობლოს დაცვის სახელით იგი გვერდში ამოუდგა გერმანიის ბურჟუაზიას და მთელი მსოფლიო ომის განმავლობაში ყოველ ღონეს ხმარობდა, რომ მუშათა მასების სიცოცხლე მსხვერპლად მიეტანა „მშობლიურ“ კაპიტალისტების ინტერესებისათვის. ასევე მოიქცნენ დანარჩენი ქვეყნების სოციალისტები: მათაც არა ნაკლები ენერგია გამოიჩინეს „თავის ბურჟუაზიის“ დასახმარებლად და ხოცვა-ჟლეტაში მშრომელთა ჩასაბმელად. ამგვარად, მსოფლიო ომის დასაწყისიდანვე მეორე ინტერნაციონალმა გამოაშკარავა თავისი სრული გაკოტრება და მოღალატური ბუნება, დაფხრიწა კლასთა ბრძოლის და პროლეტარიატის ინტერნაციონალურ სოლიდარობის დროშა და სამაგიეროდ აღმართა დროშა სამოქალაქო ზავის, კლასთა „თანამშრომლობის“. ზოოლოგიური ნაციონალიზმის.

მხოლოდ მეორე ინტერნაციონალის მემარცხენე ფრთამ, ამხ. ლენინის მეთაურობით, იხსნა სოციალისტური მოძრაობა სირცხვილისაგან, მხოლოდ ის იდგა მედგრად თავის რევოლიუციონურ მოვალეობათა სიმაღლეზე. ამხელდა ერთი მხრით შეუბრალებლად მეორე ინტერნაციონალის პარტიების უმაგალითო გამცემლობას, მეორე მხრივ მოუწოდებდა საერთაშორისო პროლეტარიატს სოლიდარობისაკენ და იმპერიალისტურ ომის სამოქალაქო ომად გადაქცევისაკენ.

მსოფლიო ომის დაწყებისას და მის განმავლობაში იმპერიალისტები და მათთან ერთად მოღალატე სოციალ-დემოკრატები აცხადებდნენ, რომ ეს იქნებოდა უკანასკნელი ომი კაცობრიობის ისტორიაში, რის შემდეგ უნდა დამდგარიყო მუდმივი მშვიდობიანობის ხანა. რა თქმა უნდა, ეს იყო მასების მოტყუილება. 14 წელმა განვლო მსოფლიო ომის დაწყებიდან და თუ ბოლო დრომდე ჩვეულებრივ ლაპარაკობდენ ომის შემდეგ დროის პერიოდზე, ეხლა ჩვენ გვიხდება ლაპარაკი ახალი ომის წინა დროის პერიოდზე. ახალი მსოფლიო სისხლის ღვრის საშიშროება მეტად რეალურია. არც შეიძლებოდა სხვანაირად ყოფილიყო. 1914—18 წლების ომმა ცხადია, ვერ მოსპო ის მიზეზები, რომლებმაც იგი გამოიწვიეს, პირიქით—მან წარმოშვა ახალი მიზეზები, უფრო გაღრმავა კაპიტალისტური სახელმწიფოებს შორის ინტერესთა წინააღმდეგობანი, რასაც არ შეიძლება არ მოჰყვეს გაცილებით უფრო საშინელი კატასტროფა, ვინემ კაცობრიობამ 1914—18 წლებში განიცადა.

ომში დამარცხებული და დაჩაგრული ქვეყნები რევანშისათვის ემზადებიან. ძლიერდება ბრძოლა გასაღების და ნედლეულის ბაზრებისათვის, კოლონიების დაპყრობა-გადანაწილებისათვის, ეკონომიური და პოლიტიკური ჰეგემონიისათვის. ინგლის-ამერიკის მეტოქეობა მსოფლიო პირველობისათვის, ამერიკა-იაპონიის ბრძოლა შორეულ აღმოსავლეთში ბატონობისათვის, იტალია-საფრანგეთის, ინგლის-საფრანგეთის წინააღმდეგობანი და მრავალი სხვა გვეუბნება ომის საფრთხის მოახლოებაზე. მთელი კაპიტალისტური მსოფლიო წარმოადგენს თოფის წამლის საწყობს, რომელიც ამა თუ იმ შემთხვევის გამო ყოველ წუთს შეიძლება აფეთქდეს. განა ამას არ მოწმობს, მაგ., პოლონეთ-ლიტვის კონფლიქტი, პოლონეთის იმპერიალისტების ეხლანდელი სამხედრო მანევრები. იმპერიალისტური ქვეყნები აშკარად ემზადებიან ომისათვის. ძალთა გადაჯგუფება და სამხედრო კავშირების სისტემა, შეიარაღების და სამხედრო ბიუჯეტის ზრდა, რასაც იქ ადგილი აქვს, ამ მხრივ არავითარ ეჭვს არ სტოვებს.

იმპერიალისტები ომისათვის ემზადებიან არა მარტო ერთიმეორის, არამედ პირველ ყოვლისა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, რომლის არსებობა თავისთავად ძირს უთხრის კაპიტალისტურ წყობილებას და მძლავრ რევოლიუციონურ ფაქტორს წარმოადგენს. ერთიანი ანტისაბჭოთა ფრონტის შექმნის ცდა, ჩვენი დასავლეთის მეზობლების (პოლონეთი, რუმინეთი) აგრესიული გამოსვლები საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ და მრავალი სხვა ჩვენ სიფხიზლისაკენ მოგვიწოდებს.

როგორია ასეთ პირობებში საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიის პოზიცია, მისი დამოკიდებულება ომის საფრთხისადმი. ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ ომის ატეხის შემთხვევაში იგი კვლავ განიმეორებს იმ სამარცხვინო როლს, რომლის შესახებ ზევით გვქონდა ლაპარაკი. სოც.-დემოკრატები ქადაგებენ, რომ ომის საშიშროება თითქო კომუნისტების გამოგონილი იყოს და ნამდვილად კი ჩვენ ვცხოვრობდეთ მშვიდობიანობის ხანაში; ისინი ქადაგებენ „ზეიმპერიალიზმის“ თეორიას, კაპიტალისტურ წინააღმდეგობათა მშვიდობიანი გზით დაძლევის თეორიას. ამავე დროს მენშევიკები ხოტბას ასხამენ იმპერიალისტების თვალთმაქცურ პაციფისტურ ორგანიზაციებს და ნაბიჯებს (ერთა ლიგა, ლაყბობა განიარაღებაზე, კელოგის პროექტი და სხვ.). ამნაირად სურთ მათ მიაძინონ მასების სიფხიზლე. რა თქმა უნდა, მუშათა კლასზე გავლენის შესანარჩუნებლად სოციალ-დემოკრატები ხანდიხან რევოლიუციონურ სიტყვიერებასაც მიმართავენ ომის შესაძლებლობასთან ბრძოლის შესახებ. ამისათვის მათ ჰყავთ „მემარცხენე“ ფრაზების ოსტატები. უნდა ითქვას, რომ მეორე ინტერნაციონალის „მემარცხენე“ ელემენტები ყველაზე უფრო საშიში არიან პროლეტარიატისათვის, რომლის ჩამორჩენილი ნაწილი კიდევ შეიძლება მათ ანკესზე წამოეგოს. მეორე ინტერნაციონალის პარტიების დახასიათების სისრულისათვის საჭიროა ხაზგასმით აღინიშნოს აგრეთვე მათი მტრული კამპანია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, რაშიაც ისინი ხშირად ბურჟუაზიასაც აჭარბებენ.

აქედან — კომუნისტური ინტერნაციონალის მოვალეობაა გააძლიეროს სოციალ-შეთანხმებელთა მხილება, გააასკეცოს ბრძოლა ომის საფრთხესთან. ამისათვის ნიადაგი საკმაოდ ხელსაყრელი არსებობს. მუშათა მასებისათვის მსოფლიო ომის გაკვეთილებს და შემდეგ დროინდელ ამბებს ტყუილად არ ჩაუვლიათ. მათი გამემარცხენების პროცესი უდავო ფაქტია. ისინი იგებენ ომის საშიშროებას და მის ასაცილებლად თავის რიგების შემჭიდროებას ახდენენ. და თუ იმპერიალისტური ომი მაინც ატყდება, მისი გადაქცევა სამოქალაქო ომად და მუშათა კლასის საყოველთაო აჯანყების მოხდენა — აი, საითკენაა მიმართული კომინტერნის მთელი მუშაობა. მისი ეხლანდელი კონგრესი, რომლის საქმიანობა ასერ გააფთრებას იწვევს იმპერიალიზმში, მოწმობს, რომ მას ამ მიზნის მისაღწევად ძალა შესწევს.

პურის დამზადების დასაწყისი

1928-29 წლის პურის დამზადების კამპანია საკმაოდ ხელსაყრელ პირობებში დაიწყო. ცეკას ივლისის პლენუმის რეზოლიუციას — „პურის დამზადების პოლიტიკა საერთო სამეურნეო მდგომარეობასთან დაკავშირებით“ — და საბჭოთა კავშირის უმაღლესი ორგანოების სათანადო დადგენილებებს (საგანგებო ზომების გაუქმება, დასამზადებელი ფასების აწევა, ღონისძიებანი კონტრაქტაციის დარგში) დიდის თანაგრძნობით ხვდებიან ღარიბ და საშუალო გლეხთა ფართო მასები. პურის დამზადებას ხელს უწყობს აგრეთვე მოსავლის კარგი პირი (ამის მაჩვენებლები მტკიცეა). ყოველვე ამის შედეგია ის, რომ პურის დამზადების კამპანიის პირველი კვირა გვიჩვენებს პურის დამზადების ძლიერ ზრდას (სხვათა შორის უნდა აღინიშნოს, რომ დასამზადებელ პუნქტებში შეტანილი ახალი მოსავლის პური მაღალი ხარისხისაა). მშვენივრად გამოცოცხლდა პურის ადგილობრივი ბაზრები, სწრაფად ეცემა მარცვალი პურის ფასი მრავალ რაიონში და სხ.

მაგრამ დადებით გავლენებთან ერთად პურის დამზადების კამპანიას ცალკე რაიონებში აქვს არსებითი ნაკლი. რომელიც თუ თავის დროზე არ იქნა აცილებული,—საგრძნობლად შეუშლის ხელს პურის დამზადების კამპანიის წარმატებით ჩატარებას.

მთლიანი ფრონტით გამოსვლის ნაცვლად, გაერთიანებული და შეთანხმებული მოქმედების ნაცვლად, პურის დამზადების კამპანიას, დასაწყისშივე მრავალ რაიონებში ადგილი აქვს კონკურენციის შემთხვევებს, რომლის გამართლებაც არაფრით არ შეიძლება. ჩრდილო-კავკასიის ოლქის ცალკე რაიონებში ურთიერთობა „სოიუზხლებსა“ და სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის სისტემას შორის იმდენად გამწვავდა, რომ ელევატორების გვერდით პარალელურად აწარმოებენ პურის მიღებას, გლეხებს „გზაშივე უხვდებიან“, რათა ერთმანეთს დაასწრონ პურის შესყიდვა და სხ. ასეთივე ცნობები მოდის სხვა ადგილებიდანაც.

ამ შემთხვევაში, რასაკვირველია, ბევრი რამ არის დამოკიდებული მომწესრიგებელი ორგანოების მუშაობაზე. მხოლოდ ადგილობრივ სავაჭრო განყოფილებათა ცუდი მუშაობით შეიძლება აიხსნას, მაგალითად, ის, რომ ბუგურუსლანის კოოპერატიულმა ცენტრებმა წამოაყენეს წინადადება თავიანთ სისტემების ორგანოებში დაამზადონ მთელი პურის მარაგი. რასაკვირველია, ყოველი სისტემის ქვედასაფეხურის უჯრედი ამ დირექტივის მეოხებით შეეცდება დაამზადოს მთელი პურის მარაგი და თავის მუშაობას დამზადების დარგში არ შეუთანხმებს სხვა სისტემის პერიფერიულ ორგანოს მუშაობას.

ამ დეფექტებს უშუალოდ უკავშირდებიან დეფექტები, რომლებსაც ადგილი აქვთ პურის დამამზადებელი რაიონებისათვის სამრეწველო საქონელის მიწოდების დარგში. აქაც მეორდებიან იგივე დეფექტები, რომელთა შესახებაც ბევრი დაიწერა და ითქვა წარსული კამპანიის დროს. სამრეწველო საქონელი ჯერ კიდევ საკმაო ტემპით არ მიდის ადგილებზე. ამგარიშის გასწორების დოკუმენტების გადაგზავნა ხადახან გვიანდება ერთ კვირით ან მეტი ხნით (ვიატკის „გუბსოიუზმა“, მაგალითად, ანგარიში მიიღო 16 დღის შემდეგ დღიდან საქონლის მიღებისა). ჯერ კიდევ დამაკმაყოფილებელი არ არის საქონლის ასორტიმენტი და ყოველთვის არა გვაქვს გათვალისწინებული ამა თუ იმ რაიონის თავისებურებანი.

თუ აღნიშნულ დეფექტებს მივუმატებთ იმას, რომ მთელ რიგ რაიონებში კონტრაქტაციის ღონისძიებანი საკმაოდ არ არის შეთანხმებული პურის დამზადებასთან, საწყობები სათანადოდ არ არის მოწყობილი, დავინახავთ, რომ ეხლავე, კამპანიის დასაწყისშივე ზოგიერთ ადგილებში მეორდება იგივე დეფექტები, რომლებსაც ადგილი ქონდა წარსულ წლებში, რომ, ალბად, პარტიული და საბჭოთა ორგანოები ადგილობრივ ჯერ არ აქცევენ ჯეროვან ყურადღებას ეხლანდელ კამპანიას და რომ წარსული კამპანიების გაკვეთილები არ არის მიღებული მხედველობაში.

ამას აუცილებლად უნდა მოეღოს ბოლო. მიმდინარე წლის პურის დამზადების კამპანიამ არ უნდა განიმეოროს წარსული კამპანიის შეცდომები. ცეკას ივლისის პლენუმმა მოუწოდა პარტიის ყველა ორგანიზაციას და ყველა კომუნისტს „მთელი ძალღონით შეუწყონ ხელი პარტიის პოლიტიკის წარმატებით გატარებას პურის დამზადების დარგში“. ამ მოწოდებამ სათანადო გამოხმაურება უნდა ჰპოვოს პარტიის რიგებში: პურის დამზადება სრული წარმატებით უნდა ჩატარდეს.

„პრავდა“, 3 აგვისტო.

პოლონეთი ლიტვაზე გასალაშქრებლად ემზადება

პოლონეთის ჯარების გადაჯგუფება შიშს იწვევს გერმანიაში

ინგლის-საფრანგეთის შეთანხმება საზღვაო შეიარაღების შესახებ

ამერიკის მთავრობა წინააღმდეგია ამერიკელ მოქალაქეთა ექსტერიტორიალობის უფლებათა გაუქმების ჩინეთში

პოლონეთ-ლიტვის კონფლიქტი

პოლონეთის ჯარების გადაყვან-გადმოყვანა

პარიზი, 2 აგვისტო. „ჩიკაგო ტრიბიუნ“-ის ბერლინელი კორესპონდენტი იუწყება, რომ გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროში სერიოზული შიში გამოიწვია გერმანიის საელჩოს საიდუმლო მოხსენებამ, რომელიც მიღებულია პოლონეთიდან. ამ მოხსენებაში ნათქვამია, რომ პოლონეთში სწარმოებს ჯარების გადაყვან-გადმოყვანა, რომ ჯარებს დაურიგდათ საომარი მასალის გადიდებული კომპლექტი, რომ ხელისუფლებამ პოლონეთში გამოაცხადა ისეთი წესები, რომლებიც საალყო წესებს უახლოვდებიან და რომ საზღვარი ნაწილობრივ დაკეტილია.

დღეს გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა გამოიწვია პოლონეთის ელჩი ბერლინში და, ლიტვის საზღვარზე სამხედრო მოქმედების თავიდან ასაცილებლად ენერგიულად გააფრთხილა იგი.

საგარეო საქმეთა სამინისტრო ძალზე შეშფოთებულია პილსუდსკის 30 ივლისის განცხადებით: **„მე კოვნოზე გავილაშქრებ არა უგვიანეს სექტემბრისა,—სთქვა პილსუდსკიმ.—თუ ამის შემდეგ ლიტველები შეადგენენ ისეთ მთავრობას, რომელიც ხელაღებით უარყოფს ყოველგვარ პრეტენზიას, მაშინ შეიძლება უკან გამოვიწვიო ჯარი“.** („ჩიკაგო ტრიბიუნ“-ის კორესპონდენტი არ აღნიშნავს, თუ სად და რა პირობებში სთქვა პილსუდსკიმ ეს სიტყვები, რომელთა შესახებაც დღემდე არაფერი ვიცოდით).

ამ განცხადებას გერმანიაში სერიოზულ ანგარიშს უწევენ, რადგან მარშალ პილსუდსკიმ უბრძანა მსროლელებს შეიკრიბონ 12 აგვისტოს ვილნოში. მსროლელთა წარმომადგენელი უკვე ვილნოშია და ამზადებს ბინებს 40.000 კაცისათვის. გერმანიის მთავრობა დარწმუნებულია, რომ **პილსუდსკის განკარგულებაში 40.000 შეიარაღებული კაცია, რომელიც მზად არიან გაილაშქრონ პილსუდსკის წინამძღოლობით.** გერმანელები ფიქრობენ, რომ კოვნოს დაპყრობის შემდეგ პილსუდსკი დაიპყრობს აღმოსავლეთ პრუსიას. ამიტომ ისინი ყოველგვარ ზომებს მიმართავენ, რათა ხელი შეუშალონ ლიტვის დაპყრობას.

2 აგვისტოს ბერლინიდან პარიზში გაემგზავრა გერმანიის მთავრობის სპეციალური დესპანი საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროსთან მოსალაპარაკებლად. მას დავალებული აქვს სთხოვოს საფრანგეთს დახმარება ევროპის მშვიდობიანობის დაცვაში. (ადს)

ვოლინის ვოევოდა იუზეფოვსკი

ვარშავა, 2 აგვისტო. როგორც „გაზეტა ვარშავსკა“ იუწყება, ვოლინის ახლად დანიშნულ ვოევოდას იუზეფოვსკის 1920 წ., პოლონეთ-საბჭოთა ომის დროს, ეჭირა შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილეს თანამდებობა, პეტლიურას მთავრობაში, ამის შემდეგ იუზეფოვსკის მთავარ ამპლუას შეადგენდა კავშირი ლიტვასთან. გაზეთი აღნიშნავს, რომ სწორედ ამ გარემოებამ ითამაშა მთავარი როლი იუზეფოვსკის დანიშვნაში ვოლინის ვოევოდად. (ადს).

პოლონეთი უკმაყოფილოა გერმანიის გამოსვლით

ვარშავა, 2 აგვისტო. პოლონეთის გაზეთები **უკმაყოფილონი არიან გერმანიის მთავრობის დიპლომატიური გამოსვლით პოლონეთ-ლიტვის კონფლიქტის გამო.**

ოფიციოზი „ეპოქა“ კითხულობს: ხომ არ უნდა ჩავთვალოთ ეს გამოსვლა გადაჭარბებული გულმოდგინების შედეგად?

„კურიერ პორანნი“ სწერს „ბერლინის ჩარევის შესახებ პოლონეთ-ლიტვის კონფლიქტში“.

„ექსპრეს პორანი“ ამ გამოსვლაში ხედავს „საბჭოთა ინსპირაციას“ და ხაზს უსვამს „გერმანულ პირმოთნეობას“.

„გლოს პრავდი“ ამტკიცებს, რომ ადგილი არ ჰქონია არავითარ დიპლომატიურ გამოსვლას. (ადს).

პოლონეთ-ლიტვის მოლაპარაკება

ვარშავა, 2 აგვისტო. პოლონეთის პრესის ცნობით, პოლონეთის მთავრობა პასუხად ლიტვის წინადადებისა პოლონეთის და ლიტვის დელეგატების პლენარული სხდომის მოწვევის შესახებ კენიგსბერგში 15-დან 20 აგვისტომდე, დათანხმდა სხდომის მოწვევას არა უადრეს 30 აგვისტოსი.

გერმანია და ლიტვის დამოკიდებულება

ბერლინი, 2 აგვისტო. „ველტამ ცაიტუნგ“-ის ის აზრი, რომ მეგობრული შთაგონება, რომლითაც მიმართა გერმანიამ ლიტვას, არავითარ შემთხვევაში არ არღვევს გერმანიის ნეიტრალიტეტს პოლონეთ-ლიტვის კონფლიქტის დროს, არ მოასწავებს გერმანიის წინანდელი შეხედულების შეცვლას ლიტვის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დაცვის აუცილებლობაზე.

გაზეთი მაინც სწერს, რომ „ზედმეტი არ არის გარკვეული შესაძლებლობის და საფრთხის დანახვა. **ვილნოში გაიმართება პოლონეთის ლეგიონების ყრილობა. ორსავე ქვეყანაში დიდი ნერვიულობაა, ხოლო პილსუდსკი ისეთი კაცია, რომლის მოქმედების გათვალისწინება შეუძლებელია.** ვსთქვათ, ფორმალური სიმართლე ლიტვის მხარეზეა, მაგრამ იურიდიულ დავის გადაჭრა ტყვიამფრქვევებით სახიფათოა და არ შეიძლება. ამიტომ უადგილო არ იქნება ასეთი კითხვის დასმა: რა მოელის ლიტვას. საეჭვოა, რომ ინგლისმა და საფრანგეთმა შეაკავოს პოლონეთის აღმართული ხელი. ძნელი სათქმელია, როგორ მოიქცევა რუსეთი, მაგრამ საეჭვოა, რომ მან ლიტვის დასაცავად მახვილი ამოიღოს“. (ადს)

პილსუდსკის ავადმყოფობა

ბერლინი, 2 აგვისტო. „ოსტ-ექსპრეს“-ის სააგენტო სარწმუნო წყაროებიდან იუწყება, რომ **პილსუდსკის ავადმყოფობა მეტად სერიოზული ხასიათისაა.** ამასთან დაკავშირებით პილსუდსკის უახლოესმა თანამშრომლებმა რამდენიმე ხნის წინედ **შეადგინეს ერთგვარი პოლიტბიურო** შვიდი კაცის შემადგენლობით. ბიუროში შედიან: პოლკოვნიკი სლავეკი, ბეკი, კოსტიალკოვსკი, დრეშერი, განათლების მინისტრი სვიტალსკი, გენერალი რიდზ-სმიგლი და სოსნოვსკი.

სლავეკი, ბეკი და რიდზ-სმიგლი **მომხრენი არიან მკაცრი საგარეო პოლიტიკისა და, უპირველეს ყოვლისა, ლიტვის პოლონეთთან შეერთების, ხოლო სოსნოვსკის ჯგუფი მხარს უჭერს ფრთხილ საგარეო პოლიტიკას და შეთანხმებას საბჭოთა კავშირთან და გერმანიასთან.** (ადს).

ცალმხრივი ზეგავლენა

ჰელსინგფორსი, 2 აგვისტო. შვეციის გაზეთი „სვენსკა პრესინი“ მოწინავე წერილს უძღვნის პოლონეთ-ლიტვის კონფლიქტს. გაზეთი სცნობს, რომ ერთა ლიგის საბჭოს დეკემბრის სესიის გადაწყვეტილება სასარგებლოა მხოლოდ პოლონეთისათვის. სახელმწიფოების გამოსვლა კოვნოში, გაზეთის აზრით, წარმოადგენს ცალმხრივ ზეგავლენას ლიტვაზე პოლონეთის სასარგებლოდ. (ადს).

საბჭოთა კავშირი და პოლონეთ-ლიტვის კონფლიქტი

ბერლინი, 3 აგვისტო. გერმანიის პრესაში გამოქვეყნებულია სააგენტო „პოსტექსპრესს“-ის ცნობა საბჭოთა ავტორიტეტულ წყაროებიდან საბჭოთა კავშირის დამოკიდებულების შესახებ პოლონეთ-ლიტვის კონფლიქტთან.

ცნობაში ნათქვამია: „ომის საშიშროებას აღმოსავლეთ ევროპაში ჰქმნის არა ლიტვა, არამედ პოლონეთი, რომელიც უკმაყოფილოა ეხლანდელ საზღვრებით ლიტვასთან და სცდილობს მათ შეცვლას. ამასთან ერთად პოლონეთის გავლენიანი გაზეთები არ მალავენ, რომ პოლონეთი მზადაა ძალით მოახდინოს არსებულ ურთიერთობის ლიკვიდაცია, თუ კი ეს საჭირო იქნება.

საბჭოთა კავშირი სცნობს, რომ პოლონეთ-ლიტვის არსებული ურთიერთობა შეიძლება იქნეს შეცვლილი. აი ამიტომ, საბჭოთა კავშირმა არა ერთხელ ურჩია მეგობრულად ლიტვის მთავრობას დაედო პოლონეთთან ტეხნიკური შეთანხმება, რომელიც არ შეეხებოდა პოლონეთ-ლიტვის ურთიერთობის მთავარ პრობლემებს, ყოველ შემთხვევაში აცილებდა თავდასხმას პოლონეთის მხრიდან.

ამასთან ერთად საბჭოთა მთავრობამ მიაქცია საერთაშორისო საზოგადოებრივი ყურადღება იმ საშიშროებისაკენ, რომელსაც ჰქმნის პოლონეთის აგრესიული ნაბიჯები.

საბჭოთა კავშირი ფიქრობს, რომ ლიტვის მთავრობამ ჩაიდინა მთელი რიგი ტაქტიკური შეცდომებისა, მაგრამ მაინც არ სცნობს დამტკიცებულად იმას, რომ ვოლდემარასს არა სურს არავითარი შეთანხმება.

მაგრამ, იმ შემთხვევაშიაც, თუ ლიტვის მთავრობა არ მოისურვებს შეთანხმებას პოლონეთთან თავისი ღირსების საზიანოთ და მდგომარეობა დარჩება ისევე, როგორიც იყო 8 წლის განმავლობაში, ეს მაინც არ მისცემს უფლებას ჯერეთ პოლონეთის მთავრობას ძალით შესცვალოს თავისი დამოკიდებულება ლიტვასთან და შემდეგ ერთა ლიგას—ძალით დაადებინოს ლიტვას ისეთი შეთანხმება, რომელიც მას არა სურს (ადს).

მდგომარეობა ჩინეთში

ჩ. ა. შეერთებული შტატები და ნანკინის მთავრობა

ვაშინგტონი, 2 აგვისტო. ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტში მუშავდება ნოტა ნანკინის მთავრობის იმ უკანასკნელი ნოტის საპასუხოდ, რომლითაც ნანკინის მთავრობა სთხოვდა ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებულ შტატებს დაეწყოთ მოლაპარაკება „საკითხის“ ნამდვილად გადასაწყვეტად“ და აუწყებდა, რომ ამ მოლაპარაკების წარმოებისათვის ჩინეთის სრულუფლებიან წარმომადგენლად დანიშნულია **უ-ჩჟაო-ჩჟუ**.

სახელმწიფო დეპარტამენტის წრეებში არაფერს არ ამბობენ საპასუხო ნოტის შინაარსზე.

„ასოშეიტედ პრესის“ სიტყვით, ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა ამ ჟამად არ არის თანახმა, რომ გაუქმებულ იქნას ჩინეთში ექსტერიტორიალობის უფლება ამერიკელი მოქალაქეებისათვის. არც იმის თანახმაა, რომ ჩინეთის სასამართლოებს გადაეცეთ ის საქმეები, რომლებიც ამერიკელ მოქალაქეებს ეხებათ. (ადს).

სამხრეთელების იმედები

პეკინი, 2 აგვისტო. ნანკინის გარეშე საქმეთა მინისტრმა უ-ჩჟაო-ჩუმ პრესის წარმომადგენლებთან საუბარში გამოსთქვა იმედი, რომ ჩრდ. ამერიკის შეერთ. შტატების მთავრობა გადასინჯავს ჩინეთ-ამერიკის ხელშეკრულებებს, რომელიც ამერიკელ მოქალაქეებს ჩინეთში ანიჭებს ექსტერიტორიალობის უფლებას. შემდეგ უ-ჩჟაო-ჩუმ აღნიშნა, რომ იაპონია ხელს უშლის მანჯურიას შეურიგდეს ნანკინს.

მოითხოვენ ნანკინის მთავრობის ცნობას გერმანიის მიერ

ბერლინი, 2 აგვისტო. გაზეთი „დოიჩე ალგემეინე ცეიტუნგი“ მოითხოვს, რომ გერმანიამ იცნოს ნანკინის მთავრობა. გაზეთი აღნიშნავს, რომ ომის შემდეგ გერმანიამ ჩინეთთან ურთიერთობა მოაწესრიგა სრული თანასწორობის საფუძველზე და სწერს: „მშვიდობიანი განვითარების გზაზე შემდგარ ჩინეთს დიდი მნიშვნელობა ექნება გერმანიის მეურნეობისათვის და გერმანიის მონაწილეობისათვის საერთაშორისო პოლიტიკაში. ახლა, როდესაც ჩრდ. ამერ. შეერთებული შტატები ჩინეთში საკუთარ პოლიტიკას აწარმოებენ, ჩვენ საბუთი არა გვაქვს დავაყოვნოთ ამ საკითხის გადაწყვეტაო“. (ადს).

ინგლის-საფრანგეთის შეთანხმება საზღვაო შეიარაღების შესახებ

პარიზი, 2 აგვისტო. „მატენი“, ეყრდნობა რა პოლიტიკურ წრეებიდან მიღებულ ცნობებს, იუწყება, რომ **ინგლის-საფრანგეთის შეთანხმება საზღვაო შეიარაღების შესახებ ეწინააღმდეგება პროპორციის სისტემას, რომელიც მიღებულ იქნა ვაშინგტონის კონფერენციაზე 1922 წელს.**

შეთანხმებაში მონაწილე მხარეები **ვალდებულნი არიან ერთმანეთს აუწყონ თავიანთი განზრახვანი სამხედრო-საზღვაო ბიუჯეტისა და საზღვაო შეიარაღების დარგში.** არავითარი საზღვარი არ არის დაწესებული ფლოტის წვრილი ერთეულებისა და კერძოდ წყალქვეშა ნავების აგების საქმეში.

„ფიგარო“ ფიქრობს, რომ ამ შეთანხმებას საფუძვლად დაედო საფრანგეთის მხრივ დათმობა საზღვაო შეიარაღების დარგში, ხოლო ინგლისის მხრივ დათმობა ხმელეთის შეიარაღების დარგში. (ადს).

ლონდონი, 2 აგვისტო. როგორც „დეილი ტელეგრაფ“-ი იუწყება, ინგლის-საფრანგეთის კომპრომისს საზღვაო შეიარაღების საკითხებში ამერიკის, იტალიის და იაპონიის მთავრობების ყურამდეც მიუღწევია. კორესპონდენტის სიტყვით, შეთანხმება აწესებს როგორც სამხედ. გემების საერთო ტონაჟის, ისე კატეგორიების ინდივიდუალური ტონაჟის ნორმას. მასვე შეაქვს ერთგვარი შეზღუდვა ფლოტის საარტილერიო და სანაღმო შეიარაღებაში.

კელოგის პაქტის გარშემო

ლორდთა პალატა კელოგის პაქტის შესახებ

ლონდონი, 2 აგვისტო. რეიტერი იუწყება: ლორდთა პალატაში ლორდმა პარმურმა (მუშათა პარტია) კამათი გახსნა ჩინეთისა, ეგვიპტისა და კელოგის პაქტის შესახებ. პარმური შეეკითხა მთავრობას: აპირებს თუ არა ინგლისის მთავრობა მიანიჭოს ნანკინის მთავრობას საბაჟო ავტონომია და სცნოს იგი. ეგვიპტის შესახებ პარმურმა ჰკითხა: ადგილი აქვს თუ არა მთავრობა იმ აზრს, რომ სანამ კონსტიტუცია არ მოქმედებს, ინგლის-ეგვიპტის ურთიერთობის მოწესრიგების ცდა უნაყოფოა.

კელოგის პაქტის გამო პარმურმა სთქვა: „დიდი შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ პაქტს ხანგრძლივი მნიშვნელობა ექნება, თუ არ შეიქმნება ისეთი აპარატი, რომელიც უზრუნველჰყოფს პაქტის მე-2 მუხლის ეფექტივობას კონფლიქტების მშვიდობიანი გზით მოწესრიგების საქმეში“.

სოლსბერიმ მთავრობის სახელით უპასუხა და აღნიშნა: ჩინეთის მდგომარეობა საზარალოა არა მარტო თვით ჩინეთისათვის, არამედ საერთაშორისო ვაჭრობისათვისაც; იგი გავლენას ახდენს ლანკაშირის საფეიქრო მრეწველობაზეო.

„ჩვენ ძალიან მოხარული ვიქნებოდით,—განაცხადა სოლსბერიმ,—ჩინეთის სამოქალაქო ომს ბოლო მოეღებოდეს“.

დასასრულ სოლსბერიმ დიდად შეაქო კელოგის პაქტი და იმედი გამოსთქვა, რომ დედამიწა აღარ გადაიქცევა დიდი ომის საშინელებათა სარბიელად. (ადს).

შეკითხვა კელოგის პაქტის გამო

ლონდონი, 2 აგვისტო. თემთა პალატის ლიბერალური დეპუტატი ტომასი შეეკითხა საჰაერო ფლოტის მინისტრს ხორს: განზრახული აქვს თუ არა მის სამინისტროს მომავალ წლისათვის შეამციროს თავისი ბიუჯეტი კელოგის პაქტზე ხელის მოწერასთან დაკავშირებით? ხორმა, ისევე როგორც წინანდელმა სამხედრო და საზღვაო მინისტრებმა, უპასუხა, რომ 1929 წლის საჰაერო ბიუჯეტის შესახებ რაიმეს გათვალისწინება ჯერ კიდევ ნაადრევია.

კელოგის განცხადება

ვაშინგტონი, 2 აგვისტო. ჩემბერლენის განცხადების გამო, რომელშიაც იგი გამოსთქვამდა იმედს, რომ შეერთებული შტატები აქტიურად დაიცავენ მრავალმხრივ ხელშეკრულებას, თუ მას ვინმე დაარღვევს ევროპაში, კელოგმა განიმეორა, რომ მრავალმხრივ ხელშეკრულება ამას შეერთებულ შტატებს არ ავალებსო. (ადს).

გერმანიის პრესა შტრეზემანის მიწვევის შესახებ პარიზში

ბერლინი, 2 აგვისტო. გაზეთები კვლავ კომენტარიებს უკეთებენ შტრეზემანის პარიზში მოწვევას კელოგის პაქტზე ხელის მოსაწერად.

„რეინიშე ვესტფელიშე ცეიტუნგი“ შტრეზემანის წასვლის წინააღმდეგია. „პრაქტიკული მოსაზრებანი და ის, რომ საფრანგეთმა მრავალჯერ გაგვიცრუა იმედი,—სწერს გაზეთი,—გვაიძულებს უარყოფით შევხედოთ შტრეზემანის განზრახვას. ლოკარნოში მოცემული დაპირებანი შესრულებული არ არის. რეინის ოლქის ვადამდე ევაკუაციის საკითხში საფრანგეთი არაფერს გვითმობს. შტრეზემანის წასვლა პარიზში საფრანგეთის მორალური გამარჯვება იქნება“. (ადს).

მუშათა ბრძოლა

ინდოეთის რკინის გზელების გაფიცვა

ქაბული, 2 აგვისტო. „ინდუსტან ტაიმსი“ იუწყება, რომ გაფიცულებმა რკინის გზელმა მუშებმა შეაჩერეს რამდენიმე მატარებელი. სადგური ოხნა სამხრეთ-ინდოეთის რკინის გზაზე დანგრეულია. ზოგიერთ სადგურებზე პოლიციამ სროლა დაუწყო გაფიცულთ და ხიშტებით მიიტანა იერიში გაფიცულთა ჯგუფებზე. სროლის დროს დაჭრილ იქნა ექვსი გაფიცული. (ადს)

მუშათა ბრძოლა ნიუ-ბეტფორდში

ნიუ-იორკი, 2 აგვისტო. ნიუ-ბედფორდში მომხდარი გაფიცვის სამ მემარცხენე აქტიურ მონაწილეს — **ბილს, კოირალს და რუბინშტეინს** მიუსაჯეს პატიმრობა ექვს-ექვსი თვით. 3 თვე მიუსაჯეს გაფიცულ ქალთა სამ ხელმძღვანელ ქალს, გაფიცულ 237 მუშას — ორ-ორი თვით დაპატიმრება თვითეულს.

ამ საქმეში ბრალდებული 300 კაცზე [illegible], როცა ისინი საპყრობილედან სასამართლოში მიდიოდნენ, მღეროდნენ რევოლიუციონურ სიმღერებს. მუშები ათასობით ხვდებოდნენ მათ მისასალმებელი ყიჟინით. (ადს).

ფინეთის გემების ბოიკოტი დანიაში

სტოკჰოლმი, 2 აგვისტ. დანიიდან იუწყებიან. ნავთსადგურის მუშების ზეგავლენით სამთამადნო მუშათა პროფკავშირების ც. კ.-მა გადასწყვიტა: **ფინეთის გემების ბოიკოტი გადაიტანოს ყველა ეროვნების გემებზე,** რომლებიც საქონელს ზიდავენ ფინეთისათვის. ც. კ.-მა მოუწოდა დანიის მოსახლეობას, გამოუცხადოს ბოიკოტი ფინეთის საქონელს.

საწარმოთა პატრონების კავშირმა პროფკავშირების გადაწყვეტილება განასაჩივრა სასამართლოში. საქმე 4 აგვისტოს გაირჩევა. (ადს).

ანტვერპენის მეზღვაურთა გამარჯვება

პარიზი, 2 აგვისტო. ბელგიიდან იუწყებიან: ანტვერპენის მეზღვაურთა და საწარმოთა პატრონებს შორის მოხდა შეთანხმება **ხელფასის 15 პროცენტით გადიდების** შესახებ. (ადს).

დაპატიმრებული ფეიქრების განთავისუფლება

ნიუ-იორკი, 2 აგვისტო. ნიუ-ბეტფორდში დაპატიმრებული ფეიქრების უმრავლესობა ვადამდე განთავისუფლეს (ადს).

საბჭოთა გემები რუმინეთში

ვენა, 2 აგვისტო. როგორც „ნეიე ფრეიე პრეს“-ი ბუქარესტიდან იუწყება, ამხ. ჩიჩერინის პროტესტის გამო საბჭოთა გემების გაყიდვის წინააღმდეგ, რუმინეთის ავტორიტეტულ წრეებში განაცხადეს, რომ **ცნობა იმის შესახებ, ვითომ რუმინეთის მთავრობამ დანიშნა აუქციონი, სწორი არ არის.** რუმინეთის მთავრობას სურს მხოლოდ გამოარკვიოს გემების მდგომარეობა. თუ გემების მდგომარეობა საშიში აღმოჩნდა, **ისინი გაიყიდება აუქციონით, ხოლო ფული მიეცემა იმ მესაკუთრეს, რომელიც დაამტკიცებს თავის საკუთრების უფლებას ამ ქონებაზე.** (ადს).

კომინტერნის VI კონგრესის მანიფესტი

მოსკოვი, 3 აგვისტო. ყველა ქვეყნის მუშებსა და გლეხებს!

მთელი მსოფლიოს დაჩაგრულ ხალხებს!

ყველა კომუნისტურ პარტიას!

14 წელმა განვლო მას შემდეგ, რაც დაიწყო 1914—1918 წლების დიდი მსოფლიო ხოცვა-ჟლეტა. იმპერიალისტები და მათი ლაქიები მალი-მალ იმეორებდნენ, რომ ეს არის უკანასკნელი ომი მსოფლიოშიო. რამოდენიმე მილიონი მუშა და გლეხი, რომლებიც ახლა ძრწოლით და ზიზღით ფიქრობენ ახალი გულშემზარავი ხოცვა-ჟლეტის შესაძლებლობის შესახებ, მზად იყვნენ დაეჯერათ ეს დაპირებანი.

მაგრამ მიმოავლეთ თვალი გარშემო და დაინახავთ, თუ რა ხდება კაპიტალისტურ მსოფლიოში დღეს, 1928 წლის 4 აგვისტოს. დღევანდელი ამბები თვითვე გვიჩვენებენ, რომ კაპიტალისტები და მათი „სოციალისტური“ თუ „პაციფისტური“ აგენტები ცრუობენ და თვალთმაქცობენ. ისინი ლაყბობენ მშვიდობიანობის შესახებ, ასაზრდოებენ განიარაღების პაციფისტურ ილუზიას და ამავე დროს შეუსვენებლად ამზადებენ ახალ ომს.

რამოდენიმე წელიწადია, რაც იმპერიალისტების აშკარა სამხედრო ინტერვენცია დაიწყო ჩინეთის რევოლიუციის წინააღმდეგ. რამოდენიმე ათეული ათასი მუშა და გლეხი მსხვერპლად ეწირებოდა და ეწირება იმპერიალისტების კონტროლს, რომელსაც ისინი ჩინეთის ბაზარს უწევენ. მაგრამ ინტერვენციას ჩინეთში არასოდეს არა ჰქონია ესოდენ ფართო ხასიათი და არასოდეს ასე აშკარა საფრთხე არ შეუქმნია მთელი მსოფლიოს მშვიდობიანობისათვის, როგორც ახლა, როცა ამ ინტერვენციამ მიიღო სამხედრო ოკუპაციისა და ჩინეთის დანაწილების სახე.

დღეს ყოველი შეგნებული მუშისათვის ნათელია ომისათვის დაუცხრომელი მზადება საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ განაპირა სახელმწიფოების შეიარაღებისა, დიპლომატიურ შეთანხმებათა და ანტისაბჭოთა სისტემატიური პროპაგანდის გზით. ამავე დროს ყველა ქვეყნის იმპერიალისტები ხელახლა აწყობენ და აძლიერებენ თავიანთ არმიებს, ხარჯავენ ათეულ მილიონებს სამხედრო გემებსა, ჰაეროპლანებსა, მხრჩოლავ გაზებსა, საზღვაო გემთსაშენებლებსა და საავიაციო ბაზებზე, რადგან მოელიან ახალ უდიდეს სამხედრო კონფლიქტებს, რომლებსაც აუცილებლად გამოიწვევს მათი მეტოქეობა და ბრძოლა გამსაღებელი და ნედლეულის ბაზრებისათვის.

ახლა ისინი გაცილებით უფრო ენერგიულად, ვიდრე იმპერიალისტური ომის წინა წლებში, ჰფარავენ სისტემატიურ სამხედრო სამზადისს „მშვიდობიანობის“ სასარგებლო პროპაგანდის მოხერხებულად შემუშავებული სისტემით. „განიარაღების“ კონფერენცია ერთა ლიგის საფარველ ქვეშ, კელოგის პაქტი ომის „უკანონო“ მოქმედებად გამოცხადების შესახებ, გაძლიერებული პაციფისტური პროპაგანდა ყოველგვარი სახით — ასეთია ის საშუალებანი, რომლებსაც ახლა იმპერიალიზმი მიმართავს.

ყველა ამ ხერხის საერთო მიზანი ერთია — დააჯეროს მუშები და გლეხები, რომ კაპიტალისტური წყობილების ფარგლებში არსებობს ომის ასაცილებელი საშუალება. იმპერიალისტებს სურთ დაუმალონ მუშებსა და გლეხებს ის „სახიფათო“ ჭეშმარიტება, რომ ომების მოსპობის ერთად-ერთი გზა არის კაპიტალიზმის დამხობა და პროლეტარიატის დიქტატურის დამყარება. ამის ნაცვლად ისინი ცდილობენ, რომ მუშებისა და გლეხების ყურადღება სხვადასხვა ილუზიებით ასაზრდოონ, მოუმზადებლებს მოასწრონ, როგორც ეს მოხდა 1914 წელს, და ჩაითრიონ ომში სამშობლოს „დასაცავად“; ამავე დროს იმპერიალისტები ეწევიან შოვინისტურ სამხედრო პროპაგანდას.

კომუნისტური ინტერნაციონალი მოუწოდებს ყველა მუშასა და გლეხს, შეიგნონ, რომ „სოციალისტები — პაციფისტები“, რომლებიც ენერგიულად შველიან იმპერიალისტებს ამ ილუზიების გავრცელებაში, მხოლოდ და მხოლოდ კაპიტალისტების შეგნებული აგენტები არიან.

კომუნისტური ინტერნაციონალი,—რომელმაც თავის დროშას წააწერა: „ძირს იმპერიალისტური ომი, იბრძოლეთ ყოველი საშუალებით იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ, მედგრად დაიცავით საბჭოთა კავშირი თქვენი იმპერიალისტების წინააღმდეგ“-ო,—აი, ეს კომუნისტური ინტერნაციონალი მოუწოდებს ყველა მუშას, ყველა რევოლიუციონერ გლეხს და ყველა დაჩაგრულ ხალხს, რომ დაიცვან ეს ლოზუნგი 1928 წლის 4 აგვისტოს, აღმართონ ბრძოლის დროშა იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ, ომის მომამზადებელი იმპერიალისტებისა და ცბიერ - მატყუარა „სოციალისტ-პაციფისტების“ წინააღმდეგ, რომლებიც აქტიურად ეხმარებიან იმპერიალისტებს ომის მზადების საქმეში.

ეს ბრძოლა დაუყოვნებლივ უნდა იქნას დაწყებული. ჩინეთის გმირულ პროლეტარიატთან და გლეხობასთან ერთად, რომლებიც დამარცხების შემდეგ ძალღონეს იკრებენ ახალი ბრძოლისათვის; მთელმა მსოფლიო პროლეტარიატმა წინააღმდეგობის რკინის კედელი უნდა აღმართოს ომისა და ინტერვენციის საფრთხის წინაშე. ომის საფრთხემ, რომელიც მოევლინა მსოფლიოს პირველ სოციალისტურ რესპუბლიკას — საბჭოთა კავშირს, უნდა აიძულოს ყველა შეგნებული მუშა და გლეხი, რომ დაუყოვნებლივ მიიღონ უაღრესად გადამწყვეტი ზომები საბჭოთა კავშირის ყოველგვარი ძალღონით დასაცავად.

მხოლოდ ამ ორ ფრონტზე გაწეული ენერგიული ბრძოლის საშუალებით მოახერხებს მუშათა კლასი მოემზადოს როგორც საჭიროა და წინააღმდეგობა გაუწიოს ახალ იმპერიალისტურ ომს, რომელიც უფრო და უფრო აუცილებელი ხდება, რამდენადაც მას ასაზრდოებენ კაპიტალისტურ სახელმწიფოთა გაღრმავებული ურთიერთი წინააღმდეგობანი და მათი საერთო სიძულვილი საბჭოთა კავშირისადმი.

მხოლოდ ყველა კომუნისტისა და რევოლიუციონერის, ყველა მუშისა და გლეხის მედგარი, გადამწყვეტი და ყოველდღიური ბრძოლის საშუალებით, რომელიც მიმართული იქნება საკუთარივე ექსპლოატატორების წინააღმდეგ, ქალაქისა და სოფლის მშრომელები იდეურად და ორგანიზაციულად იქნებიან მომზადებულნი, რომ მომავალი იმპერიალისტური ომი გადააქციონ სამოქალაქო ომად, ყველა დაჩაგრულის ომად იმპერიალისტური ბურჟუაზიის წინააღმდეგ, ესე იგი დაადგებიან ერთად-ერთ შესაძლებელ გზას, რომელიც ომს ერთხელ და სამუდამოდ მოსპობს.

ამ დღეს, 1928 წლის 4 აგვისტოს, პირველი დიდი მსოფლიო ომის 14 წლის თავზე, იმ ომისა, რომელმაც წარმოშვა პირველი სოციალისტური რევოლიუცია, კომუნისტური ინტერნაციონალი მოუწოდებს ყველა ქვეყნის მუშებსა და გლეხებს — მოემზადონ ახალი მომავალი მსოფლიო ომის გადასაქცევად მსოფლიო სოციალისტურ რევოლიუციად.

ძირს მსოფლიო იმპერიალიზმი!

გაუმარჯოს ჩინეთის რევოლიუციას!

გაუმარჯოს პირველ სოციალისტურ რესპუბლიკას!

მოსკოვი

(ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

პოლონეთის სამხედრო მზადება

მოსკოვი, 3 აგვისტო. „იზვესტია“-ს ბერლინელი კორესპონდენტი იუწყება, რომ პოლონეთის კონტრრაზვედკა ბერლინის პოლიტიკურ წრეებში დაჟინებით ავრცელებს „სენსაციურ ხმებს“ იმის შესახებ, თითქოს ლიტვა მალულად, ღამით აგროვებდეს საგრძნობ ჯარებს პოლონეთის საზღვრებზე. გერმანიაში ფრიად სერიოზულ შიშს იწვევს პოლონეთის სასწრაფო სამხედრო სამზადისი.

აღმოსავლეთის მუშა-ქალთა თათბირი

მოსკოვი, 3 აგვისტო. საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტი 15 ნოემბრისათვის იწვევს აღმოსავლეთის ეროვნულ უმცირესობათა შორის მომუშავე ქალთა საკავშირო თათბირს. დღის წესრიგში სდგას შემდეგი საკითხები: მუშაობა გლეხ ქალთა შორის, ქალთა აქტიურ განთავისუფლების საკითხი, ძირითად მოსახლეობის კომუნისტების როლი ქალთა შორის მუშაობაში.

ამიერ - კავკასიას თათბირზე ეძლევა 6 ადგილი.

სახელმწიფო ცირკი თბილისში

მოსკოვი, 3 აგვისტო. სახელმწიფო ცირკების სამმართველო მიმდინარე წლის შემოდგომიდან გახსნის ბაქოსა და თბილისში სახელმწიფო ცირკების განყოფილებებს.

ანგარიშის წარმოება რკინის გზებზე

მოსკოვი, 3 აგვისტო. გზათა სახალხო კომისარიატის თათბირზე ამიერ-კავკასიის რკინის გზების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მიუხედავათ განსაკუთრებული სირთულისა, რომელსაც ადგილი აქვს ანგარიშ-წარმოების დროს ამიერ-კავკასიაში, სადაც ანგარიშების წარმოება ხდება სამ ენაზე, მაინც მოხერხდა საგრძნობ შედეგების მიღწევა — მისი გამარტივებისა და შემცირების მხრივ.

თათბირზე გამოირკვა, რომ საერთოდ საბჭოთა კავშირში ანგარიშწარმოების რეორგანიზაციით დაგროვილ იქნა 20 მილიონი მანეთი.

მუშგლეხკორთა დევნის წინააღმდეგ

მოსკოვი, 3 აგვისტო. „პრავდა“-ში მოთავსებულია ამხ. ინგულოვის წერილი მუშა და გლეხ კორესპონდენტების დევნის შესახებ. ამხანაგი ინგულოვი აღნიშნავს, რომ უკანასკნელ ხანებში მუშკორების და გლეხკორების დევნა გაძლიერდა. საჭიროა ზომების მიღება ამ მოვლენის წინააღმდეგ. მუშკორთა და გლეხკორთა დევნაში შემჩნეული პირები პასუხისგებაში უნდა იქნენ მიცემული, უნდა მოეწყოს მათი საჩვენებელი გასამართლება. სასტიკი პასუხი უნდა მოეთხოვოს არა მარტო იმათ, ვინც უშუალოდ სდევნის მუშგლეხკორებს, არამედ იმათაც, ვინც ხელს უწყობს მდევნელთ. სასამართლოების დადგენილებანი დაუყოვნებლივ და ზუსტათ უნდა იქნეს გატარებული ცხოვრებაში. გაზეთების რედაქციებმა მეტი აქტივობა უნდა გამოიჩინონ მუშა და გლეხ კორესპონდენტების დაცვის საქმეში.

ღამის ცნობები

პოლონეთი ემზადება ომისათვის

ბერლინი, 2 აგვისტო. გერმანიის დეპეშათა სააგენტოს „ტელეგრაფენ უნიონ“-ის ცნობებით მარიენვერდერის, დეიჩ ეილაუს და გერმანიის სხვა განაპირა რაიონების მცხოვრებლები შეშფოთებული არიან იმ გარემოებით, რომ პოლონეთის მოსაზღვრე რაიონში ადგილი აქვს პოლონეთის ჯარების გადაყვან-გადმოყვანას.

ასეთივე ცნობებია მიღებული აგრეთვე პომერალენიდან. უკანასკნელი ცნობებით პოლონეთის ჯარების მოძრაობა ისეთი ხასიათისაა, თითქოს პოლონეთის ჯარები მოდიან პომერალენის რაიონიდან იმიტომ, რომ თავი მოიყარონ... (გამოტოვებულია). ეს გარემოება, სააგენტოს ცნობებით, იმის დამადასტურებელია, რომ ჯარები მიემართებიან პოლონეთ-ლიტვის საზღვრისაკენ.

დეიჩ ეილაუდან იტყობინებიან რომ პოლონეთში სალაშქრო წესების გამოცხადების ამბავი სიმართლეს შეეფერება. ამ ცნობის თანახმად სალაშქრო წესების გამოცხადება გამოწვეულია პოლონეთის იმ განზრახვით, რომ უზრუნველ ყოფილი იქნეს საიდუმლოების დაცვა ჯარების გადაყვან-გადმოყვანის შესახებ (ადს).

„არსად საფრთხე არ არსებობს“

ვარშავა, 3 აგვისტო. ვარშავის პრესამ გამოაქვეყნა გერმანიის დეპეშათა სააგენტოს „ტელეგრაფენ უნიონის“, ცნობა პოლონეთის ჯარების გადაყვან-გადმოყვანის შესახებ გერმანიის საზღვრების მახლობლათ და პოლონეთში სალაშქრო წესების გამოცხადების შესახებ.

ოფიციალური უარყოფა, ან დადასტურება პოლონეთის მთავრობის მხრივ არაა. ოფიციოზი „ეპოკა“ კატეგორიულად ირწმუნება, რომ „არსად არავითარი საფრთხე არაა მოსალოდნელი“. გაზეთი ანალიზს უკეთებს პოლონეთის ელჩის შეხვედრას გერმანიის მთავრობასთან და მიდის დასკვნამდე, რომ ეს იყო „შეუფერებელი გამოსვლა, რაც გამოიწვია ლიტვინოვის მხრივ ხაგრძნობმა გავლენის მოხდენამ“, და რომ „პოლონეთ-ლიტვის საკონფლიქტო საკითხებში გერმანია, შეკავშირებულია საბჭოთა მთავრობასთან, რის გამოც მას არ შეუძლია დამოუკიდებელი პოლიტიკის წარმოება“.

გერმანიის მთავრობის გამოსვლა „ეპოქას“ აზრით, იმის დამადასტურებელია, რომ არსებობს გერმანია-საბჭოთა კავშირის ფრონტი, რომელიც მიმართულია არა მარტო პოლონეთის, არამედ ერთა ლიგის წინააღმდეგაც და ამიტომ „სიტყვა ერთა ლიგას ეკუთვნის“.

გაზეთი „კურიერ პორანნი“ ხაზგასმით აღნიშნავს ლიტვინოვისა და ბროკდორფ-რანცაუს ერთად ყოფნას ბერლინში და კითხულობს:

— „თანახმა არის თუ არა შტრეზემანი, რომელიც ამჟამად შვებულებაშია, იმ პოლიტიკის, რომელსაც მისი მოადგილე აწარმოებს და ნუ თუ არა რცხვენია გერმანიის მთავრობას რომ მის პოლიტიკას ხელმძღვანელობენ ლიტვინოვი და „იზვესტიას“ რედაქტორები (ადს).

ლონდონის ოპტიმიზმი

ლონდონი, 3 აგვისტო. „დეილი ტელეგრაფი“ სწერს, რომ ლონდონში არ აძლევენ მნიშვნელობას ჯარების გადაყვან-გადმოყვანას პოლონეთ-ლიტვის საზღვარზე და უცქერიან ამას, როგორც „დიპლომატიურ მანევრებს“, რომლის მიზანია შთაბეჭდილების მოხდენა ერთა ლიგის საბჭოს მომავალ სექტემბრის სესიაზე.

ყალბი ცნობა?

ბერლინი, 3 აგვისტო. გამოქვეყნებულია ოფიციალური ცნობა, სადაც განცხადებულია, რომ „ჩიკაგო ტრიბუნ“-ის პარიზის გამოცემის ბერლინელ კორესპონდენტის დეპეშა, რომლის თანახმად, პოლონეთ-ლიტვის კონფლიქტთან დაკავშირებით, მოხდება გერმანიის რწმუნებულის გამგზავრება პარიზში საფრანგეთის მთავრობასთან მოსალაპარაკებლად— მთლიანად ყალბია.

გერმანიის ელჩს პარიზში უკვე ჰქონდა სათანადო საუბარი საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრთან (ადს).

ელჩების თათბირი

რეველი, 3 აგვისტო. ესტონეთის პრესის ცნობით, 9 და 10 აგვისტოს საგარეო საქმეთა სამინისტროში შესდგება თათბირი, რომელსაც დაესწრებიან ესტონეთის ელჩები ლატვიაში, ლიტვაში, პოლონეთში, საბჭოთა კავშირში და შვეციაში.

დღის წესრიგში დასმულია მიმდინარე საკითხები და ურთიერთი ინფორმაცია (ადს).

ბრძოლის შეწყვეტა „როიალ დეტჩ“-ის და „სტანდარტ ჰოილ“-ის შორის

ლონდონი, 2 აგვისტო. რანტუნიდან მიღებული ცნობით, შესწყდა „როიალ დეტჩ“-ისა და „სტანდარტ ჰოილ“-ს შორის „ომი ფასებისათვის“. შეთანხმების პირობებს არ აქვეყნებენ (ადს).

რეფორმისტების მორიგი ღალატი

ნიუ-იორკი, 2 აგვისტო. ილინოისის მემაღაროეთა კავშირის რეფორმისტულმა ხელმძღვანელებმა დაიწყეს სეპარატიული მოლაპარაკება მაღაროების პატრონებთან სამუშაო ხელფასის შემცირების შესახებ (ადს).

მიტინგი ელზასის ავტონომისტური მოძრაობის დევნის წინააღმდეგ

პარიზი, 2 აგვისტო. სტრასბურგში გაიმართა მიტინგი ელზასის ავტონომისტური მოძრაობის დევნის წინააღმდეგ. სალაპარაკოდ გამოვიდნენ რიკლინი, როსე და სხვები, აგრეთვე პარლამენტის კომუნისტი დეპუტატები (ადს).

ამხ. ლიტვინოვის შვებულებიდან დაბრუნება

მოსკოვი, 3 აგვისტო. შვებულებიდან დაბრუნდა და თანამდებობის ასრულებას შეუდგა ამხ. ლიტვინოვი (ადს).

კომინტერნის VI მსოფლიო კონგრესი

2 აგვისტოს საღამოს სხდომა

მოსკოვი, 3 აგვისტო. თავმჯდომარეობს მერფი (ინგლისი).

სხდომის გახსნის შემდეგ კონგრესს მიესალმენ მოსკოვის საწარმოთა მუშების დელეგაციები. 4 აგვისტოს, იმპერიალისტური ომის წლისთავის გამო, ბელი აქვეყნებს მანიფესტს ყველა ქვეყნის მშრომელებისადმი. მანიფესტი მოუწოდებს მშრომელებს—შეებრძოლონ ომს და დაიცვან საბჭოთა კავშირი. კონგრესი ერთხმად ღებულობს მანიფესტის ტექსტს.

შემდეგ გაგრძელდა დღის წესრიგის მე-2 პუნქტის—ომის საფრთხის საკითხის განხილვა.

ლოვსტონის თანამოხსენება ომის საფრთხის შესახებ

ომის საფრთხის შესახებ მოხსენება გააკეთა **ლოვსტონმა** (ამერიკა).

„ჩვენ ამერიკის კაპიტალის სიძლიერეზე ვლაპარაკობთ არა იმიტომ, რომ რეკლამა გაუკეთოთ მას, არამედ იმიტომ, რომ დავრაზმოთ მშრომელები ამ ძლიერი კაპიტალიზმის გასანადგურებლად.

შეერთებული შტატების კაპიტალიზმს გაბატონებული მდგომარეობა უკავია მსოფლიოს ბაზარზე მრეწველობის მრავალ ძირითად დარგში. ამერიკის კაპიტალის ექსპორტი უფრო ფართო ხასიათს ღებულობს და მას თან სდევს ამერიკის იმპერიალიზმის აგრესივობის და მუშათა კლასის წინააღმდეგ შეტევის გაძლიერება.

თუმცა ფორმალურად შეერთებულ შტატებს არ მოეპოვება ისეთი დიდი კოლონიალური სამფლობელოები, როგორიც, მაგალითად, ინგლისს, მაგრამ ფაქტიურად, ცენტრალურ და სამხრეთ ამერიკაში შეერთებულ შტატების კაპიტალის შეჭრის გამო, ეს ქვეყნები დამოკიდებულნი არიან შეერთებულ შტატებზე და თანდათან ჩრ.-ამერ. შეერთებული შტატების კოლონიებად ხდებიან. ეკონომიური თვალსაზრისით კანადაც შეერთებული შტატების კოლონიად გადაიქცა.

შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკა მიუხედავად თვალთმაქცური პაციფისტური სიტყვებისა, ამჟღავნებს ამერიკის იმპერიალიზმის აგრესივობის გაძლიერებას, ამ იმპერიალიზმს, რომელიც აქტიურად ემზადება ომისათვის და რომელიც ფაქტიურად კიდეც აწარმოებს ომს ნიკარაგუაში. ამერიკის იმპერიალიზმის სამხედრო გეგმებში მნიშვნელოვან როლს თამაშობს ინტერვენციის მომზადება საბჭოთა კავშირსა და ჩინეთში. ომის იდეოლოგიურად მომზადებას ეკუთვნის აგრეთვე აქტიური ანტისაბჭოთა პროპაგანდა და გალაშქრება საბჭოთა კავშირის განიარაღების წინადადების წინააღმდეგ. ომის მომზადების შემდეგ სიმპტომებს წარმოადგენენ შეიარაღების კოლოსალური ზრდა, არმიის მექანიზაცია, მრეწველობის მილიტარიზაცია და სახელმწიფო აპარატის შეზრდა ძლიერ ტრესტებთან.

მონროეს დოქტრინა, რომელსაც ანხორციელებს ამერიკის იმპერიალიზმი, მიზნად ისახავს ლათინური ამერიკის ქვეყნების პოლიტიკურად და ეკონომიურად დამორჩილებას. შორეულ აღმოსავლეთში ამერიკა ატარებს ღია კარების პოლიტიკას, რაც საშუალებას აძლევს ამერიკის იმპერიალიზმს—განამტკიცოს თავისი გავლენა ჩინეთში.

დაუესის გეგმაშიაც აშკარავდება დოლარის იმპერიალიზმის აგრესიული ტენდენცია.

ინგლის-ამერიკის კონფლიქტი მწვავდება. კონფლიქტის გამომწვევ მიზეზებს წარმოადგენენ ამერიკის იმპერიალიზმის შეჭრა სამხრეთ ამერიკასა და შორეულ აღმოსავლეთში, ბრძოლა ნედლეულისათვის, უპირატეს ყოვლისა, ნავთისა, საალმშენებლო მასალისა და კაუჩუკისათვის, და აგრეთვე ამერიკისა და ინგლისის კონკურენცია ინდოეთში.

საბჭოთა კავშირისადმი ამერიკის მტრული განწყობილების მთავარ მიზეზს წარმოადგენს ის, რომ ამ ორი ქვეყნის ხელისუფლების კლასობრივი ხასიათი ძირითადათ და პრინციპიალურად განსხვავდება. შეერთებული შტატების საფინანსო კონტროლიც პოლონეთში ამერიკის ბურჟუაზიის ანტისაბჭოთა პოლიტიკის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს.

პროფკავშირების რეაქციონური ბიუროკრატია ამერიკის კაპიტალიზმის იარაღია. ამ ბიუროკრატიასთან მჭიდრო კავშირი აქვს ამერიკის სოციალისტურ პარტიას, რომელიც აგრეთვე შეურიგებელი სიძულვილითაა გამსჭვალული საბჭოთა კავშირის მიმართ.

ამერიკის კომპარტია მედგარ ბრძოლას აწარმოებს პაციფისტურ ილუზიებთან, რომლებიც ამჟამად უმთავრეს საფრთხეს წარმოადგენენ—კომპარტიამ მოაწყო დემონსტრაციები ნიკარაგუაში წარმოებულ ომის წინააღმდეგ და კომკავშირის აქტიური დახმარებით წარმატებით ჩაატარა ჩინეთის დაცვის კამპანია. გარდა ამისა, პარტია აქტიურ ანტი-იმპერიალისტურ პროპაგანდას ეწევა. საჭიროა ამერიკის კომპარტიისა და ჩინეთის კომპარტიის თანამშრომლობა ამერიკაში მცხოვრებ ჩინელ მშრომელთა დასარაზმავად. ამასთანავე საჭიროა, რომ ჩვენს ანტი-მილიტარისტულ ბრძოლას დავუკავშიროთ მუშაობა ზანგებს შორის.

შეერთებული შტატების კომპარტია ამერიკის მუშებს მოუწოდებს საბჭოთა კავშირის დაცვისაკენ, მოითხოვს საბჭოთა კავშირის ცნობას და ამერიკა-საბჭოთა კავშირის ვაჭრობის განვითარებას.

ჩვენს მთავარ მიზანს წარმოადგენს იმპერიალისტური ომის სამოქალაქო ომად გადაქცევა პროლეტარული დიქტატურის დასამყარებლად“. (ტაში).

ბარბეს თანამოხსენება

ომის საფრთხის შესახებ მეორე თანამოხსენებით გამოვიდა **ბარბე** (საფრანგეთი).

„საფრანგეთის ბურჟუაზია,—სთქვა ბარბემ,—გაფაციცებით ემზადება იმპერიალისტური ომისათვის.

უკანასკნელ წლებში სამხედრო და საზღვაო ბიუჯეტი ოთხჯერ გაიზარდა. გარდა ამისა, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა შეიარაღებაც, რასაც, კერძოდ, წყალქვეშა ნავების ტონაჟის გადიდება მოწმობს.

უკანასკნელი სამხედრო კანონი მნიშვნელოვან მომენტს წარმოადგენს საფრანგეთის საომარ მზადებაში. ამ კანონით, რომელსაც მხარი დაუჭირეს სოციალ-დემოკრატებმა, ომში მონაწილეობა უნდა მიიღოს ყველა ტექნიკურმა და სოციალურმა ძალამ. სოციალ-დემოკრატია ამ კანონის დაცვით ცინიკური გულახდილობით აღიარებს მის იმპერიალისტურ მიზნებს. საფრანგეთის ბურჟუაზიამ ამ უკანასკნელ დროს მრავალი საზოგადოება მოაწყო ახალგაზრდობის სამხედრო აღზრდისათვის.

არმიის რეორგანიზაცია, ახალ მსოფლიო ომისათვის მზადების გარდა მიზნად ისახავს კოლონიებში ბატონობის გაადვილებას, კოლონიალური სამფლობელოების გაფართოებას და რევოლუციონური მოძრაობის იოლად ჩაქრობას მეტროპოლიაში, განსაკუთრებით არმიის საკადრო ნაწილებისა და სახელმწიფო და ადგილობრივი პოლიციის გაძლიერებით.

ამასთანავე რეფორმისტების დახმარებით ბურჟუაზია ცდილობს გამოიყენოს პროფკავშირები, როგორც დამხმარე ორგანიზაციები, მომავალ იმპერიალისტურ ომში. საფრანგეთის სოციალ-დემოკრატია არა მარტო ბურჟუაზიის აგენტია, არამედ ამავე დროს იგი აქტიურ მონაწილეობასაც იღებს საფრანგეთის იმპერიალისტური პოლიტიკის იდეოლოგიურ და პრაქტიკულ ხელმძღვანელობაში. ის იმდენად დაეცა, რომ საფრანგეთის მილიტარიზმისა და კოლონიალური პოლიტიკის საუკეთესო დამცველია. იგი აგრეთვე მომხრეა, რომ სახელმწიფომ გამოიყენოს შეიარაღებული ძალა მუშათა კლასისა და კოლონიალური ერების წინააღმდეგ.

ჩვენ გვსურს კომინტერნმა აღიაროს საფრანგეთის კომპარტიის დიდი მიღწევები იმპერიალიზმთან ბრძოლაში. ჩვენს ადმინისტრატიულ ბრძოლაში შევძელით ძველი ანარქისტული ტრადიციების აღმოფხვრა. თუ როგორ ვებრძოდით ომის საფრთხეს ლენინიზმის მიხედვით, მაგალითისათვის დავასახელებ ჩვენს კამპანიას მაროკოში წარმოებულ ომის წინააღმდეგ. ამ კამპანიის დროს დაჩაგრულ კოლონიალურ ერებთან დამმობილების ლოზუნგებით ჩვენი წრიდან აღმოვფხვრით სოციალ-დემოკრატიული შეხედულებების უკანასკნელი ნაშთი.

საფრანგეთ-იტალიის კონფლიქტთან დაკავშირებულ კამპანიაში ჩვენ ფაშიზმთან ბრძოლა დავუკავშირეთ საფრანგეთის იმპერიალიზმთან ბრძოლას. სამხედრო კანონის საწინააღმდეგო აგიტაციის დროს ჩვენმა პარტიამ მნიშვნელოვანი პროპაგანდა გასწია მშრომელ მასებში. განსაკუთრებით მოსახსენებელია ჩვენი საორგანიზაციო მუშაობა ახალწვეულ სათადარიგო ჯარისკაცებსა და აგრეთვე ქალებს შორის. ჩვენი მუშაობა არმიასა და ფლოტში ემყარება არა მარტო ჯარისკაცებისა და მეზღვაურების უკმაყოფილებას, არამედ მათი ნაწილობრივი მოთხოვნილებების დაკავშირებას ჩვენი პარტიის ანტიმილიტარისტულ ლოზუნგებთან.

თუმცა ანტიმილიტარისტულ მუშაობაში ჩვენმა პარტიამ ზოგიერთი შეცდომები დაუშვა, მაგრამ მაინც ამ მუშაობაში მან გამოზარდა პროლეტარულ მებრძოლთა ახალი თაობა. ამ თაობის საუკეთესო წარმომადგენლები არიან ახალგაზრდა მეზღვაურები, რომლებიც საპყრობილეებშიაც კი განაგრძობენ ბრძოლას იმპერიალიზმის წინააღმდეგ (ტაში).

ჩვენ მივესალმებით აგრეთვე სათადარიგო ჯარისკაცებს და იმ ამხანაგებს, რომლებიც კოლონიებში იმპერიალიზმს ებრძვიან, ეს ახალი თაობა იმის თავდებია, რომ ჩვენი პარტია შესძლებს შეუპოვრად განაგრძოს ბრძოლა ომის წინააღმდეგ იმ დრომდე, სანამ იმპერიალისტურ ომს სამოქალაქო ომად არ გადააქცევს“. (ტაში).

ამით დამთავრდა სხდომა.

კონგრესის შემდეგი სხდომა გაიმართება 3 აგვისტოს, დილის 9 საათზე.

საღამოს პლენარული სხდომა არ შესდგება. დელეგატები მონაწილეობას მიიღებენ ხეივუდისა და ლანდლერის დაკრძალვაში. (ადს).

სამხრეთ-სლავიის პარლამენტში

ვენა, 2 აგვისტო. როგორც ბელგრადიდან იუწყებიან, შესდგა სამხრეთ-სლავიის პარლამენტის პირველი სხდომა. მას შემდეგ, რაც ამ პარლამენტში სროლა მოხდა. სხდომამ მშვიდობიანად ჩაიარა. სხდომას ჰქონდა სამგლოვიარო ხასიათი. განხილვა სასწრაფო კანონპროექტებისა (ნეტუნის კონვენციის რატიფიკაციისა და საგარეო სესხის შესახებ) გადაიდო მახლობელ სხდომისათვის. (ადს).

გლეხურ-დემოკრატიული კოალიციის კონფერენცია

ვენა, 2 აგვისტო. ზაგრებიდან იუწყებიან, რომ იქ გაიხსნა გლეხურ-დემოკრატიული კოალიციის საპარლამენტო ფრაქციის კონფერენცია, რომელიც მოწვეული იქნა ნიშნად პროტესტისა კოროშეცის მთავრობის შედგენის წინააღმდეგ და აგრეთვე წინააღმდეგ იმისა, რომ მოწვეული იქნა პარლამენტის სესია ნეტუნის კონვენციის რატიფიკაციის და სამხრეთ-სლავიის ვალიუტის სტაბილიზაციის შესახებ კანონის გასატარებლად.

კონფერენციამ პრესაში გამოაქვეყნა ცნობა. ამ ცნობაში აღნიშნულია, რომ გლეხურ-დემოკრატის სკუპშტინა, რომელსაც ამჟამად ბელგრადში სხდომები აქვს, არ მიაჩნია კოალიციას უფლება-მოსილ პარლამენტად, რომლის გადაწყვეტილებასაც ძალა არ აქვს სამხრეთ-სლავიის ახალი ოლქებისათვის.

კონტრ-პარლამენტის სხდომის დროს ზაგრების ქუჩებში მოხდა დემონსტრაცია, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო რამოდენიმე ათასმა კაცმა დემონსტრაციის ლოზუნგი იყო: ხორვატების და სერბიელების გაერთიანებული ბრძოლა ბელგრადის ჰეგემონიის წინააღმდეგ. (ადს).

ლემმანის გამორიცხვა გერმანიის ნაც. პარტიიდან

ბერლინი, 2 აგვისტო. ლემმანის გამორიცხვა გერმანიის ნაციონალური პარტიიდან მთავარ სალაპარაკო საგანს წარმოადგენს ამჟამად პოლიტიკურ წრეებში.

ლემმანი ბელადია პარტიის წვრილ ბურჟუაზიული წრეებისა. ამ წრეების ინტერესებს ეწინააღმდეგებიან პარტიის მთავარი როგების—დასავლეთ—გერმანიის მრეწველობის ინტერესებს, რომელთაც გუგენ-ბერგი მეთაურობს.

ლემმანი იმისათვის გამორიცხეს, რომ მან, როგორც წვრილი ბურჟუაზიის ფართო მასების განწყობილების გამომხატველმა, მოითხოვა პარტიის ხელმძღვანელობისაგან—უარეყოთ რეაქციური და მონარქიული შეხედულებებისათვის დემონსტრატიული ხაზის გასმა და მოეკიდებინათ „ნოემბრის რესპუბლიკასთან დადებითი თანამშრომლობის“ პოლიტიკას.

ლემმანი სავაჭრო მოსამსახურეთა ნაციონალისტური კავშირის თავმჯდომარეა. მისმა გამორიცხვამ ძლიერ პროტესტი გამოიწვია ნაციონალისტურ ორგანიზაციებში. წვრილი ბურჟუაზიის მრავალმა ორგანიზაციამ მიმართა პარტიულ ცენტრს და მოითხოვა ლემმანის დაუყოვნებლივ აღდგენა (ადს).

კრეისერი „ავრორა“ ნორვეგიის წყლებში

ოსლო, 2 აგვისტო. როგორც ნორვეგიის დეპეშათა სააგენტო იუწყება, ნორვეგიის წყლებში საბჭოთა კრეისერის „ავრორა“-ს მოსვლის გამო, ნორვეგიის საზღვაო ძალთა უფროსმა კრეისერის უფროსთა შემადგენლობის და პოლიტიკური ხელმძღვანელების პატივსაცემად გამართა საუზმე—საუზმეზე იყვნენ აგრეთვე საბჭოთა კავშირის ელჩი ნორვეგიაში ამხ. კოლონტაი, საბჭოთა დიპლომატიური მისიის წევრები და ნორვეგიის სამხედრო-საზღვაო წრეების წარმომადგენლები.

საბჭოთა ფლოტის მიმართ ტოსტის წარმოთქმის დროს ნორვეგიის საზღვაო ძალთა უფროსმა განაცხადა:

„ჩვენ დიდი მოხარული ვართ მივიღოთ საბჭოთა ფლოტის წარმომადგენლები, განსაკუთრებით ეხლა, როცა ჩვენ აღტაცებულნი ვართ „კრასინ“-ის იმ დიდი მუშაობით, რომელიც მან გასწია ნობილეს ექსპედიციის გადასარჩენად. მადლობას გიძღვნით ამუნდსენის ძებნის საქმეში ასე დიდად ხელის შეწყობის გამო“. (ადს)

ბალკანეთის ლოკარნო

ანგორა, 2 აგვისტო. თურქეთში ჩამოსულმა თურქეთის ელჩმა ბულგარეთში ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, რომ 1 ნახ. თვის შემდეგ დაიწყება ოფიციალური მოლაპარაკება ბულგარეთ-თურქეთის ხელშეკრულების დადების შესახებ, რომელიც პირველი რეალური ნაბიჯი იქნება ბალკანეთის ლოკარნოს შექმნის გზაზე. (ადს).

ცენზურა ეგვიპტეში

ლონდონი, 2 აგვისტო. ეგვიპტეში შემოიღეს გაზეთების სასტიკი ცენზურა. ვაფდისტურ ორგანოებს დახურვის მუქარით ოფიციალური პარტიული ცნობების დაბეჭდვაც კი აეკრძალათ. კერძოდ, აკრძალულ იქნა ვაფდისტების დეპუტატებისა და სენატორების მიერ შემუშავებული დეკლარაციის გამოქვეყნება, რომელიც პარლამენტის დათხოვნას უკანონოდ აცხადებდა (ადს).

ამხ. ბენჩინის დაკრძალვა

ვენა, 2 აგვისტო. 2 აგვისტოს აქ დაკრძალეს საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენელი ავსტრიაში ამხ. ბენჩინი. ბენჩინის გვამის დაწვას კრემატორიუმში დაესწრო საბჭოთა კოლონია და ავსტრიის გარეშე საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი (ადს).

ავსტრიის მთავრობის სამძიმარი ბენჩინის გარდაცვალების გამო

ვენა, 2 აგვისტო. საბჭოთა კავშირის საქმეთა რწმუნებულმა ავსტრიაში ამხ. კალინამ მიიღო ავსტრიის კანცლერის ზეიპელის წერილი, რომლითაც ის ავსტრიის მთავრობის სახელით გამოსთქვამს მწუხარებას საბჭოთა სავაჭრო წარმომადგენლის ბენჩინის გარდაცვალების გამო. (ადს)

საბჭოთა კავშირში

რუსეთის თესლეულის ფონდი

მოსკოვი, 3 აგვისტო. თესლეულის ფონდის ის რაოდენობა, რომელიც დაუყოვნებლივ უნდა განაწილდეს რსფსრ-ში, შრომისა და თავდაცვის საბჭოს მიერ განსაზღვრულია 3.600.000 ფუთით, აქედან ჭვავი—675.000 ფუთი, ხორბალი—2.925.000 ფუთი. ამხ. იაკოვლევს დაევალა საბჭოთა კავშირის ვაჭრობისა და რ. ს. ფ. ს. რ-ის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატების წარმომადგენლების მონაწილეობით განსაზღვრონ სათესი მარცვლის დაზგვის ვადები ცალკე რაიონებში. (ადს).

საკავშირო სპარტაკიადა

მოსკოვი, 3 აგვისტო. ადგილებიდან მოსული ცნობები მოწმობს დიდ ინტერესს საკავშირო სპარტაკიადისადმი სასპორტო ორგანიზაციების მხრივ. სულ სპარტაკიადაში მონაწილეობას მიიღებს 6.125 ფიზკულტურელი. ამას გარდა, 12 უცხო სახელმწიფოდან უკვე წამოვიდნენ სხვადასხვა პროლეტარული სასპორტო ორგანიზაციების წარმომადგენლები. სპარტაკიადა გაიმართება მოსკოვში 11—22 აგვისტოს. საკავშირო ცაკის პრეზიდიუმმა დააწესა საკავშირო ცაკის სახელობის სამი ჯილდო სპარტაკიადაში გამარჯვებული საუკეთესო ჯგუფების დასაჯილდოვებლად (ადს).

პროლეტარულ სტუდენტთა ბიუროს პლენუმი

მოსკოვი, 3 აგვისტო. საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა, 25 სექტემბერს მოიწვიოს პროლეტარულ სტუდენტთა ცენტრალური ბიუროს მე-4 პლენუმი (ადს).

კაბუკის თეატრი მოსკოვში

მოსკოვი, 3 აგვისტო. იაპონური თეატრის კაბუკის მსახიობთა ჯგუფი სადანძის მეთაურობით ეწვია ამხ. კარახანს და ლუნაჩარსკის (ადს).

მ. გორკი ყაზანში

ყაზანი, 3 აგვისტო. 3 აგვისტოს გემით „ურიცკი“ ყაზანში ჩამოვიდა მ. გორკი. მწერალს შეხვდნენ მთავრობისა და საზოგადოებრივი კომიტეტის წარმომადგენლები. ადგილობრივი ორგანიზაციები გულთბილად შეხვდნენ (ადს).

მეცნიერთა დასასვენებელი სახლი კისლოვოდსკში

პიატიგორსკი, 3 აგვისტო. კისლოვოდსკში გაიხსნა მეცნიერთა დასასვენებელი სახლი. სახლის აგებას და მოწყობას მოუნდა სულ ორი თვე. გახსნაზე სიტყვა წარმოსთქვეს ამხ. ლებედევმა და აკადემიკოსმა ოლდენბურგმა.

რკინის გზა ტერმეზ-დიუშამბე

მოსკოვი, 3 აგვისტო. შრომისა და თავდაცვის საბჭომ წინადადება მისცა გზათა სახალხო კომისარიატს გადასდოს 1928—29 წლ. ხარჯთ-აღრიცხვით—3.000.000 მანეთი ტერმეზ-დიუშამბეს რკ. გზ. გასაყვანად დინამდე. ფინსახკომს დაევალა მიმდინარე წლის აგვისტოსა და სექტემბრის განმავლობაში გადასცეს გზათა სახალხო კომისარიატს 1 მილიონი მანეთი აღნიშნული რკინის გზის გასაყვანად. დანარჩენი 2 მილიონი უნდა გადაიდოს მომავალი წლის პირველი ექვსი თვის განმავლობაში. (ადს).

ნობილეს ექსპედიციის გარშემო

მფრინავ ბაბუშკინის ცნობა

მოსკოვი, 2 აგვისტო. ბაბუშკინმა საკავშირო დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელს გადასცა დაწვრილებითი ცნობები თავისი მუშაობის შესახებ.

„როდესაც ექსპედიციაში მივდიოდით,—სთქვა ბ. უშკინმა,—ვიცოდით, რომ გზაზე მრავალი დაბრკოლება გადაგვეღობებოდა. ჩრდილოეთის მცოდნეები პროფ. ვიზე და ლავროვი, რომლებიც იცნობენ ყინულის მდგომარეობას, ჰფიქრობდნენ, რომ წლის ამ სეზონში „მალიგინ“-ს გზაზე ძნელად გასავლელი ყინულები შეხვდებოდა. ჩვენი მუშაობის განსაკუთრებულ სიძნელეს წარმოადგენდა ის, რომ „მალიგინ“-ის მოქმედების რაიონი ამ დროს ძლიერი ბურუსით არის ხოლმე მოცული, მაგრამ ჩვენ სასოწარკვეთილებას არ ვეძლეოდით და იმედი გვქონდა, რომ მუშაობას წარმატებით დავამთავრებდით.

„მალიგინ“-ი მალე მოხვდა გაუვალ ყინულებში და მან ველარ შესძლო წინ წასვლა. მე გადავსწყვიტე—გავფრენილიყავ იმ ადგილამდე, სადაც საფიქრებელი იყო ნობილეს ჯგუფი, იქნებოდა კიდევ 225 მილი. ძნელი იყო ასეთი მანძილის გავლა ძარს დაუშვებლად. საჭირო იყო დამატებითი ბაზის მომზადება. გადავსწყვიტეთ ბაზის მოგვარება კარლის კუნძულთან. იქ ჩვენ დავტოვეთ რამოდენიმე ლიტრი ბენზინი და აფრენილით ჰაერში უკან დასაბრუნებლად. ისეთი ბურუსი იყო, რომ „მალიგინ“-ი სულ აღარ მოსჩანდა. დავკარგედ მისი მოძებნის იმედი და დავეშვით პატარა ყინულზე, სადაც გავატარეთ ღამე. დათვებმა მეტად დიდი ცნობისმოყვარეობა გამოიჩინეს, ისინი მოდიოდნენ ახლოს, სუნავდნენ თვითმფრინავს, უახლოვდებოდნენ კაბინას. იძულებული შევიქენით დაგვეწესა მორიგეობა, ვაშინებდით სასიგნალო მაშხალებით. ბურუსმა 28 საათს გასტანა. რადიო კავშირი გაფუჭდა, ჩვენც შევშფოთდით. ამ დროის განმავლობაში კინო ოპერატორმა ვალენტეიმ გადაიღო ყინულზე დაშვება, დროშის აღმართვა და სალიუტი. ბოლოს, ბურუსი გაიფანტა. გამოვარკვიეთ, სად ვიმყოფებოდით, და აფრინდით ჰაერში. როდესაც „მალიგინ“-ზე დავბრუნდით, გამოვცვალეთ მოტორი.

29 ივლისს კვლავ გავფრინდით. ბურუსის გამო იძულებული ვიყავი დაბლა მეფრინა. 40 წუთის შემდეგ შესწყდა რადიოს მუშაობა. მოისპო ყოველივე კავშირი ყინულის მკრელთან, ვფრენდი ძლიერ დაბლა, ყინულთან ახლო, და არ ვიფიქრებდი, რომ ვიზე, თავის დაპირების თანახმად, შეეცდებოდა კარლის კუნძულთან მისვლას. ბურუსმა იძულებული გაგვხადა დავშვებულიყავით ყინულზე, სადაც დავყავით 1-ლ აგვისტომდე. ჩემი ანგარიშით „მალიგინ“-ი დაშორებული იყო ჩვენგან 120 კილომეტრის მანძილზე, ჩრდილოეთისაკენ, 2 დღის შემდეგ ამინდი უფრო გაფუჭდა. მიუხედავად იმისა, რომ გაფრენა ყოვლად შეუძლებელი იყო, იძულებული შევიქენით აფრენილიყავ დაღუპვის თავიდან ასაცილებლად.

ერთი საათის განმავლობაში ბურუსში ვიყავ გახვეული, დავკარგე გზა და გადავსწყვიტე დავბრუნებულიყავ პირველ შესაძლებლობისთანავე. დაშვების ადგილი ხელსაყრელი გამოდგა—იგი სულ 25 კილომეტრით აღმოჩნდა დაშორებული კუნძულ იმედისაგან. ღელვა თანდათან ძლიერდებოდა, შემოგვაკლდა სურსათი. პირველად გავდევნეთ ერთი დათვი, მაგრამ შემდეგ გადავსწყვიტეთ—ეს აღარ ჩაგვედინა, პირიქით ვცდილობდით, შემოგვეტყუებია ისინი, რომ მოგვეკლა და ხორცით გვესარგებლა. მალე თვითმფრინავს მოუახლოვდა უზარმაზარი დათვი, რომელიც ახლო მოვუშვი და შემდეგ ვესროლე. ამოვსჭერით ჩვენთვის საჭირო ხორცი, ხოლო დანარჩენი ლეში წყალში გადავაგდეთ, რომ დათვებს ხორცის სუნი არ სცემოდათ, რადგან ეს მათ საშინლად აშმაგებს.

ყინულზე ყოფნა საშიში შეიქნა, რადგან [illegible] თოვლი წამოვიდა, დავნიშნეთ მორიგეობა და ფხიზლად ვადევნებდით თვალყურს, რომ არ დამსხვრეულიყო ყინულის ის ნაჭერი, რომელზედაც ჩვენ ვიმყოფებოდით. მექანიკოსი გროშევის მორიგეობის დროს ყინულმა მსხვრევა იწყო. შეშფოთებულებმა მძიმე და უძილო საათები გავატარეთ კაბინაში. მთელი ამ დროის განმავლობაში მოტორი მზად გვქონდა იმისათვის, რომ სამ წუთში შეგვძლებოდა ჰაერში აფრენა, თუ ყინული დაიმსხვრეოდა. სანამ მოტორი მუშაობდა, გადარჩენის მცირე იმედი კიდევ გვქონდა.

მეოთხე დღეს ღელვა შენელდა და ჩვენ გავფრინდით „მალიგინ“-ისაკენ. ცოტა ხნის შემდეგ შევამჩნიე, რომ გზა დავკარგოდა. ბენზინი თავდებოდა. გადავსწყვიტეთ ყინულზე დაშვება. ყინული ცუდი აღმოჩნდა, ზოგ ალაგას დაზიანებული. განსაკუთრებით აშკარა გახდა ეს დილით, მას შემდეგ, რაც ამ ყინულზე ღამე გავატარეთ. მიკვირს, როგორ არ დავიღუპეთ ჩვენი ჰაეროპლანით. ყინულმა ერთი კაცის სიმძიმეც კი ვერ აიტანა: როდესაც რადისტი ფომინიხი გადავიდა პროპელერის ასამუშავებლად, იგი მაშინვე ყინულის ქვეშ მოექცა. სიცივისაგან აკანკალებული ამოვყვანეთ წყლიდან. არაფერი გაიჩინდა, რომ ტანისამოსი გამოეცვალა. დიდ გაჭირვებით აფრინდი ჰაერში, პირველად „მალიგინ“-ი შემჩნია გროშევმა, რომელმაც ყურადღება მიაქცია შავ წერტილს. მე არ ველოდი, რომ ყინულის მკრელი ასე ახლო იქნებოდა კუნძულ იმედთან. დავეშვით ცოტა დაბლა და დავინახეთ „მალიგინ“-ის კვამლი.

ასე დამთავრდა ჩვენი სახიფათო ექსპედიცია.

საუბარის დამთავრებისას ბაბუშკინმა გამოსთქვა თავისი აზრი ამუნდსენის ბედ-იღბალის შესახებ: „ვფიქრობ, რომ ამუნდსენი ცოცხალი იყოს. არა მგონია, მან შესძლო ყინულზე დაშვება. მას, ალბად, გაუჭირდა მოტორი იმ დროს, როდესაც იგი წყალზე მიფრინავდა და „ლატამი“ წყალზე დაეშვა. სადაც ჩაიძირებოდა ძლიერი ღელვის გამო. (ადს).

კაპიტანი მარიანო

ოსლო, 2 აგვისტო. კაპიტანი მარიანო „ჩიტა და მილანო“-დან გადაიყვანეს შვეციისაკენ მიმავალ მატარებელში. მარიანო, ალბად, სტოკჰოლმში იქნება.

იტალიის აეროპლანები, რომლებიც „ლატამ“-ის ძებნაში იღებდნენ მონაწილეობას, ნარვიკში მოფრინდნენ.

„ჩიტა დი მილანო“ შპიცბერგენისაკენ გაემართა. (ადს).

შუამდგომლობა „კრასინი“-ს და „მალიგინი“-ს ეკიპაჟის დაჯილდოვების შესახებ

მოსკოვი, 3 აგვისტო. საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა, აღძრას შუამდგომლობა ცაკის წინაშე, რომ ყინულის მჭრელი გემების „კრასინი“-ს და „მალიგინი“-ს ეკიპაჟები დაჯილდოვებულ იქნან შრომის წითელი დროშის ორდენით და მიეცეთ მათ უფლება გამოხატონ ორდენი გემის აქსესუარებზე.

საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმმაც დაადგინა, სთხოვოს ცაკს, რომ ექსპედიციის ხელმძღვანელთ ცაკის სახელით მიეცეთ პერსონალური სამადლობელი სიგელები და ჯილდო ფულად. გარდა ამისა, საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა შესაძლოდ სცნო, რომ ეგე და ჩერტკოვი—„კრასინი“-ს და „მალიგინი“-ს კაპიტნები, რომლებმაც განსაკუთრებით იჩინეს თავი, დაჯილდოვებულ იქნან შრომის წითელი დროშის ორდენით, რის შესახებაც სათანადო შუამდგომლობა უნდა აღძრას წყალზე მომუშავეთა კავშირის ცაკმა. (ადს).

ნორვეგიის მისიის მადლობა „იტალიის“ დამხმარე კომიტეტს

მოსკოვი, 3 აგვისტო. ნორვეგიის სამეფო მისიამ მოსკოვში საგარეო საქმეთა სახ. კომისარიატის საშუალებით მადლობა გამოუცხადა „იტალიის“ დამხმარე კომიტეტს იმის გამო, რომ კომიტეტი და მისი ექსპედიციები დაუღალავად მუშაობდნენ პოლარულ ქვეყნებში დაკარგულთა დასახმარებლად (ადს).

საკავშირო პროფსაბჭოს მოწოდება ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის შესახებ

მოსკოვი, 3 აგვისტო. საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა პროფკავშირების წევრებს და საბჭოთა კავშირის მუშებს და მოსამსახურეებს და პროფორგანიზაციებს მიმართა მოწოდებით საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის შესახებ.

მოწოდებაში ნათქვამია:

„ქალაქისა და სოფლის ძალ-ღონით უახლოეს ხანში უნდა შესრულებულ იქნას უდიდესი სამეურნეო და კულტურული ამოცანები ჩვენი სოციალისტური მშენებლობის მთელი პროგრამის ცხოვრებაში გატარებისათვის, რისთვისაც საჭიროა მრავალი მილიარდი მანეთი. ყოველი მუშა სესხის ობლიგაციების შეძენით უნდა დაეხმაროს სახელმწიფოს საჭირო თანხების შეგროვებაში. მტკიცედ უნდა გვახსოვდეს, რომ კაპიტალისტური ქვეყნებისაგან არ უნდა ველოდოთ ფინანსიურ დახმარებას და მხოლოდ საკუთარი ძალ-ღონით მივაღწევთ შემდგომ გამარჯვებებს სამეურნეო ფრონტზე.

ამ ახალი სესხის ობლიგაციების შეძენა თავ-თავად წარმოადგენს ფულის შენახვის ყველაზე უფრო ხელსაყრელ ფორმას და ამავე დროს პირადი ინტერესები მუშისა და მოსამსახურისა, რომლებიც შეიძენს ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის ობლიგაციებს, სავსებით ეთანხმება პროლეტარიატისა და მისი ხელისუფლების საერთო კლასობრივ ამოცანებს. პროფკავშირის ყოველი წევრის კლასობრივი მოვალეობაა, ხელი მოუწყოს საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხს. მშრომელთა ფართო მასებს უნდა განემარტოს საბჭოთა მეურნეობის სესხის მნიშვნელობა და ამ სესხის ობლიგაციების შეძენის სარგებლობა. სესხზე ხელისმოწერა სავსებით ნებაყოფლობითი და ყოველგვარი იძულება აკრძალულია, მით უფრო ენერგიულად უნდა ჩატარდეს აგიტაცია სესხის სასარგებლოდ და მით უფრო მნიშვნელოვანია, რომ პროფკავშირის ყოველი შეგნებული წევრი იყოს ხელისმომწერთა პირველ რიგებში და თავისი მაგალითით გაიყოლიოს მთელი მუშათა მასა.

ჩვენი ლოზუნგია: მთელი წლის განმავლობაში ერთი თვის ხელფასი უნდა მიეცეს სესხად პროლეტარულ სახელმწიფოს სოციალისტური მშენებლობისათვის.

საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმი მოუწოდებს პროფკავშირთა ყველა წევრს და ყველა ორგანიზაციას დაუყოვნებლივ და ერთსულოვნად შეუდგნენ ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის გავრცელებას, გამოიყენონ ზეპირი და ბეჭდვითი პროპაგანდის საშუალებანი და დაეხმარონ სესხის გავრცელებისათვის ხელის შემწყობ კომიტეტებს.

მიზნად უნდა იქნეს დასახული, რომ ყოველი მუშა და ყოველი მუშა-ქალი გამოეხმაუროს მოწოდებას სესხის გავრცელების შესახებ.

საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმი დარწმუნებულია, რომ ეს მიზანი მიღწეული იქნება საერთო ძალ-ღონით (ადს).

შვიდი საათის სამუშაო დღეზე გადასვლა

მოსკოვი, 3 აგვისტო. შვიდი საათის სამუშაო დღის გამტარებელმა საბჭოთა კავშირის სახ. მეურნ. უმაღ. საბჭოს კომისიამ შეიწყნარა სათბობის მასალის მთავარ სახელმწიფო სამმართველოს წინადადება იმის შესახებ, რომ სურახანის ნავთის რაიონი შეტანილ იქნეს დამატებით იმ საწარმოთა სიაში, რომელიც 1928—29 წელს უნდა გადაიყვანონ შემოკლებულ სამუშაო დღეზე. მაგრამ ამასთან სათბ. მას. სრ. სახ. სამმართველო ვალდებულია, არავითარ შემთხვევაში არ დაუშვას რაიონში ჩაბმულ სამუშაო ძალის განაწილება. იგი ვალდებულია აგრეთვე უზრუნველჰყოს მომავალი წლისთვის განზრახული შემცირება თვითღირებულებისა (ადს).

გლეხკორ ბალდასაროვის საქმე

მარდაკერტი, 3 აგვისტო. პროკურორმა კუზანომა უარი განაცხადა ბრალდებაზე და სთქვა: „ჩვენ დავიწყეთ აქ გლეხკორის ბალდასაროვის პროცესი და დავამთავრეთ ყოფილი ბანდიტის ბალდასაროვის პროცესით“. პროკურორის აზრით, ბალდასაროვის მთელი ცხოვრება წარმოადგენდა განუწყვეტელ დანაშაულს: ქურდობა, ბანდიტიზმი, დატყვევება, ცრუ გლეხკორობა, — ყველა ეს ერთი ერთმანეთს მოსდევდა.

დამცველი ხოჯაევი შეეცადა ბალდასაროვის სრულ გამართლებას.

2 აგვისტოს, 25 საათის თათბირის შემდეგ, სასამართლომ გამოიტანა განაჩენი გლეხკორის ბალდასაროვის საქმის გამო.

ბრალდებული მკრტიჩიანი, ზულფუგარი, ხურშუდიანი, მარტიროსიანი და ავთანდილიანი სასამართლომ უდანაშაულოდ იცნო და გაამართლა.

ამავე დროს სასამართლომ დაადგინა მისცეს პასუხისგებაში ცრუ ჩვენების მიცემისათვის 4 მოწმე.

რაც შეეხება ბალდასაროვს, სასამართლომ დაადგინა: ბალდასაროვი, რომელიც იმპერიალისტურ ომში მონაწილეობას იღებდა, როგორც მოხალისე, მონაწილეობას იღებდა აგრეთვე დაშნაკელების ხმბაპეტის კერის რაზმში, რომელიც 1914 წლიდან იყო დაშნაკელების პარტიის წევრი, იყო მარჯვენა ხელი დაშნაკელების ბანდიტის კაზანჯიანისა, ასრულებდა დაშნაკელთა სატუსაღოს უფროსის თანამდებობას, მონაწილეობას იღებდა გლეხების წამებასა, გაძარცვასა და მკვლელობაში, რომელმაც აზერბეიჯანის გასაბჭოების შემდეგ თავისი ნათესავის შემწეობით მოახერხა დამჯდარ და საბჭოთა სხვა ორგანოებში შეძრომა, სადაც იგი განაგრძობდა ბანდიტებთან ერთად გლეხების ძარცვას და რომელიც მდაბალი მიზნით გლეხკორად გახდა და ეს გლეხკორობა მთელი წლების განმავლობაში—1923-დან—1928 წლამდის — გამოიყენა ანგარული მიზნით, რითაც მან სახელი გაუტეხა მუშურ - გლეხურ ხელისუფლებას,— მიცემულ იქნას პასუხისგებაში სისხლის სამართლის კოდექსის მე-79, 144 და 148 მუხლების ძალით. საქმე გადაეცეს საგამომძიებლო ორგანოებს. განაჩენი საბოლოოა. სასამართლოს დადგენილებით, ბალდასაროვი დააპატიმრეს (ადს).

თვითკრიტიკის გარშემო

ვსწერთ და ვლაპარაკობთ თვითკრიტიკის ლოზუნგის გატარების შესახებ, ვმუშაობთ პრაქტიკულად ამ ლოზუნგის უკეთ განხორციელებისათვის. და ამ ხნის განმავლობაში უდავოდ გვაქვს ესა თუ ის შედეგები. ესა თუ ის მიღწევები.

ამას აღნიშნავს ჩვენი პრესა, ცალკე ამხანაგები, ხელმძღვანელი ორგანოები და სხვა.

გვაქვს თვითკრიტიკის გადამახინჯების წინააღმდეგ მიღებული ზომები, რომელიც ყველას აფრთხილებს,—აძლიერებს პასუხისმგებლობის გრძნობას მაგრამ ყველაფერი ეს ჯერ კიდევ არ არის ყველგან შეგნებული საკმაო სიძლიერით.

ამხ. სტალინის აზრით „თვითკრიტიკა საჭიროა არა ხმაურობისათვის, არამედ სოციალისტური მშენებლობის გაუმჯობესებისათვის, თვითკრიტიკა არ უნდა ასცდეს სწორ გზას, თვითკრიტიკის ლოზუნგი არ უნდა დაკნინდეს, თვითკრიტიკა უნდა ამეტყველდეს ჩვენი და არა უცხო კლასისა და უცხო ელემენტების ენით. (ხაზგასმულია ჩემს მიერ ა. დ.).

და ცოტა უფრო ქვევით თავის წერილში ამხ. სტალინი სიტყვა-სიტყვით ლაპარაკობს: „თვითკრიტიკა არ უნდა გადავაქციოთ ჩვენი სამეურნეო მუშაკების წინააღმდეგ ამხედრებისა და მუშათა კლასის თვალში მათი სახელის გატეხის იარაღათ. სხვანაირად როგორ უნდა გავიგოთ ადგილობრივ ორგანიზაციების (ლაპარაკი უკრაინაზე და ცენტრალურ რუსეთის ზოგიერთი ადგილობრივი ორგანიზაციების შესახებ, ა. დ.) დადგენილებანი სამეურნეო მუშაკების თანამდებობიდან მოხსნის შესახებ, რომელთაც არავითარი სავალდებულო ძალა არა აქვთ, მაგრამ რომლებიც მხოლოდ მათი სახელის გატეხას ისახავენ მიზნად, როგორ გავიგოთ სხვანაირად, როცა თვითონ აკრიტიკებენ, მაგრამ სამეურნეო მუშაკებს არ აძლევენ საშუალებას პასუხი გასცენ კრიტიკაზე“.

ამხ. სტალინის ღირსშესანიშნავი და ფრიად საყურადღებო წერილიდან ზემოთმოყვანილი ადგილების შესახებ ვწერდი გაზეთ „მუშაში“: „რედაქტორები და გაზეთების პასუხისმგებელი ხელმძღვანელები ვალდებულნი არიან გულდასმით გაეცნონ ამხ. სტალინის წერილს, შეისწავლონ იგი, გაატარონ გადაუხვევლად და ამით სხვებსაც ასწავლონ მისი სწორად გატარება“.

მე მზად ვარ ეხლაც განვიმეორო იგივე და გულწრფელათ მოუწოდო აქეთკენ იმ ამხანაგებს, რომელთაც ნამდვილად სურთ საქმიანი, ჯანსაღი თვითკრიტიკის გატარება და არა სენსაცია და ხმაურობა.

სენსაციის, ხმაურობისა და დამახინჯების შესახებ ჩვენ ხშირად ვკითხულობთ ცენტრალურ ჟურნალ-გაზეთებში. მოვიყვანოთ ორიოდე მაგალითი: აი, რას სწერს, მაგალითად, ცენტრ. საკავშირო საკონტროლო კომისიის ერთ-ერთი ძველი მუშაკი ამხ. სოლცი ამა წლის 3 ივლისის „პრავდა“-ში:

„ჩვენი კრიტიკა უნდა იყოს არა უბრალო კრიტიკა, არამედ თვითკრიტიკა, ის ისე უნდა აკრიტიკებდეს, რომ ყველასათვის ნათელი იყოს, რომ ჩვენ თავთ თავს აკრიტიკებთ, რომ ჩვენ ჩვენს საკუთარ შეცდომებს ვაშკარავებთ, რომ ჩვენს საკუთარ ნაკლს ვაღიარებთ და რომ ჩვენ ამას ჩავდივართ იმიტომ, რომ აღმოვფხვრად ის, რაც ცუდია, რომ გავხდეთ უკეთესი. თვითკრიტიკის შესახებ უნდა ითქვას, რომ ვერც ჩვენი პრესა და ვერც ჩვენ თვითონ თავის გამოსვლებსა და დადგენილებებში ყოველთვის ვერ ვიძლევით სათანადო ტონს. ტყუილათ კი არ მიგვითითა ჩვენმა დიდებულმა მხატვარმა გორკიმ, რომელიც უბრალო სიტყვის ხელოვანი კი არ არის, არამედ ნამდვილი მხატვარი, რომელსაც უყვარს ადამიანი და ესმის, რომ მხოლოდ მისთვის (ადამიანისათვის) შენდება სოციალიზმი. გორკი მოვიდა თუ არა ჩვენში, იმ წამსვე შენიშნა, რომ ჩვენ ისე მეტისმეტად ვჩქარობთ და სასტიკად ვაშკარავებთ, ვაკრიტიკებთ რომ ასე გვგონებია: იმას ვინც აკრიტიკებს და ააშკარავებს, ხანდახან ისეთი ტონი აქვს, რომ ასე გეგონებათ თითქო საქმე იმაში იყოს, რომ ივანე უსათუოდ დაისაჯოს და შეიცვალოს პეტრეთი ან და ისიდორე შეიცვალოს სერგოთი. არა, ჩვენს კრიტიკაში უფრო მეტი უნდა იყოს თვითკრიტიკა, მეტი უნდა იყოს წინდახედული ზრუნვა იმაზე, თუ როგორ გამოვასწოროთ საქმე... და არა მარტო გამოაშკარავება და ვისმეს დასჯის ჟინიანი სურვილით გამოწვეული გალიზიანება“. „ეს იქნებოდა არამც თუ მიზანშეუწონლობა, არამედ უსამართლობა და არასიწორე“.

იმავე „პრავდის“ 4 ივლისის №-ში მოსკოვის საკონტროლო კომისიის თავმჯდომარის ამხ. კოროსტელიოვის მიერ საკონტროლო კომისიის პლენუმზე გაკეთებულ მოხსენების გამო დაბეჭდილი სტატიის ზემოთ ანშლაგში არის შემდეგი სიტყვები: „არ არის საჭირო სენსაცია, პანიკა და გადაჭარბება. ვინც საითკენ არ უნდა გაექანოს ეხლა ყველა თავის წმინდა მოვალეობათ სთვლის რათაც არ უნდა დაუჯდეს უსათუოდ „აღმოაჩინოს“ ყოველგვარი დაჩირქებული მუწუკები. უმთავრესი ამოცანა საკონტროლო კომისიების იმაში მდგომარეობს, რომ დაბალ ფენებს მიეცეს საშუალება გაკრიტიკების და ამასთანავე დავიცვათ ყოველგვარი უსიამოვნებისაგან ისინი, რომლებიც აკრიტიკებენ“.

შემდეგ „პრავდის“ იმავე №-ში სხვათა შორის მოყვანილია ამხ. კოროსტელიოვის შემდეგი სიტყვები:

„თუ მუშებისათვის საკმარისია, რომ მათი კრიტიკა სწორი იყოს 10 პროც 15 პროც., ჩვენი, ესე იგი საკონტროლო კომისიის კრიტიკა უნდა იყოს სწორი, 90 პროცენტით მაინც. ნაცვლად ამისა კი ჩვენ ხშირად მივდივართ ნაკლები წინააღმდეგობის ხაზით და არე-მარეს ვაყრუებთ სენსაციისა და ხმაურობის საშუალებით“.

ხმაურობის, სენსაციის და დამახინჯების წინააღმდეგ ლაპარაკი და ბრძოლა საჭიროა ადგილებზეც, საჭიროა ადგილობრივადაც და ამ გარემოებას პირველ ყოვლისა ყურადღება უნდა მიაქციონ საკონტროლო ორგანოებმა და იქ მომუშავე ამხანაგებმა.

აი, კიდევ ერთი საყურადღებო მაგალითი: მოსკოვის კომიტეტის ორგანოში ჟურნალში) „სპუტნიკ კომუნისტა“ № 10—67 30 მაისი) თვითკრიტიკის ლოზუნგის დამახინჯების შესახებ ვკითხულობთ შემდეგ საინტერესო ფაქტს (საკითხი შეეხება სახელმწიფო ნიშნების მბეჭდავ დაწესებულებას): „უჯრედმა სრულიად სამართლიანად დააყენა საკითხი უმაღლესი პარტ. ორგანოების წინაშე „გოსზნაკის“ მმართველობის მუშაობის შესახებ. უჯრედმა გამოააშკარავა მმართველობის მხრით მთელი რიგი ბიუროკრატიული გადამახინჯებანი, უყურადღებობა, გულგრილი მოპყრობა მუშების მოთხოვნილებებისა და იმ საკითხებისადმი, რომლებსაც აყენებდენ მმართველობის წინაშე პარტიული ორგანიზაციები და პროფესიონალური კავშირები.

პარტიული ორგანიზაციის მოთხოვნილების თანახმად მ. გ. ინსპექციამ მოახდინა დაწესებულების გამოკვლევა, დამტკიცდა მთელი რიგი ბიუროკრატიული გადამახინჯებების შემთხვევები, მ. გ. ინსპექციამ მისცა მთელი რიგი დირექტივები რაციონალიზაციის და აპარატის მუშაობის გაუმჯობესების მიზნით. მაგრამ უჯრედმა დასვა რა საკითხი ბიუროკრატიზმის შესახებ, ამასთანავე ერთად მობილიზაცია უყო უჯრედის და დანარჩენ მუშების მასებს შემდეგი ლოზუნგის ირგვლივ: „ძირს ენუქიძე“ და თან გამოიყვანა იგი კინაღამ კლასიურ მოსისხლე მტრად. (ამხ. ენუქიძე არის ძველი მუშა, პარტიის წევრი, ძველად არალეგალურად მომუშავე. აგერ რამდენიმე წელიწადია იგი განაგებს, „გოსზნაკის“ საქმეს მოსკოვში).

საკავშირო ცენტრ. საკონტროლო კომისიამ აღნიშნა რა ამხ. ენუქიძის მუშაობაში სხვადასხვა ნაკლი ვერ სცნო შესაძლებლად ეხლავე მისი სამუშაოდან მოხსნა ვინაიდან ამხ. ენუქიძეს ქონდა 10 წლის სტაჟი ხსენებულ სერიოზულ საქმეში.

უჯრედის ბიურომ კი ნაცვლად იმისა, რომ აეხსნა და განემარტა სხვებისათვის ეს დადგენილება, დაიკავა შეურიგებელი პოზიცია ნაცვლად იმისა, რომ ამას შემდეგ დაესვა და წამოეყენებინა წარმოების ძირითადი საკითხები. დაიწყო წვრილმანი ხასიათის ამხედრება და დევნა და ბოლოს საქმე იქამდე მიიყვანა, რომ მისი მეოხებით პარტიულმა აქტივმა მსჯელობა იქონია უჯრედის მდივნის მიერ ავტომობილით სარგებლობის უფლების წესრიგების, უჯრედის მიერ ტელეფონით სარგებლობისა და სხვა წვრილმანების შესახებ. და აი, უჯრედმა თავისი საქციელით სახელი გაუტეხა მუშების თვალში არა მარტო თავის თავს, არამედ ჩვენს უმაღლეს ორგანოებსაც, ვინაიდან უპარტიო მუშები არ იშვებენ პარტიულებს და წამდაუწუმ ეკითხებიან თუ რატომ არ არის მოხსნილი ამხ. ენუქიძე და თან საქმეს ისე სახავენ, რომ თითქო ენუქიძეზე „ძლიერი მხეცი არა არსებობს“, რომ ვინაიდან მისი „დამთურგნელი“ არც ცაკაში და არც მოსკოვის კომიტეტში არ მოიპოვება“.

აი, თუ გნებავთ სამაგალითო ნიმუში გადაჭარბების, დაწვრილმანების, თავისა და სხვისი სახელის გატეხის, დამახინჯების და „დათვური სამსახურის“.

ასეთ გადაჭარბებას, დამახინჯებას და დაწვრილმანებას უნდა ერიდოს ადგილობრივი ბიუროები და რაიკომები ჩვენშიაც, ვინაიდან ასეთ მოვლენებს შესაძლებელია აქაც ქონდეს ადგილი.

უნდა გვახსოვდეს, რომ ძალიან ბევრი რამ არის დამოკიდებული სწორი ტონის მიცემასა და ხელმძღვანელობაზე.

ჩვენ მოვიყვანეთ საკმაო მასალები იმისათვის, რომ ერთხელ კიდევ დაგვენახვებია მკითხველებისათვის, რომ თვითკრიტიკის ლოზუნგის დამახინჯება ფაქტია, რომ ამ გარემოებას სათანადო ყურადღება ექცევა ცენტრში ჟურნალ-გაზეთებისა და ცალკე მუშაკების მხრით.

ასევე უნდა მოვიქცეთ ჩვენშიაც თუ გვინდა, რომ თვითკრიტიკა იყოს ულმობელი, მაგრამ საქმიანი, ჯანსაღი, ბოლშევიკური ენით ამეტყველებული.

ეხლა ორიოდე სიტყვა სხვაგვარი ხასიათის ნაკლის შესახებ თვითკრიტიკის ლოზუნგის გატარების დროს. ვსთქვათ, რომ გვაქვს სავსებით ჯანსაღი და საქმიანი კრიტიკა და ვატარებთ მოურიდებლად, გაბედულად, ბოლშევიკურად. ამ შემთხვევაშიაც კი შეიძლება ადგილი დაურჩეს დიდ ნაკლს. ამ ნაკლის მოსალოდნელობაზე ჩვენ აქ სულ არ გვილაპარაკნია, ან და ძალიან ცოტა.

რისთვის არის საჭირო თვითკრიტიკა და ან რატომ ეწოდება მას თვითკრიტიკა და არა კრიტიკა. პასუხი: თვითკრიტიკის საშუალებით ჩვენ უნდა გამოვააშკარაოთ და ვაღიაროთ ყოველგვარი ჩვენი ნაკლი, დეფექტები და შეცდომები, რომლებიც არ შეიძლება არ ახლდეს ისეთ დიდ საქმეს, რომელსაც ეწოდება სოციალისტური აღმშენებლობა, რა არის ამის უმთავრესი მიზანი? უმთავრესი მიზანი ის არის, რომ ჩვენ ჩვენი ნაკლისა და შეცდომების აღიარებით ვსწავლობთ უკეთესად მუშაობას, ვასწორებთ შეცდომებს, ვაუმჯობესებთ საქმეს და მივდივართ წინ. ეს ბევრჯერ თქმულა, ბევრჯერ დაწერილა და ტარდება კიდეც, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმ გადამახინჯებებს, რომლების შესახებ ზემოთ გვქონდა ლაპარაკი და რომელთაც უსათუოდ დროებითი ხასიათი აქვს.

რატომ ეწოდება თვითკრიტიკა და არა კრიტიკა. იმიტომ რომ კრიტიკას ამ შემთხვევაში აწარმოებს თვითონ ჩვენი პარტია, თვითონ ბოლშევიკური პარტია, რომელიც დღეს მმართველი პარტია არის, ხელმძღვანელობს უზარმაზარ პროლეტარულ სახელმწიფოს და მიჰყავს მუშათა კლასი და მშრომელი გლეხკაცობა საბოლოო გამარჯვებისაკენ. უწოდებს იმიტომ, რომ პროლეტარიატის დიქტატურის ხანაში სოციალიზმის მშენებლობის ხანაში, არ შეიძლება არსებობდეს სხვა რომელიმე კლასისა და პარტიის კრიტიკა, არ შეიძლება არსებობდეს მოწინააღმდეგის კრიტიკა, მენშევიკური კრიტიკა; ასეთი კრიტიკა მიზნად დაისახავდა და ისახავს კიდეც არა ჩვენს წინსვლასა და განვითარებას, არამედ დანგრევას, სახელის გატეხას, დამარცხებას და მოსპობას. ასეთ კრიტიკას ჩვენ ვებრძვით პროლეტარიატის დიქტატურის მთელის სისასტიკით და ულმობელობით.

მაშასადამე, ჩვენ ვალდებული ვართ, რომ არ გავიყინოთ ერთ წერტილზე, თვითონ ვაწარმოოთ ჩვენი კრიტიკა და ამასთან ერთად ფართო საშუალება მივსცეთ მუშებსა და მშრომელ გლეხკაცობას იმისათვის, რომ დახმარება გაუწიოს პარტიასა და საბჭოთა ხელისუფლებას ჩვენი მუშაობის ნაკლის გამოაშკარავებისა და გამოსწორების საქმეში.

თვითკრიტიკის მართლაც საუკეთესოდ და უნაკლოდ გატარება შესაძლებელი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა თვით ჩვენს საკუთარ „პარტიულ ოჯახში“, თვითონ ჩვენს რიგებში დაცული და გატარებული იქნება იგი ყოველი ხაზით, ნამდვილი ბოლშევიკურის პირდაპირობით და გამბედაობით, როცა მისი ტალღა პირველყოვლისა წამოვა ქვევიდან ზევით.

გვაქვს თუ არა ჩვენ აქ ამ ხნის განმავლობაში მიღწევები. ვატარებთ თუ არა მას ისე, როგორც საჭიროა მიღწევები გვაქვს, მაგრამ ჯერ-ჯერობით ძალიან ცოტა. ვატარებთ, როგორც საჭიროა, მაგრამ სუსტად და ამას აღიარებს ჩვენი ადგილობრივი პრესა და სამართლიანადაც იქცევა.

ჩვენ ჯერ მართლაც არა გვაქვს საქმიანი და ჯანსაღი თვითკრიტიკის ტალღის საკმაო მოძრაობა ქვევიდან ზევით. მართალია, ბიუროების გადარჩევის დროს თბილისის ორგანიზაციაში ჩვენ გვქონდა ფართო პარტიული მასების გამოცოცხლება და ამოძრავება, დავინახეთ თვითკრიტიკის ტალღა ქვევიდან ზევით, მაგრამ არსებითად ჯერ იგი უჯრედის ბიუროების ზევით არ წასულა და ეს კი უნდა მოხდეს მომავალში.

თვითკრიტიკა, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს ჩვენი აპარატის მარტო ნაკლის უბრალო ჩამოთვლას და რეგისტრაციას. მით უმეტეს არ ვარგა მარტო ამით ყაყანობა აქაო და აბა შემომხედეთ რა გიჟი ვარ ჩვენი ნაკლისა და შეცდომების ჩამოთვლაში ბადალი არა მყავს. მარტო ეს არ კმარა. საჭიროა ანალიზიც, საჭიროა მიზეზების ძებნაც. და აი, სწორედ აქ ვართ ჩვენ სუსტნი, სწორედ აქ ვემორჩილებით ჩვენ შაბლონს, სენსაციას და ხმაურობას. საჭიროა ამის დაძლევა.

თვითკრიტიკის ტალღა ქვევიდან აუცილებლად უნდა განშორდეს უჯრედის ბიუროებს, მისი აქოჩრილი ფაფარი უნდა მისწვდეს უფრო ზევით მდგომ ორგანოებს შესაფერი მომენტისა და ადგილის მიხედვით დასმული საკითხების განხილვის დროს. ყოველგვარი წამოყენებული და განსახილველად დასმული საკითხების გარშემო უნდა თავისი გამოხატულება ჰპოვოს საქმიანმა, გაბედულმა, ბოლშევიკურმა თვითკრიტიკამ.

პლენუმებმა, კომფრაქციების სხდომებმა, აქტივის კრებებმა, კონფერენციებმა, პარტიულმა ყრილობებმა და სხვ. პირდაპირ მოურიდებლად, გაბედულად და ბოლშევიკურად უნდა გააკრიტიკონ მათ მიერ არჩეული ორგანოებისა და პირების მოღვაწეობა, უნდა შეაფასონ მათ მიერ გადადგმული ნაბიჯები და დასახული ღონისძიებანი. საერთო ხელმძღვანელობასთან დაკავშირებით და თუ საჭიროება მოითხოვს შესაფერისად შესცვალონ ისინი.

თვითკრიტიკა ვერ განისაზღვრება და დაკმაყოფილდება მარტო ჩვენი სამეურნეო ორგანოებისა და სამეურნეო მუშაკების გაკრიტიკებით, მან ფრთები უნდა გაშალოს ხელმძღვანელ ორგანოების შიგნითაც. უამისოდ თვითკრიტიკა იქნება, დეფექტიანი, თუ შეიძლება ასე ვსთქვათ, ცალხელა. საჭიროა არის, რომ იგი იყოს ორხელა—რომლის მძლავრი მკლავები ზედა ფენის შიგნითაც სცემს და ქვევიდან წამოსულ აგორებულ ტალღის ფაფარსაც იჭერს თავისთან.

თვითკრიტიკა ყოველი ხაზით, პარტიულ ორგანიზაციებისა ყველა კუნჭულებში გამოუკლებლივ, და ყველამ ერთნაირად უნდა ვიზრუნოთ მის პრაქტიკულად გატარებისათვის.

ა. დოლიძე.

პარტიული ცხოვრება

ს. კ. პ. (ბ) ცეკას დირექტივა

მოსკოვი, 3 აგვისტო. საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკამ მოისმინა მოხსენება მუშგლეხკორთა დევნის ფაქტების გახშირების შესახებ. მოხსენების გამო მიღებულ დადგენილებაში ცეკამ საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებას დაავალა შეიმუშაოს დირექტივა გაზეთების რედაქციების მიმართ მუშგლეხკორთა დევნის შესახებ. საკავშირო პროფსაბჭოს ფრაქციას მიეცა წინადადება, გაატაროს საჭირო ღონისძიებანი საკავშირო პროფსაბჭოს დირექტივის (1927 წ. 23 თებერვლის თარიღით) განსახორციელებლად.

ცეკამ მიზანშეწონილად სცნო რამდენიმე საჩვენებელი პროცესის ჩატარება ადგილებზე მუშგლეხკორთა დევნის შესახებ და ამ ფაქტების ფართოდ გაშუქება პრესაში (ადს).

მოჯამაგირეთა შორის მუშაობის დეფექტები

პარტიის თბილისის კომიტეტმა მოახდინა მოჯამაგირეებს შორის წარმოებულ მუშაობის შერჩევითი გამოკვლევა. გამომჟღავნდა, რომ მიწა-ტყის კავშირს თბილისის მაზრაში ზოგიერთ მიღწევებთან ერთად მრავალი სერიოზული ნაკლოვანება აქვს.

ამჟამად ხსენებული კავშირის ამოცანას წარმოადგენს მოჯამაგირეების ჩაბმა კავშირში, კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის წარმოება მათ შორის, მოჯამაგირეების ჩაბმა სოფლის საზოგადოებრივ მუშაობაში და, რაც მთავარია,—მოჯამაგირეების ეკონომიური ინტერესების დაცვა (ბრძოლა ექსპლოატაციის ფარულ ფორმებთან, შრომის პირობების გაუმჯობესება, ყოფა-ცხოვრების საკითხები და სხ.).

რა მდგომარეობაშია კავშირში მოჯამაგირეთა ჩაბმის საქმე თბილისის მაზრაში. „ცოდვას“ ვერ დავმალავთ, უნდა ვაღიაროთ, რომ ეს საქმე მოიკოჭლებს. მაგალითად, 400 მოჯამაგირიდან აღბულაღის რაიონში მხოლოდ 80 მოჯამაგირეა კავშირის წევრი, ე. ი. 20 პროც., სართიჭალაში—23 პროც., მანგლისში—25 პროც.

ეს ცნობები მოწმობს, რომ მიწა-ტყის მუშაკთა კავშირისა და პარტიის ადგილობრივი ორგანიზაციები ჯეროვან ყურადღებას არ აქცევდენ მოჯამაგირეების ჩაბმას კავშირში და არავითარ ზომებს არ ღებულობდენ იმ მიზეზების აღმოსაფხვრელად, რომლებიც ხელს უშლიდენ მოჯამაგირეების კავშირში შესვლას (კულაკის ეკონომიური ზეგავლენა, დატვირთვა საზოგადოებრივი მუშაობისათვის და სხ.). მაგრამ პარტიის დირექტივებისა და კავშირის წესდების უხეშ დარღვევად უნდა ჩაითვალოს ისეთი ფაქტი, როგორიცაა არამშრომელ და აშკარად კულაკურ ელემენტების მიღება კავშირში. მაგალითად, სოფელ მულანლოს მსხვილი კულაკი, ვინმე აღამალ ჯაფარ-ოღლი, რომელიც სამ მოჯამაგირეს ამუშავებს თავის მეურნეობაში და თვითონ ხის ნახშირს, ამზადებს (მეტად ხელსაყრელი საქმეა)—კავშირის წევრია; კავშირის წევრია აგრეთვე ყოფილი თავად-მემამულე მუხრანი, რომელსაც საკმაოდ დიდი მეურნეობა აქვს. ასეთი მაგალითები ბევრია. ეს არამშრომელი კულაკური ელემენტები კავშირში ძვრებიან როგორც მეველეები და სეზონური დამამზადებლები.

მოყვანილი მაგალითებიდან ის დასკვნა გამომდინარეობს, რომ კავშირში მისაღებ პირთა სოციალურ მდგომარეობის გამორკვევას სერიოზული ყურადღება არ ექცევა საქმისადმი ასეთი დამოკიდებულება არავითარ არ ვარგა და პირდაპირ ეწინააღმდეგება კავშირის მუშაობის პრინციპებს.

ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია კავშირის შემადგენლობის გადასინჯვა და არა მშრომელ და კულაკურ ელემენტებისაგან გაწმენდა. მომავალში ახალი წევრების მიღების დროს საჭიროა მათი სოციალური და ქონებრივი მდგომარეობის გამორკვევა, კავშირში უმრავლესად მიღებულ უნდა იქნეს მოჯამაგირეები და საერთოდ პროლეტარული და არა პროლეტარული ელემენტები, რომელთათვის შრომის გაქირავება არსებობის მთავარ წყაროს წარმოადგენს.

მრავალ რაიონში მიწა-ტყის მუშაკთა კავშირში არიან ისეთი წევრები, რომლებიც თავიანთი მუშაობის ხასიათით სხვა კავშირში უნდა ირიცხებოდენ (სახალხო კვების, გემოკვების, კომუნალური მუშაკები, მელითონეები და სხ.), ზოგან ასეთი პირების რაოდენობა მიწა-ტყის კავშირის წევრთა საერთო მასის 40—50 პროც. შეადგენს. იმ დროს, როცა მოჯამაგირეები, სოფლის მეურნეობის მუშები და ტყის მუშაკები გაფანტული არიან სხვადასხვა რაიონებში,—სხვა კავშირებიდან გამოსული წევრები თავმოყრილია ცენტრში (იქ, სადაც რაიადგილკომია), რის გამო რაიადგილკომები მეტ ყურადღებას აქცევენ სხვა კავშირებიდან გადმოსულ პირთ, რომელთაც არავითარი საერთო არა აქვთ სოფლის მეურნეობასთან, მოჯამაგირეთა მთავარი მასა კი უყურადღებოდ რჩება.

ჩვენ ასეთი მდგომარეობა არანორმალურად მიგვაჩნია, განსაკუთრებით ამჟამად, როცა მოჯამაგირეებს შორის მუშაობას რთული ხასიათი აქვს და როცა მოჯამაგირეთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას მიწა-ტყის მუშაკთა კავშირი მაქსიმალურ ყურადღებას უნდა აქცევდეს. კავშირის გაწმენდა სხვა კავშირის წევრებისაგან, ყურადღების ცენტრის გადატანა იმ ადგილებში, სადაც მოჯამაგირეები დაგროვილი და კავშირის დაახლოვება მასებთან—მიწა-ტყის მუშაკთა კავშირის გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს. ამიტომ ჩვენ აუცილებლად მიგვაჩნია ერთხელ კიდევ გავიმეოროთ, რომ მიზანშეწონილია რაიადგილკომების გაუქმება და მოჯამაგირეთა კომიტეტების გაძლიერება. მათი უზრუნველყოფა კვალიფიციური, მომზადებული მუშაკებით. ეს საკითხი სადაოდ ითვლება, ვინაიდან არის ხალხი, რომელიც წინააღმდეგია იმის, რომ მიწა-ტყის მუშაკთა კავშირი გასწმინდოს სხვა კავშირების წევრებისაგან. ეს ხალხი ეყრდნობა რომელიღაც ორგანიზაციის გადაწყვეტილებას. ასეთი გადაწყვეტილება შეიძლება მართლაც არსებობდეს, მაგრამ საჭიროა მისი გადასინჯვა, ამას თვით ცხოვრება მოითხოვს; მიწა-ტყის მუშაკთა კავშირი ის აღარაა, რაც 2—3 წლის წინად იყო. იგი მნიშვნელოვნად გაიზარდა რიცხობრივად, ხოლო ეს გარემოება თავისი მხრით აუცილებელს ხდის მთელი მუშაობის შეფარდებას ახალ მოთხოვნილებებთან და კავშირის საქმიანობის გაუმჯობესებას.

ზოგიერთ მიღწევებთან ერთად, ეკონომიურ მუშაობის დარგში, გამოაშკარავდა შემდეგი ნაკლოვანებანი: მრავალ მოჯამაგირესა და დამქირავებელს შორის არაა დადებული შრომის ხელშეკრულება. შრომის ხელშეკრულებებში 10 საათ. სამუშაო დღე, შეტანილია როგორც ნორმალური სამუშაო დღე, იმ დროს როცა 10 საათ. სამუშაო დღე მოჯამაგირისათვის დასაშვებია როგორც გამონაკლისი განსაზღვრულ შემთხვევაში მთელ რიგ ხელშეკრულებებში აღნიშნულია 11, 12 და 13 საათის სამუშაო დღე, ხოლო ზოგიერთში ნათქვამია—„მზის ამოსვლიდან მზის ჩასვლამდე“. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ ლეგალურად, შრომის ხელშეკრულების საშუალებით გვერდს ვუხვევთ შრომის კანონს სოფლის მეურნეობაში. სუსტადაა მოჯამაგირის ფარული ექსპლოატაციის გამოაშკარავების საქმე. არ შეიძლება იმის თქმა, რომ ხელშეკრულებები 8 საათის სამუშაო დღით 40 პროც.-ითაც სრულდებოდეს. არ სრულდება აგრეთვე დირექტივა მოჯამაგირეების სპეცტანსაცმელით დაკმაყოფილების შესახებ. კულაკურ მეურნეობებში მომუშავე მოჯამაგირეთა დაზღვევა დამქირავებლის ხარჯზე ფაქტიურად მეტად სუსტად ტარდება.

მოჯამაგირეთა კულტურული დონის აწევა. მათი აქტივობის ზრდა და საზოგადოებრივ მუშაობაში ჩაბმა შეუძლებელია ისე, თუ არ გაუმჯობესდა მოჯამაგირეების ეკონომიური მდგომარეობა, ე. ი. თუ პირველ რიგში სათანადო სიმაღლეზე არ იქნა დაყენებული ეკონმუშაობა. მაშასადამე ზემოაღნიშნულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრას ეკონომიურ მუშაობის დარგში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ სოფლის ორგანიზაციებმა.

ი. გორდელაძე.

რეგლამენტი მტკიცედ უნდა დაიცვან

არა ერთხელ ყოფილა ლაპარაკი იმის შესახებ, რომ მტკიცე რეგლამენტის დაცვას პარტორგანიზაციის მუშაობაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს. მიუხედავად ამისა უჯრედებში ეს საკითხი დღემდე ვერ არის მოწესრიგებული, ხშირად კრება განსაზღვრავს დროს მომხსენებლისა და კამათში გამომსვლელთათვის, მაგრამ შემდეგ კრების თვითეული მონაწილე არღვევს ამ დადგენილებას.

ეს გარემოება ერთის მხრივ ასუსტებს უჯრედის წევრთა აქტივობას იმით, რომ ყველა მსურველებს აღარ ეძლევა კამათში გამოსვლის საშუალება, მეორეს მხრივ კი დიდ ხანს აგრძელებს კრებას, რაც დამსწრეებს ზედმეტად ღლის.

დავასახელოთ მაგალითი: 27 ივლისს მუშკოოპის უჯრედის სხდომაზე იდგა საკითხი პარტიული დისციპლინის შესახებ. რეგლამენტის მიღების შემდეგ მოხსენება გააკეთა ამხ. სეხნიაშვილმა, რომელიც დაწვრილებით შეეხო დისციპლინის დარღვევის შემთხვევებს.

კამათში რამდენიმე ამხანაგი ჩაეწერა, მაგრამ ორატორები თითქმის ისა და იმავეს იმეორებდნენ და 5—10 წუთს მაინც აცილებდნენ განსაზღვრულ დროს. ამის გამო კრება 4 ნახ. საათს გაგრძელდა. შედეგი კი რა მივიღეთ?—საკითხი დაუმუშავებელი დარჩა, კრების მონაწილენი დაიღალნენ და სხვა საკითხების განხილვასაც უგულოდ ეკიდებოდენ.

ცხადია ასეთი შემთხვევები უჯრედის ბიუროსა და კრების ხელმძღვანელობის სისუსტეს მიეწერება. მომავალში ეს მოვლენა არ უნდა განმეორდეს, რეგლამენტი მტკიცედ უნდა იქნას დაცული.

ა. მათხოვჯელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა საქართველო

წერილები

ბრძოლა მალარიასთან
(წერილი სიღნაღიდან)

ძველი დროიდანვე ცნობილია, რომ მდ. ალაზნის გაღმა და გამოღმა მხარე მალარიის ბუდედ ითვლებოდა. მალარიასთან ბრძოლის მიზნით გახსნილია საექიმო პუნქტები, რომელნიც ემსახურებიან მოსახლეობას ყოველგვარ ავადმყოფობის დროს, მაგრამ სპეციალურად მათ არ შეუძლიათ აწარმოონ ბრძოლა მალარიის წინააღმდეგ ზედმეტი მუშაობის გამო და ამიტომ ჯანსახკომმა გადასწყვიტა ალაზნის გაღმა, სოფ. ყარსუბანში გახსნას სამალარიო სადგური.

3 ივლისს ს. ყარსუბანში მოწვეულ იქნა თათბირი სიღნაღის მაზრის ჯანმრთელობის განყოფილების გამგის, ზაისუბნის, ლაგოდეხის, ვარდისუბნის თემ-აღმასკომების თავმჯდომარეთა, პარტიულ ორგანიზაციების და ყარსუბნის ექიმის თანდასწრებით სამალარიო სადგურის მოწყობის შესახებ. თემაღმასკომებმა სადგურს დაუთმეს საჭირო შენობა; იკისრეს მისი შეკეთება და ინვენტარით (სკამები; მაგიდა და სხვა) მოწყობა. სამალარიო სადგურს ემსახურება ორი ექიმი; ერთი ექ. თანაშემწე და დარაჯი. ჯანსახკომმა მოაწყო ლაბორატორია და იკისრა მედპერსონალის ხელფასის გაღება.

ადგილობრივ ექიმის ხელმძღვანელობით გამოცოცხლებულია მუშაობა წარსულ წელში შემდგარ სამალარიო კომიტეტის, რომელიც ყოველგვარ დახმარებას უწევს ექიმს მალარიის წინააღმდეგ ბრძოლაში. ჯერ კიდევ წარსულ წელში, როდესაც პროფ. ვირსალაძის ხელმძღვანელობით მუშაობდა ალაზან გაღმა-გამოღმა სამალარიო ექსპედიცია; მაშინვე გლეხობამ საჯარო ყრილობაზე მოითხოვა სამალარიო სადგურის გახსნის აუცილებლობა და ამ მიზნით ყრილობაზევე გამოყვეს სათანადო შენობა, მაგრამ ამ სურვილის განხორციელება მოხდა მხოლოდ წელს; 3 ივლისს; რასაც უნდა მივესალმოთ და ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინოთ.

ექ. შ. მირიანაშვილი.

მოძრავი კინო სოფლად
ვანი, ქუთაისის მაზრა

ამას წინად ვანის თემში და საერთოდ ჩვენს რაიონში მოგზაურობდა ქუთ. სამ. აღმასკომის მოძრავი კინო ა. ალასანიას ხელმძღვანელობით, აჩვენებდნენ სურათს „წარსულის საშინელება“, „სურამის ციხე“ და სხვა. ადგილობრივ ვანში, აღნიშნული სურათები ნაჩვენები იქმნა ამა წლის 13—14 ივლისს. დამსწრეთა რიცხვი იმდენად დიდი იყო, რომ სურათის ჩვენება ორჯერ მოეწყო, ვინაიდან დარბაზმა ერთბაშად ვერ დაიტია ხალხი.

ყოველ სურათის ჩვენების წინ დამსწრეთ აძლევდნენ სიტყვიერ ახსნა-განმარტებას, რომ გლეხობისათვის გასაგები ყოფილიყო სურათის შინაარსი. დამსწრეთ სიტყვით მიმართა ადგილობრივ კულტ-სექციის წევრმა ამხ. ა. ბურკაძემ, რომელმაც განმარტა კინოს მნიშვნელობა მშრომელი მასების კულტურული დონის ამაღლების საქმეში.

ვ. გოგიბაშვილი.

დროზე მოვიყვანოთ სისრულეში
სოფ. ჯიმითი, კახეთის მაზრა

ჩვენი სოფლის მესამე ქუდის უბან დარბაზში არის ეკლესიის შენობა, რომელიც დაკეტილია. თემაღმასკომს განზრახვა აქვს იგი გადააკეთოს სახალხო სახლად, ვინაიდან ორი უბნის ე. ი. დარბის და გადრეკილის მოსახლეობა მოწყვეტილია ზემო ჯიმითს, სადაც ხშირად იდგმება წარმოდგენები სახალხო სახლში და მით კი ვერ სარგებლობენ ზემო დასახელებული სოფლები.

ეკლესიის ეზო-მდებარეობა საკმარის სივრცეს შეადგენს, ამავე ეზოს ზედ [illegible]ლის ეზოც.

საჭიროა ამ კეთილ საქმის განხორციელებას კულტურულ სექციამაც შეუწყოს ხელი.

გიორგი გეთიაშვილი.

რას უნდა მიეწეროს?
(წერილი სენაკიდან)

ავადმყოფთა მიმართ უდიერად მოქცევა ქ. სენაკის საავადმყოფოს ექიმთათვის ჩვეულებრივი რამ იყო წინედ, ხოლო ამჟამად ასეთი მდგომარეობა რამოდენიმედ გამოსწორებულია სათანადო ზომების მიღებით. მაგრამ კიდევ არიან დარჩენილი ისეთი პირები, რომელთაც თანდაყოლილ თვისებად აქვთ გადაქცეული მოქალაქეთა უდიერი მოპყრობა, ისეთები, რომელთაც ვერ გაუგიათ და ვერ არიან დარწმუნებული, რომ ისინი იმყოფებიან მშრომელთა სახელმწიფოში. და ისიც რომ მშრომელთა ხელისუფლება სასტიკ ბრძოლას აწარმოებს ყოველგვარ ბიუროკრატიული მოქმედებისა და გადამახინჯების წინააღმდეგ.

ერთ მაგალითზე მინდა შევაჩერო სათანადო ორგანოების ყურადღება. ერთ მეეზოვეს ცოლი გაუხდა ავათ. უკანასკნელმა მიმართა კლინიკის ექიმს ჯ. ქ.-სა, რომელმაც ავადმყოფის გასინჯვის შემდეგ გასწერა საავადმყოფოში, რისთვისაც მეეზოვეს მისცა სათანადო მიმართვა საავადმყოფოსათვის.

დიდის ვაივაგლახით ღარიბმა მეეზოვემ მოახერხა ავადმყოფის წაყვანა ეტლით. მივიდა საავადმყოფოში, სადაც შეხვდა ექიმი იპოლიტე ჩხეტია. რომელსაც გადასცა მიმართვა ავადმყოფის მოთავსების შესახებ საავადმყოფოში. ხსენებულმა ექიმმა წაიკითხა და იქვე ტალახში გადაუგდო მეეზოვეს მოტანილი მიმართვა, ხოლო ავადმყოფის მიღებაზე უარი უთხრა. ჩხეტიამ ისიც არ იკადრა, რომ უარის მიზეზი ეთქვა და დაერიგებია მეეზოვე.

მეეზოვემ ბევრი ემუდარა, მაგრამ მან უყურადღებოთ დასტოვა და განკარგულება გასცა, რომ ავადმყოფითურთ აბარგებულიყო იქიდან. რის შემდეგ ავადმყოფი ისევ უკან წამოიყვანეს.

რას უნდა მიეწეროს ჩხეტიას ასეთი მოქმედება?

იმედია სათანადო ორგანო პასუხს მოსთხოვს ექიმ ჩხეტიას.

„ლეძთ“.

მთავარი ინჟენერი დიდკაცობს
(წერილი ლეჩხუმიდან)

სამხედრო ოსეთის გზატკეცილების ბედ-იღბალს ძაღლი არ დაყეფს, თუ კარგად ეყოლათ ინჟენერი ტატიშვილი, ნურავინ იფიქრებს, თითქოს ტატიშვილს საქმე ეხარბოდეს. არა. მას ხშირად ნახავთ ავტოთი მავალს ოსის მიმართულებით, შოვისაკენ ან სხვაგან. გზებზე ინჟენერს თვეობით ელოდებიან მუშები, რომლებიც ფულს ელიან, მაგრამ ტატიშვილი რის ინჟენერია, თუ თავისი „დიდკაცობა“ არ აჩვენა ლეჩხუმელ გზის მუშებს.

გზის დარაჯებისათვის ინჟენერი დიდი კაცია იმ მხრივ, რომ მისთვის სიტყვის გაცემა ადვილი არ არის. ხუმრობა ხომ არაა მთავარი ინჟენერი, დიდი საქმეებითაა დატვირთული და სად სცალია მას „ვიღაცეებისათვის“. რომ ეს ასეა, აი ფაქტიც. ალპანის თემის აღმასკომმა რის ვაივაგლახით გამოიყვანა წყალსადენი. სამხედრო ოსეთის გზატკეცილის ახლოს რომ წყალსადენს გაჰკეთებოდა საჭირო აუზი, აღმასკომმა დამატებით გაიღო ფული და აგეს კედელი. ამ კედლისთვის საჭირო იყო სახელმწიფო გზის თავზე დაშენებულ რამოდენიმე ქვის არჩევა და ამ უკანასკნელთა დაშენება წყალსადენის კედლისათვის. ამგვარი თხოვნით მივმართეთ ინჟ. ტატიშვილს, რომელმაც ნაცვლად თანხმობისა, ადგილობრივი ამხანაგები უშვერად მოიხსენია და მტკიცე უარით გამოგვისტუმრა.

ამას გარდა მუშებისაგან მან არ ჩაიბარა გზის ახალი კედელი და დაპირდა „შემდეგში იყოს“-ო.

მუშების თვეობით უფულოდ დატოვება უკანონოა. უნდა ახსოვდეს მოქალაქე ტატიშვილს, რომ მის გარდა კიდევ არის ვინმე ამ ქვეყნად და ერთ დროს პასუხს მოსთხოვენ ასეთი ქცევისათვის.

დაბოლოს ალპანაში ამხ. მაღრაძემ მიაქცია ამას ყურადღება და ნება მოგვცა წყალსადენის გაკეთება ისე, როგორიც ამას ინჟენერს ვსთხოვდით. რომ მაღრაძე არა, ტატიშვილი ყურსაც არ იბერტყავდა.

ვარამ.

საჭიროა თვალი გადავავლოთ
სუფსის თემი, ოზურგეთის მაზრა

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდანვე სუფსის გლეხობამ მრავალჯერ მოინდომა წისქვილის აშენება და მრავალჯერ ჰქონდა აღმასკომს გათვალისწინებული რომ პირველ რიგში აეშენებია წისქვილი, მაგრამ უსახსრობის გამო ეს არ შესრულდა აქამდე. ამ გარემოებით სარგებლობდა კერძო მეწისქვილე კვირიასი ჩხაიძე, რომელიც დღემდის ხალხს ტყავს აძრობდა და გლეხობის მოსავლის მენახევრეთ ითვლებოდა.

ეხლა კი სუფსის გლეხობამ შესძლო მოტორის წისქვილის აგება, რომელიც სუფსისათვის სიამაყეს წარმოადგენს. მაგრამ უბედურება ის არის, რომ ამ წისქვილში სიხარულით შემსვლელი გლეხობა ცუდ გუნებაზე ბრუნდება უკან და ლაპარაკობენ: „მართალია, ჩვენ ეს წისქვილი ავაშენეთ, მაგრამ ისეთ ხალხის ხელში ჩაუგდიათ, რომ როცა დასჭირდება მაშინ დაანგრევენო“.

წისქვილის მემანქანეთ მიიღეს დათა ნაკაიძე, ხოლო მზეთავათ სერგო ქუონია, რომლებმაც ამ საქმის არაფერი იციან. ამასთანავე ეს ვაჟბატონები ამდენ ხანს ვაჭრები იყვნენ და 1924 წელში კი ბანდიტურ გამოსვლების აქტიური მონაწილენი.

მე აქ უნდა შევჩერდე ახალ გამოჩეკილ მემანქანე ნაკაიძეზე. ეს ვაჟბატონი 1924 წელში გამოსვლების დროს მამამთავრად ირიცხებოდა სუფსის რაიონში. მან ამ დროს მოისურვა დაენგრია რკინის გზა და დაეწვა ხიდები, ამისათვის გატეხა საწყობი და გამოიტანა ხელსაწყო და საწყობის გასაღები ვისაც ებარა ის კი დააპატიმრა, დასწვა ხიდები და აყარა რკინის გზის ლიანდაგი. აი ასეთი „ხელისშემწყვე“ არის ჩვენი დათა აღმშენებლობის, რომელსაც სოციალისტათ მოაქვს თავი, მაგრამ სუფსას არ დავიწყებია მისი ასეთი მუშაობა.

ქუონიას ხომ იცნობს ყველა. ეს გახლავთ ყოფილი აზნაური, ვაჭარი და ავანტიურის მონაწილე. გასაკვირი ის არის, რომ ეს ძველი მეგობრები ისევ ერთად საიდან მოხვდნენ. ალბათ მათ ჰყავდათ ნათლიმამა, რომელიც შეიყვანა მათ მდგომარეობაში და გაუკეთა ეს საშვილიშვილო საქმე.

საჭიროა ამ გარემოებას მიაქციოს ყურადღება სათანადო ორგანოებმა.

წ—ლი.

წერილებიდან

ყაზბეგი (დუშეთის მაზრა). გასულ წელს ყაზბეგის აღმასკომმა შეიძინა სიმებიანი ორკესტრი ადგილობრივ თეატრისათვის, მაგრამ ვიღაცას „წყალობით“ ამ ინსტრუმენტებმა სოფ. სიონში ამოჰყვეს თავი. ორკესტრი შეძენილი იყო თეატრისათვის და იქ კი მოქეიფე ახალგაზრდობის გასართობად არის გამოყენებული. საჭიროა ეს ინსტრუმენტები დაუბრუნდეს ყაზბეგის თეატრს.

ელგუჯა

—:—

ხონი. ქ. ხონის სახელოსნოების მუშებისათვის არ არსებობს ნორმალური სამუშაო დრო. ისინი სისტემატიურად მუშაობენ ზედმეტ საათებს. ამასთანავე ორშაბათი, 23 ივლისი დასასვენებელ დღეთ იყო გამოცხადებული. აქ კი ამ დღეს მუშაობა ჩვეულებრივად სწარმოებდა. საჭიროა შრომის ინსპექტორმა მიიღოს ზომები ექსპლოატატორების წინააღმდეგ.

სიმართლის მთქმელი

—:—

ს. ქვიშარი (ლეჩხუმი). ამ სოფლის გლეხობა კულტურულად ჩამორჩენილია. არა გვაქვს ქოხ-სამკითხველო. გლეხობის სურვილია ადგილობრივ ეკლესიის შენობაში, რომელიც დაკეტილია, გაიხსნას სამკითხველო. მაზრის განათლების განყოფილებამ ამ საკითხს ყურადღება უნდა მიაქციოს.

მშრომელი

—:—

ს. ხეთა, (ზუგდიდის მაზრა). ხეთის კოოპერატივის მოანგარიშე ვინმე ბუკია დარდიმანდი ბიჭია. მას ძალზე უყვარს ღვინო და სიმთვრალის შემდეგ ქუჩაში უწესოების მოხდენა. 8 ივლისს ბუკია სხვა ძმა-ბიჭებთან ერთად ღვინის ბოთლებით და ნაგანის რევოლვერით ხელში, მთელ ქუჩას იკლებდა. ასეთი თანამშრომელი კოოპერატივს არ გამოადგება.

მაძირაფუ

მუშათა ცხოვრება

დასასვენებელი სახლი „ბორჯომ პლატო“

„ბორჯომ პლატო“-ს მდგომარეობა შედარებით გასულ წელთან ყოველმხრივ გაუმჯობესებულია, მაგრამ ყველაფერი რიგზე მაინც არ არის. აქ ნაკლს აქვს ადგილი. მაგალითად: პარიკმახერის ადგილობრივ უყოლობის გამო, ბორჯომ პარკიდან ამოდის კერძო პარიკმახერი, რომელიც მიუხედავად იმისა, რომ არის სხვა, უფრო შესაფერი ადგილი, პირდაპირ სასადილო მაგიდის ახლოს იწყებს მუშაობას.

ისიც, რომ დამსვენებლები საჭმელსაც სჭამენ და პარიკმახერის მუშაობასაც უყურებენ. ზოგიერთები იტანენ ამას, მაგრამ ზოგი ერთი დამსვენებელი იძულებული ხდება საერთოდ თავი მიანებოს და უსადილოთ დარჩეს. გარდა ამისა სასადილოში ხშირად პატარა გოჭებსაც ნახავთ. ისინი ხშირად შეეჩვევიან ხოლმე მიწაზე დაცვენილ სურსათსანოვაგის ნამცეცებს და ძვლებს. დასასვენებელ სახლის გამგეობა დიდ ყურადღებას აქცევს სისუფთავეს, მაგრამ ეს ყურადღება მაინც უშედეგოთ რჩება.

აღსანიშნავია აგრეთვე ის მდგომარეობა, რომ საექიმო კომისიების და პროფკავშირების მეოხებით დიდ უკმაყოფილებას და გაუგებრობას აქვს ადგილი. ხშირია შემთხვევები, როდესაც გამოგზავნილი დამსვენებლები, ვერ იქცევიან წესიერად, ან დას. სახლის ექიმის მიერ დამსვენებლების გასინჯვის შემდეგ ირკვევა, რომ დამსვენებელი უნდა გაგზავნილიყო არა დასასვენებელ სახლში, არამედ სანატორიუმში. დამსვენებლების უკან გაბრუნება კი იწვევს საკმაოდ დიდ ზარალს.

„ბორჯომ პლატო“-ს ახლოს არის გოგირდის აბანოს აბაზანები, რომელიც იჯარით კერძო პირსა აქვს აღებული. უნდა აღინიშნოს, რომ ამ აბაზანებს დიდი მოთხოვნილება აქვს. შემოსავალიც უსათუოდ კარგი ექნება, მაგრამ აბანოში დიდ უსუფთაობას აქვს ადგილი; ქვაბი, რომელშიც დუღს წყალი ჟანგიანია. აბაზანებიც უსუფთაოა. თვით აბაზანების ოთახი სრულიად უვარგისია. ფიცრები ერთი - მეორეზე საკმაო მანძილით არის დაშორებული და ქარი თავისუფლად უბერავს, რასაც შესაძლებელია მოჰყვეს აბაზანის მიმღების გაციება და დაავადმყოფება.

საჭიროა წინადადება მიეცეს მოიჯარადრეს, რათა დაიცვას სისუფთავე და ამავე დროს შეაკეთოს აბაზანების მისაღები ოთახი.

აფ. ჯიბუტი

—:—

ორთქლმავალები უწყლოდ
(ხაშური)

ხაშურის დეპოს დეფექტებზე ბევრი დაწერილა, მაგრამ ყურადღება არავის მიუქცევია. ამას უნდა მიეწეროს ის გარემოება, რომ დღემდე ხაშურის დეპოს საქმიანობას არავითარი გაუმჯობესება არ ეტყობა. ისეთი უბრალო საკითხიც კი, როგორიც არის წყლის მოწოდების საქმე, დღემდე არ არის სათანადოდ მოწესრიგებული.

წყლის სამარაგო ჭურჭლები თითქმის ცარიელებია და წყლის დაწოლა საკმარისი არა აქვთ. ამის გამო ორთქლმავალები ორ-ორი საათობით უქმად დგანან წყლის ონკანების ქვეშ. თუ ვინიცობაა წყალი ჩაასხეს ჭურჭლებში, ონკანს ქვეშ მილების შემაერთებელი, წყალს ისე კარგავს, რომ ორთქლმავლისათვის მაინც მიუწვდომელი ხდება წყალი. ესეც არ იყოს თბილისის მხარეს, ისეთი ვიწრო მილიანი ონკანები დგანან, რომ არ აძლევენ საშუალებას თავის დროზე აიღონ ორთქლმავლებმა წყალი.

ხშირია შემთხვევა მატარებლების მოშლისა უწყლობის გამო. ხანძარი რომ გაჩნდეს თქვენი მტერი, ავარდეს ისეთ უბედურებაში, რაც იქ უწყლობით დატრიალდება. რად არის ასე? ნუ თუ მართლა არ არის საშუალება, რომ წყლის მოწოდების საქმე მოეწყოს სათანადოთ? არის ამის საშუალება, მაგრამ საჭიროა ენერგიული ზომები, რომელსაც როგორც ეტყობა ადგილობრივი ადმინისტრაცია არ იჩენს.

რაც შეეხება დეპოს სისუფთავეს, ამაზე არც კი ღირს ლაპარაკი. აქ მემანქანეები ყელამდე ტალახში იფლობიან. იყო დრო, როცა ხაშურის დეპოში სამაგალითო სისუფთავე იყო. მაგრამ ეს იყო. ეხლა აღარ არის. დეპოს სუფთად შენახვა არ იმდენად ძვირი დაჯდება.

საჭიროა მხოლოდ მონდომება

მემანქანე

ადრე კეტავენ

ამას წინად მუშკოოპის გამგეობამ, კლარა ცეტკინის ქუჩაზე, ბელგიის ქუჩის მახლობლად გახსნა კოოპერატიული სავაჭრო, რომელიც დიდ დახმარებას უწევს მცხოვრებლებს და იხსნის მათ კერძო ვაჭრების ბრჭყალებიდან. კოოპერატივის წევრები პირნათლად ასრულებენ თავიანთ მოვალეობას და მომხმარებლებსაც თავაზიანათ ექცევიან, მაგრამ უნდა ითქვას, რომ კოოპერატივი თავის დროზე არც იღება და არც იკეტება. იგი ღიაა დილის რვა საათიდან საღამოს ოთხ საათამდე. ე. ი. იღება მაშინ, როდესაც მუშა - მოსამსახურეები სამსახურში მიდიან და იკეტება მაშინ, როცა ბრუნდებიან.

ამგვარად მუშა - მოსამსახურეების უმრავლესობა, რომლებსაც არა აქვთ საშუალება ისარგებლონ კოოპერატივიდან მაშინ, როდესაც იგი ღიაა, კვლავ კერძო ვაჭრების ბრჭყალებში იმყოფებიან. მუშკოოპის გამგეობამ ყურადღება უნდა მიაქციოს ამ გარემოებას და სავაჭრო ღია ამყოფოს ღამის ათ საათამდე მაინც.

კომ. წევრი ჯ—დარი

—:—

თელავის აბრეშუმის ქარხანა
(წერილი თელავიდან)

აბრეშუმის ქარხანა პირველია თელავში. აქ მუშაობს 270 მუშა - ქალი. მოწყობილია 48 აუზი. ქარხანაში მუშავდება თელავ-სიღნაღის მაზრებში მოსულ აბრეშუმის პარკი. ზოგ ჯერ ნედლი მასალა აკლდება ქარხანას, რის გამო მასალის მიღებამდე მუშაობა შეჩერებულია. ქარხანა გაიხსნა ამ ორი წლის წინედ და უნდა ითქვას, რომ პირველადვე დიდი შეცდომა იქნა დაშვებული; იგი მოათავსეს დაბლა სართულში, რისთვისაც საჭირო შეიქნა თითქმის მეტრნახევარი მიწის ამოღება. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ თავიდანვე ამ ქარხანას დაჰყვა უარყოფითი მხარეები. ქარხანაში შრომის პირობები ძალიან მძიმეა. ამის გამო ყოველთვე მატულობს დრ. შრომის უნარ მოკლებულთა რიცხვი. ავადმყოფთა რიცხვიც ისე იზრდება, რომ დამზღვევი სალარო ვერც კი ასწრებს მათ დაკმაყოფილებას. ეს მოქმედობს ჯერ ერთი თვით წარმოებაზე, რადგან კვალიფიციური მუშების მაგიერ ამუშავებენ გამოუცდელ მუშებს, რომლის შედეგია დაბალი ხარისხის ძაფის ამოხვევა და მეორეც დამზღვევ ორგანოს დიდი თანხების გაღება უხდება.

მიუხედავად იმისა, რომ აბრეშუმის ტრესტი თავიდანვე იღებს სათანადო ზომებს შრომის პირობების გასაუმჯობესებლად, ყველა ეს ჯერ - ჯერობით უშედეგოთ რჩება; ავადმყოფთა რიცხვი არა კლებულობს. ამისათვის დ. სალარომ, ამ რამდენიმე თვის წინედ, მოიწვია თელავის ყველა დაინტერესებულ ორგანოთა გაფართოებული სხდომა, რომელმაც შუამდგომლობა აღძრა შრ. სახ. კომისარიატის წინაშე, რათა გამოგზავნოს სამეცნიერო კომისია ქარხნის გამოსაკვლევად.

ქარხნის ადმინისტრაციამ თავის მხრივ დადგა დიდი ვენტილიატორი, რომელზედაც დაიხარჯა 10 ათასზე მეტი მანეთი, მაგრამ შრომის სახ. კომისარიატის მიერ გამოყოფილმა სამეცნიერო კომისიამ, რომელმაც 11 ივლისს დაამთავრა ქარხნის გამოკვლევა, გამოარკვია, რომ ეს ვენტილიატორი სრულებით ვერ ამართლებს თავის დანიშნულებას. საათში იგი ისუნთქავს (გარედ ერეკება) 16 ათას კუბიკურ ჰაერს მაშინ, როცა ნორმალური მუშაობით უნდა შეისუნთქოს 750 ათასი ჰაერი საათში. ამას გარდა ქარხანა კუბიკური იმყოფება ანტისანიტარულ მდგომარეობაში: ვენტილიატორის ნაკლულოვანება, ჰაერის უმოძრაობა, სიცხე და სინესტე. თითო მუშაზე მოდის 5—6 კუბიკური მეტრი ჰაერი, წინააღმდეგ 15—20 კუბ. საჟენისა. სამეცნ. კომისიის აზრით ამის შედეგია ის, რომ თუ 1927 წელში, 100 მუშაზე მოდიოდა 1643 ავადმყოფი, 1928 წელში მოდის 1765 ავადმყოფი. ე. ი. ავადმყოფთა რიცხვი მატულობს. ამ გვარათ მიუხედავათ ტყიბულის მაღაროების მძიმე პირობებისა, ეს ქარხანა უფრო მეტ დროებით შრომის უნარ მოკლებულ მუშებს იძლევა.

ქარხანაში შრომის პირობების გაუმჯობესების მიზნით, კომისიას საჭიროდ მიაჩნია ქარხანას მიშენდეს ერთი კორპუსი, რომელიც არც ისეთი ძვირი დაჯდება.

ვან—ლი

დისციპლინა ირღვევა
(სად. თბილისი)

სად. თბილისის მუშებში შრომის დისციპლინა ძალზე დაცემულია. ამის შესახებ წინადაც იყო მოთავსებული წერილი, მაგრამ ყურადღება არავინ მიაქცია. სად. თბილისში არის რამოდენიმე პირი, რომლებიც სისტემატიურად არღვევენ შრომის დისციპლინას და მათ ამისათვის პასუხს არავინ სთხოვს. ამაში რასაკვირველია ნაწილობრივ ადმინისტრაციას მიუძღვის დანაშაული.

მოძრაობის დარგში მსახურობს კანტორის მოხელე მოქ. ტარიელ ქოჩაკიძე, რომელიც ცნობილია შრომის დისციპლინის დარღვევაში სიმულიაციებში და სხვა. ამის გამო ტარიელი არა ერთხელ იყო მოთავსებული ადგილობრივ კედლის გაზეთში, მაგრამ მასზე არც ამან იქონია რაიმე გავლენა. თვით სადგურის უფროსმაც მისწერა განყოფილების უფროსს, რომ მოქ. ქოჩაკიძე სამსახურს ვერ ასრულებს პირნათლად, მაგრამ, ესეც უშედეგოთ დარჩა. აქედან აშკარაა, რომ მოქ. ქოჩაკიძეს ვიღაცა მფარველი ჰყავს რომელიც ასე ათამამებს მას.

მოქ. ტარიელს ხშირად უყვარს დღეების გაცდენა. ამას ის არაფრად თვლის, რადგან ამისათვის მას არავინ სთხოვს პასუხს. ქოჩაკიძემ მიმდინარე წლის აპრილში გააცდინა 6 დღე. ამისათვის მას მხოლოთ ხელფასი გამოუქვითეს. თანახმად შინაგან განწესრიგებულ № 3689 ბრძანებისა კი მუშა მოსამსახურე, რომელიც გააცდენს თვეში სამ დღეს, ის სამსახურიდან მოხსნილი უნდა იქნეს, მაგრამ მოქ. ტარიელზე არ გაავრცელეს ეს. ამიტომ ივნისში კიდევ გაიმეორა მსგავსი შემთხვევა: 11 ივნისის დილით ის გამოცხადდა სამსახურში და 9 საათზე მიატოვა სამსახური და მთელი დღე არ გამოცხადებულა. ამის შესახებ შედგენილია სათანადო ოქმი.

საჭიროა ეს საკითხი რკინის გზის ადმინისტრაციამ კარგათ გამოარკვიოს. აგრეთვე საჭიროა ადგილობრივ პროფორგანომ, მიაქციოს ყურადღება ქოჩაკიძეს ასეთ საქციელს და მიიღოს ზომები მის გამოსასწორებლად.

ი. არ—ლი.

მუშკორთა წერილებიდან

დროებითი მუშებმა რაღა დააშავეს. რკ. გზ. მთავარი სახელოსნოს ყველა საამქროებში მუშაობს დაახლოებით 90 მუშა დროებითი სამუშაოზე. მუშები ხელფასს ზოგნი მეოთხე ხარისხით იღებენ, ზოგნი მე-3-მე ხარისხით, საქმეს კი ერთსა და იმავეს აკეთებენ. ცალკე ჯგუფები კი მე-3-მე ხარისხს 20 პროც. დამატებით იღებენ. რად ხდება ასე?

დ. მათრახი.

—:—

მოგვბეზრდა გუგუშვილის ყვირილი. პუშკინის ქუჩაზე მდებარე ამერიკული საქონლის სავაჭროს გამგემ მოქ. გუგუშვილმა, თავისი უაზრო ყვირილითა და ჩხუბით თავი მოაბეზრა როგორც ნოქრებს, ისე კლიენტებსაც.

პროფკავშირო, მოუღეთ ბოლო დაუსრულებელ აყალ-მაყალს.

ა. დ. მათხოჯელი.

—:—

კულტკუთხე ცარიელია. მეთორმეტე სამილიციო უბანში მოწყობილია წითელი კუთხე, მაგრამ შიგ არაფერი არ არის, არ გამოდის არც კედლის გაზეთი და არც ცენტრ. გაზეთებია გამოწერილი, წიგნები და ბროშიურებიც ძალიან ნაკლებათ მოიპოვება.

ს. სიმართლე.

—:—

უხეშად გვექცევა. ტრამვაის ამბულატორიის დამლაგებელი ქალი დუბავიკი, ძალიან უხეშად და უდიერად ეპყრობა ავადმყოფებს, ხშირად უყვირის ავადმყოფს უმიზეზოთ და აყენებს შეურაცყოფას. ამბულატორიის გამგემ უნდა ასწავლოს მოქ. დუბავიკს წესიერი მოპყრობა.

ავადმყოფი.

გერმანიის კოოპერატიული დელეგაცია

თბილისში ჩამოვა 6 აგვისტოს

ორშაბათს, 6 აგვისტოს თბილისში მოელიან გერმანიის კოოპერატიული ორგანიზაციების დელეგაციას, რომელშიაც შედის გერმანიის კოოპერატიულ გაერთიანებათა 6 მოღვაწე. დელეგაციამ უკვე ჩამოიარა - ლენინგრადი, მოსკოვი, ხარკოვი, როსტოვ-ნახიჩევანის რაიონი და ჩრდილო კავკასია.

თბილისში მიღებული ცნობებით, ამჟამად დელეგაცია იმყოფება ჩრდილოეთ კავკასიაში. დელეგაციის ჩამოსვლასთან დაკავშირებით, გუშინ „ზაკსოიუზში“ შესდგა თბილისის კოოპერატიული ორგანიზაციების წარმომადგენელთა თათბირი, რომელმაც გამოიმუშავა დელეგაციის თბილისში მუშაობის გეგმა.

დელეგაცია თბილისში შეისწავლის ცეკავშირის, მუშკოოპის, ა.-კ. რკ. გზ. სამომხმარებლო საზოგადოების—„ზაკტპის“, „ზაკვოენპის“ და სხვა კოოპერატიული ორგანიზაციების მუშაობას. დელეგაციას გააცნობენ როგორც სადუქნე ქსელის მუშაობას, ისე იმ მიღწევებს, რომლებსაც ადგილი აქვს კოოპერატიულ ყოფა-ცხოვრებაში.

თბილისიდან დელეგაცია გაემგზავრება კახეთში სადაც გაეცნობა სასოფლო კოოპერაციის და სამომხმარებლო კოოპერატივების მუშაობას ადგილებზე.

პროფმუშაობა გაერთიანებულ მაზრებში

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე გაირჩა საკითხი პროფესიონალურ ორგანიზაციების გაერთიანების შესახებ სიღნაღ-თელავის, დუშეთ-თბილისის და რაჭა-ლეჩხუმის მაზრებში.

ვინაიდან სიღნაღის მაზრა უერთდება თელავის მაზრას და რაჭის მაზრა ლეჩხუმისას, ამიტომ საჭიროდ იქნა ცნობილი იქ არსებულ კავშირების განყოფილებების გაერთიანებაც.

განათლების, კომუნალურ - მეურნეობის, სასოფლო-სამეურნეო და ტყის მუშაკთა, მედსანშრომის, სახალხო შეერთების, საბჭოთა და სავაჭრო მუშაკების, მეტყავეთა, აღმშენებელთა კავშირების ც. გ. წინადადება მიეცათ შეადგინონ თელავ-სიღნაღის და რაჭა-ლეჩხუმის სამაზრო განყოფილებათა დროებითი ბიუროები, რომლებსაც უნდა დაევალოს აღნიშნულ მაზრების პროფკავშირთა სტრუქტურის შეცვლასთან დაკავშირებულ საკითხების მოწესრიგება.

აღნიშნულ მაზრების საკავშირო ორგანოების (პროფბიუროების) გასაერთიანებლად, დროებითი ბიუროების ჩამოსაყალიბებლად და აგრეთვე სამპროფბიუროების გაერთიანებასთან დაკავშირებულ მუშაობის ჩასატარებლად მივლინებული იქნებიან საქ. პროფკავშ. საბჭოს წარმომადგენლები.

გაერთიანებულ მაზრების პროფკავშირთა განყოფილებების გამგეობები, და პროფბიუროები არჩეული უნდა იქნეს აღნიშნულ სამაზრო განყოფილებების გაერთიანებულ მორიგ კონფერენციებზე.

დუშეთის მაზრის თბილისის მაზრასთან შემოერთების გამო, პროფსაბჭოს საორგან. განყოფილებას დაევალა დაამუშავოს საკავშირო ძირ. ორგანოებისათვის ხელმძღვანელობის გაწევის საკითხი.

დასაშვებად არის ცნობილი თბილისის და დუშეთის მაზრის საკავშირო ორგანოების ხელმძღვანელობის გასაწევად სპეციალური ინსტრუქტორების აყვანა კავშირის ც. გამგეობების ხარჯით.

პირდაპირ გადასახადთა აკრეფის სისტემის გასაუმჯობესებლად

ამიერ-კავკასიის სახკომსაბჭოს და ეკონომსაბჭოს გაერთიანებულ სხდომაზე აღნიშნული იქნა იმ სტატისტიკურ და საგადასახადო მასალების ნაკლებობა, რომელთა მიხედვითაც გამორკვეული უნდა იქნეს დაბეგვრის სიმძიმე ამიერ-კავკასიის მასშტაბით; ამიტომ აუცილებლად იქნა ცნობილი საგადასახადო და საერთო სტატისტიკის გაუმჯობესება, რისთვისაც ა.-კ. ფინსახკომს წინადადება მიეცა გაითვალისწინოს 1928-29 წლის ბიუჯეტში თანხები საგადასახადო სტატისტიკის გასაუმჯობესებლად; ამასთანავე ა.-კ. ფინსახკომმა ა.-კ. საგეგმო კომისიასა, ა.-კ. სტატ. ცენტრ. სამმართველოსა და რესპუბლიკანურ ფინსახკომებთან ერთად უნდა ჩაატაროს მუშაობა საგადასახადო დაბეგვრის სიმძიმის შესასწავლად.

ვინაიდან საპატენტო გამოსაღებსა და გამათანასწორებელ გადასახადს შორის არ არის ორგანიული კავშირი, ა.-კ. სახკომსაბჭოს და ეკონომსაბჭოს გაერთიანებულმა სხდომამ დაადგინა საპატენტო გამოსაღები, როგორც დამოუკიდებელი გადასახადი იმ წარმოებებისა, რომლებიც გამათანასწორებელი გადასახადით უნდა იქნენ დაბეგვრილი, გაუქმებული იქნეს. პატენტი შენარჩუნებული უნდა იქნეს როგორც სავაჭრო-სამრეწველო წარმოებების რეგისტრაცია, რომელიც ვაჭრობის უფლებას იძლევა.

სხდომაზე აღნიშნული იქნა აგრეთვე, რომ პირდაპირ გადასახადთა ნარჩენები მნიშვნელოვან თანხას შეადგენს; ვინაიდან ა.-კ. ფინსახკომის მიერ უკვე მიღებულია მთელი რიგი კონკრეტიული ზომები ნარჩენების ასაკრეფად, ა.-კ. სახკომსაბჭოს და ეკონომსაბჭოს გაერთიანებულმა სხდომამ დაადგინა გამოყოფილი იქნეს კომისია ა.-კ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის (გეგმათა გარეშე ინსპექცია), ა.-კ. ფინსახკომის საგადასახადო სამმართველოს, ფინკონტროლის სამმართველოს და ა.-კ. სახელ. პოლიტსამმართველოს წარმომადგენლებისაგან, რომელმაც უნდა გადაისინჯოს ადგილების წარმომადგენელთა მონაწილეობით საგადასახადო აპარატის პირადი შემადგენლობა მისი კვალიფიკაციის ამაღლების და მასში მუშათა რიცხვის გადიდების მიზნით. პირადი შემადგენლობის გადასინჯვა დამთავრებული უნდა იქნეს 1-ლ ოქტომბრისათვის.

ბრძოლა მუშათა ჯანმრთელობისათვის

ცენტრალური საექიმო-საკონტროლო კომისია

სოციალური დაზღვევის ცენტრალური საექიმო-საკონტროლო კომისია—ეს არის მუშა-მოსამსახურეთა ჯანმრთელობისათვის მებრძოლი ცენტრალური შტაბი. ყოველდღიურად სოც.-დაზღვევის კომიტეტთან მუშაობს ორი საექიმო-საკონტროლო კომისია. ორივე კომისია დღეში ატარებს 60—70-მდე დაზღვეული მუშა-მოსამსახურის ჯანმრთელობის შემოწმებას.

— საექიმო-საკონტროლო კომისიაში გატარებულთა შორის,—გადასცეს ჩვენს თანამშრომელს სოც.-დაზღვევის კომიტეტში,—უმრავლესობას შეადგენენ წარმოებებიდან მოსული მუშები. კომისია შეღავათებს აძლევს მუშა-მოსამსახურეებს უკიდურეს შემთხვევაში, თუ ექიმებმა დაადასტურეს, რომ დაზღვეულს არ შეუძლია მუშაობა, ან მისი ჯანმრთელობა სახიფათო მდგომარეობაშია. საექიმო-საკონტროლო კომისია განსაკუთრებით დატვირთულია ზაფხულის პერიოდში. ამ მიზეზითაა გამოწვეული ის გარემოება, რომ ზაფხულობით მუშაობს ორი საექიმო-საკონტროლო კომისია, მაშინ, როდესაც ზამთრობით ერთი კომისიაც თავისუფლად ძლევს სამუშაოს.

მიმდინარე საანგარიშო წლის დასაწყისიდან 1-ლ აგვისტომდე ცენტრ. საექიმო-საკონტროლო კომისიაში სულ გატარებულია 6.191 დაზღვეული მუშა-მოსამსახურე. მათ შორის ნახევარზე მეტი გატარდა ხელახლა.

არის შემთხვევები, როდესაც საექიმო-საკონტროლო კომისიაში ცხადდებიან სიმულიანტებიც, მაგრამ ასეთი შემთხვევები წელს გაცილებით ნაკლებია, ვიდრე გასულ წელში იყო. რასაკვირველია სიმულიანტების წინააღმდეგ ვღებულობთ ყოველგვარ ზომებს და ყოველ ცალკე შემთხვევაში აღმოჩენილი სიმულიანტი ღებულობს ღირსეულ სასჯელს.

სამომხმარებლო კოოპერაცია ამიერკავკასიაში

ამიერ-კავკ. სამომხმარებლო კოოპერაციის ხუთწლიანი გეგმის 1928—29 წ. საკონტროლო ციფრების მიხედვით, სამომხმარებლო კოოპერაციის საგრძნობი ზრდა ემჩნევა.

1926—27 წლის დასასრულისათვის ამიერკავკასიაში ითვლებოდა 509 კოოპ. ორგანიზაცია, 1927—28 წ. საორიენტაციო ციფრების მიხედვით აღწევს 528-ს. ხოლო 1928—29 წ. გეგმის მიხედვით კოოპ. ორგ. რიცხვი მიაღწევს 564-ს. აქედან საქართველოში იქნება 164 და აფხაზეთში—26. თუ 1926—27 წ. სავაჭრო წერტილების რიცხვი ამიერ-კავკასიაში უდრიდა 3.076-ს. 1927—28 წ. იგი ავიდა — 3.567-მდე და 1928—29 წ. სავაჭრო წერტილების რიცხვი 3.957-მდე ავა. აქედან საქართველოში სავაჭრო წერტილების რიცხვი მიაღწევს — 1.450-ს და აფხაზეთში—107-ს.

სამომხმარებლო კოოპერაციის ზრდა, მოსახლეობის კოოპერაციაში ჩაბმით განისაზღვრება მაგ. თუ მიმდინარე წლის განმავლობაში კოოპერაციაში ჩაბმულ მოსახლეობის რაოდენობა 16- პროცენტს აღწევს 1928—29 წ. გეგმის მიხედვით იგი აყვანილ იქნება 18 პროცენტამდე. კოოპერაციის წევრთა რიცხვის ზრდასთან დაკავშირებით იზრდება საპაიო კაპიტალიც. მაგ. 1926—27 წ. საპაიო კაპიტალი შეადგენდა 3.037.300 მანეთს. 1927-28 წ. 6.299.400 მანეთს (ე. ი. ზრდა უდრის 107,4 პროცენტს.) ხოლო 1928—29 წ. საპაიო კაპიტალი გამოანგარიშებულია 9.609.000 მან. რაოდენობით. (ზრდა უდრის 52,5 პროცენტს.)

ამას გარდა სამომხმარებლო კოოპერაციის წმინდა ბრუნვა 1926—27 წ. 203.996.100 მან. შეადგენს, 1927—28 წ. 263.692.600 მან. (ე. ი. გაზრდილა 29,6 პროცენტით), და 1928—29 წლისათვის წმინდა ბრუნვა განსაზღვრულია 312.593.900 მან. (შედარებით გასულ წლებთან გაიზრდება 18,5 პროც.), აქედან საქართველოზე მოდის—83.000.000 მ. და აფხაზეთზე—10.000.000 მანეთი. (ზრდა უდრის 66,1 პროცენტს).

ამიერ-კავკ. სამომხმარებლო კოოპერაციის საერთო ზრდაში აღსანიშნავია ამიერ-კავკ. სატრანსპორტო სამომხმ. საზოგადოების და სამხედრო სამომხმ. საზოგადოების დაწინაურება. 1926—27 წ. შედარებით პირველის ბრუნვა გაიზარდა 31,4 პროც., ხოლო მეორესი 32.2 პროცენტით.

მეაბრეშუმეობის სეზონის შედეგები კახეთში

კახეთში მეაბრეშუმეობას დიდი ხანია, რაც მისდევენ. აქ საკუთარი აბრეშუმის ჭიის ჯიშიც ყოლიათ ძველებს გამოყვანილი. „კახური“ ჭია ამჟამადაც შეგვხვდება მეაბრეშუმეებში და ჩინური „მანტუნგ“-ს მოგაგონებთ, ალბათ გამოყვანილი იქნება გარეულ, ველურ აბრეშუმის ჭიისაგან. გასული საუკუნის სამოცდაათიან წლებამდე, პარკის მოსავალი კახეთში ძალიან კარგი სცოდნია, მხოლოდ ამას შემდეგ შემოუტანიათ ევროპიული ჯიშები, რომელთაც სხვადასხვა ავადმყოფობანი გადმოჰყოლიათ, და მათ შორის საშინელი „პებრინა“. ეს ავადმყოფობა მალე იმდენად გავრცელდა, რომ კინაღამ ხელი არ აღებინა ხალხს მეაბრეშუმეობაზე.

ოთხმოცდაათიან წლებიდან შემოდის ცელიულარული წესით დამზადებული თესლი და საუკეთესო ხარისხის ევროპიული ჯიშები. ამის შემდეგ მეაბრეშუმეობა ისევ ფეხს იკიდებს, მაგრამ თვალსაჩინოთ მაინც არ ვითარდება და ერთგვარ კონსერვიულ მდგომარეობაში იმყოფება. ყოველწლიურად რიგდება საშუალოდ 4.500—4.800 კოლოფი თესლი, რომლიდანაც საშუალოდ იღებენ კოლოფზე ფუთნახევარ პარკს.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამკვიდრების პირველი დღიდანვე მეაბრეშუმეობის განვითარებას დიდი ყურადღება მიექცა კახეთში. ქ. თელავში 1926 წლის დასაწყისში გაშენდა აბრეშუმის სახვევი ქარხანა 52 ტაზიტით, რომელსაც შეუძლიან ყოველწლიურად გადაამუშაოს 10—11.000 ფუთი ნედლი პარკი. ვინაიდან, ერთი მთავარი დამაბრკოლებელი პირობა იყო თუთის ხეების სიმცირე, საქართველოს „აბრეშუმს“ დაევალა სანერგეების მოწყობა ხალხში უფასოდ ნერგების გასავრცელებლად. ასეთი სანერგეები უკვე მოწყობილია 5 ალაგას: ფშაველში, თელავში, ზინობიანში, წნორზე და ლაგოდეხში სულ 15 ჰექტარის სივრცეზე. რომელშიაც ყოველწლიურად ამზადებენ ნერგებს 255.000 ცალის რაოდენობით და დათესილია აგრეთვე 3 ჰექტარზე თესლი.

გარდა ამისა გაუმჯობესდა აგრონომიული დახმარება. მიწსახკომიდან მოვლინებულია სპეციალისტი-აგრონომი, საზოგადოება „აბრეშუმს“ ჰყავს კიდევ 4 სპეციალისტი, რომელნიც აწყობენ არტელებს, კურსებს, საჩვენებელ გამოკვებას და სხვა.

აგრონდახმარების გაძლიერებას მოჰყვა თვალსაჩინო შედეგები. მაგალითად წელს კახეთში დაარსებული იყო ქალთა 15 არტელი, რომელთაც დაურიგდათ 80 კოლოფამდე თესლი. ამ არტელებში თითო კოლოფიდან პარკის გამოსავალი უდრის 3 ფუთს, როდესაც საშუალოდ სხვებმა მიიღეს არა უმეტესი 2 ფუთისა, რაც მიღწევაა შედარებით ძველი წლების ფუთნახევართან.

ბევრგან გააუმჯობესეს კვების წესები, შემოიღეს იტალიური სისტემა, გააუმჯობესეს ბინები და სხვა.

მიმდინარე წლის სეზონი თითქმის დამთავრებულია. ჩვენ შეგვიძლიან ჯამიც გაუკეთოთ. მთელს კახეთში დარიგებული იყო 5.800 კოლოფი თესლი უმთავრესად თეთრი ბაღდადის ჯიშისა. საცდელად იქნა მაღალ და დაბალ ზონებში დარიგებული 240 კოლოფი ევროპიული ჯიშები: ფრანგული ვარსკის და ბირონისა და იტალიური: „ასკოლი“ და „ობრუცო“ (ყვითელი ჯიშები).

როგორც დაბალ (ფშაველის, ლაგოდეხის) ისე მაღალ (შაშიანის, მაჩხაანის) ზონებში ჭიამ მშვენიერი პარკი გააკეთა. არსად არავითარი ავადმყოფობას არ ჰქონია ადგილი.

სულ მთლად მიღებულია დღემდის (20 ივლისამდე) ყველა მიმღებ წერტილების მიერ 8.100 ფუთი ნედლი პარკი. აქედან ყოფილ თელავის მაზრაზე მოდის 5.400 ფუთი, დანარჩენი სიღნაღზე.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ პარკი წელს საუკეთესო ხარისხისაა მთელი რაოდენობის 55 პროც. ეკუთვნის პირველ ხარისხისას, 35 პროც. მეორესი და 10 პროც. მესამე ხარისხისას. 220 ფუთი საუკეთესო პარკისა გადაეცათ ადგილობრივ მეთესლეებს თესლის დასამზადებლად.

ამგვარად მეაბრეშუმეობის პროდუქცია კახეთში ყოველწლივ იზრდება და ალბათ სულ რამდენიმე წლებში შესძლებს დააკმაყოფილოს მთლიანად თელავის ძაფსახვევ ქარხნის მოთხოვნილება.

აგრონომი ე. კაკულია.

ა.-კ. სახკომსაბჭოში

სასაკლაოების და საყასბოებში მომუშავეთა შრომის პირობები

ა.-კ. სახკომსაბჭომ დაავალა ა.-კ. ვაჭრობის სახ. კომისარიატს, ა.-კ. შრომის სახ. კომისარიატთან და „ზაკსოიუზთან“ შეთანხმებით, შეიმუშაოს სასაკლაოების და საყასბოების მუშათა შრომის პირობების და ხელფასის გაცემის ახალი სისტემის პროექტი და ვადა, რომელშიაც ეს სისტემა გატარებული უნდა იქნეს ცხოვრებაში.

აღმშენებლობის გამოკვლევა

თანახმად ა.-კ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის დასკვნისა, ა.-კ. სახკომსაბჭომ მიზანშეწონილად სცნო, რომ საამშენებლო მასალის მაზრის და თვით აღმშენებლობის გამოკვლევა გადატანილი იქნეს მომავალ საოპერაციო წლის დამდეგისათვის.

ა.-კ. ეკონომსაბჭოში

სატყეო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი პერსპექტიული გეგმა

ამიერ-კავკასიის უმ. ეკონომიურმა საბჭომ წინადადება მისცა ამიერ-კავკასიის სახ. საგეგმო კომისიას ამიერ-კავკასიის სატყეო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი პერსპექტიული გეგმის შესადგენათ დაგროვილი მასალები წარუდგინოს ამიერ-კავკასიის წარმომადგენლობას (მოსკოვში) და საკავშირო საგეგმო კომისიას.

სატყეო მეურნეობის განვითარების ხუთწლიან პერსპექტიულ გეგმას ამიერ-კავკასიის უმ. ეკონომსაბჭო განიხილავს ამიერ-კავკასიის მთლიან სასოფლო-მეურნეობის განვითარების ხუთწლიან პერსპექტიულ გეგმასთან ერთად.

მუშათა ახალშენი კასპში

ახალშენებათა კომიტეტმა საამშენებლო ტეხნიკურ კომიტეტს წარუდგინა კასპის ცემენტის ქარხნის მუშათა ახალშენის პროექტი. პროექტით გათვალისწინებულია შემდეგი ნაგებობათა აშენება-მოწყობა: სპორტ მოედანი, კლუბის და კინოს შენობა, საერთო ბინა უცოლშვილო მუშებისათვის, 12—16 საცხოვრებელი ბინა ცოლშვილიანი მუშებისათვის, აბანოს, კოოპერატივის და ამბულატორიის შენობები. ახალშენი ნავარაუდევია 40 კაცისთვის.

ხიდი მდინარე ინგურზე

საქართველოს გზა - ტკეცილების, საქართველოს ადგ. ტრანსპორტის და ამიერ-კავკასიის ადგილობრივი ტრანსპორტის სამმართველოების გაერთიანებულმა სხდომამ განიხილა მდინარე ინგურზე (შამგონთან) განზრახულ რკინის ხიდის აგების საკითხი.

წარმოდგენილ პროექტების ორ ვარიანტიდან მოწონებულია ინჟენერ როინიშვილის პროექტი. რომლის თანახმად ხიდი აგებული უნდა იქნეს რკინის მასალისაგან. ხიდი იქნება 324 მეტრის სიგრძით და დაყრდნობილი იქნება 5 ბურჯზე. ეს ხიდი თავისი სიგრძით პირველი იქნება საქართველოში. მისი აგება დაჯდება 875.000 მანეთი. ხიდი უნდა აიგოს სამი წლის განმავლობაში.

შემუშავებულია ხიდის მშენებლობის ფინანსებით მომარაგების გეგმა, რომლის თანახმად 1928 — 29 წელში ამ მშენებლობისთვის გადაიდება 225.000 მან., 1929—30 წელში 300.000 მან. და 1930—31 წელში 350.000 მანეთი.

ბარიტი

რადგან ბაზარზე ბარიტის დიდი მოთხოვნილებაა, ქუთაისის და ლეჩხუმის მაზრების მადანთა დამუშავების სამმართველო აფართოვებს საექსპლოატაციო მუშაობის მასშტაბს. დერჩისა, ბოკერვანის, საბრიგელას (ლეჩხუმის მაზრა), ლეკერეთის და მამაწმინდას (ქუთაისის მაზრა) გარდა, მუშაობა ბარიტის ამოსაღებად დაიწყება ორ ახლო რაიონში: ლეკერეთის მახლობლად ლოკნარში და მამაწმინდას მახლობლად ოკინკილაში.

მიმდინარე საოპერაციო წლის სამი კვარტალის განმავლობაში გატანილია 1.955 ტონა დაფხვნილი ბარიტი. მე-4 კვარტალში მოსალოდნელია 1.200 ტონა.

მთელი წარსული საოპერაციო წლის განმავლობაში გატანილია 1.100 ტონა.

ექსკურსია

შავი ზღვის სანაპიროებზე

საქართველოს პროფსაბჭოს განზრახული აქვს მოაწყოს ტურისტული ექსკურსია შავი ზღვის სანაპიროებზე. ექსკურსიის მარშრუტი შემდეგია: თბილისი-ზუგდიდი მატარებლით, ზუგდიდი-გალი, ოჩემჩირე-სოხუმი-ფსირცხა-გაგრა-სოჭა ფეხით (დაახლოვებით 300 ვერსი), სოჭა-ტუაფსე მატარებლით, ტუაფსე-სევასტოპოლი გემით, სევასტოპოლი-იალტა-ნოვაია სიმეიდა-იალტა ფეხით (დაახ. 100 ვერსი), იალტა-ბათომი გემით, ბათომი-თბილისი მატარებლით.

ექსკურსიის მიზანია შავი ზღვის სანაპიროების, ყირიმის, აფხაზეთის და სამეგრელოს ადგილმდებარეობისა და ხალხის ყოფა-ცხოვრების გაცნობა.

ექსკურსიის მონაწილეთ აუცილებლად თან უნდა ჰქონდეთ საჭირო ნივთები და მოწყობილობა.

ექსკურსიის ხელმძღვანელად განზრახულია დაინიშნოს მოქ. ს. კორჟენკო, რომელიც ამ საქმეში საკმაოდ გამოცდილია.

დაწვრილებითი ცნობების მისაღებად ექსკურსიაში მონაწილეობის მიღების მსურველმა უნდა მიმართოს მოქ. კორჟენკოს მისამართით: ძნელაძის (მესანგრეთა) ქ. № 24, საღამოს 5—7 საათამდე.

ჩაწერა სწარმოებს ს. პ. ქ. ს. კულტგანყოფილებაში.

ექსკურსია თბილისიდან გავა სექტემბრის პირველ რიცხვებში და გასტანს დაახლოვებით ერთ თვეს.

დახმარება ქუთაისს

საქ. წითელი ჯვრის ექსპედიცია, ქუთაისის, ხანძრისაგან დაზარალებულ მოსახლეობას სისტემატიურ დახმარებას უწევდა დღიდან ხანძრის გაჩენისა, ერთი თვის განმავლობაში სტატისტიკური ცნობების მიხედვით წითელი ჯვრის დახმარება შემდეგში გამოიხატა. ხანძრისაგან დაზარალებულთ დაურიგდათ უფასოდ 8.287 კილო პური, 756 მანეთის სხვა სურსათ-სანოვაგე, საექიმო დახმარებაზე დაიხარჯა—213 მანეთი და სხვა. სულ წითელ ჯვარს დაუხარჯავს 6.082 მ.—11 კაპ.

საქ. წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარი მთვარის კომიტეტმა გადასწყვიტა, ხანძრისაგან დაზარალებულ ქუთაისისათვის დახმარების აღმოსაჩენად გამოუშვას ჟურნ. „წითელი ჯვრის დახმარება“.

ჟურნალში მონაწილეობას მიიღებენ საუკეთესო ლიტერატურული ძალები, ამას გარდა ჟურნალში გაშუქებული იქნება წითელ ჯვრის როლი პირველ საექიმო დახმარების საქმეში, საერთოდ და კერძოთ ქუთაისში მომხდარ ხანძრის დროს.

ჟურნალის გასავრცელებლათ, საქ. წითელ ჯვართან მოეწყო სპეც. საგენტო, რომელიც ავრცელებს ჟურნალის შესაძენ ტალონებს (თითოეული ღირს 20 კაპ). შემოსავალი ნავარაუდევია რამოდენიმე ათასი მანეთი, რომელიც მთლიანად გადირიცხება ქუთაისის აღსადგენ ფონდში.

ჟურნალი გამოვა ოქტომბრის პირველ ნახევარში.

ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხი

რის ცოდნა არის საჭირო ახალი სესხის შესახებ

რამდენი ობლიგაცია იქნება გამოშვებული და რა ფასებში

ახალი სესხი ორ ნაწილად იყოფა. თითეული ნაწილი 250 მილიონი მანეთის ობლიგაციას შეიცავს. სესხის ერთი ნაწილი არის პროცენტიან-მომგებიანი, ე. ი. შემოსავალი სესხის ამ ნაწილის ობლიგაციებიდან ნაწილობრივ შესდგება პროცენტებიდან, რომელიც კუპონებზე იქნება დარიცხული, ნაწილობრივ კი-მოგებებიდან.

სესხის მეორე ნაწილი არის უპროცენტო-მომგებიანი, ე. ი. სესხის ამ ნაწილის ობლიგაციების შემოსავალი განაღდებული იქნება მხოლოდ მოგებათა სახით.

სულ სესხის ორივე ნაწილი შესდგება 20 მილიონ ობლიგაციიდან. თითეული ობლიგაცია ღირს 25 მანეთი. ობლიგაცია გაყოფილია ხუთ ნაწილად. თითო ნაწილი ხუთი მანეთი ღირს.

რა თანხაა გადადებული მოგებისათვის და პროცენტების გადასახდელად

ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხი გამოშვებულია 10 წლის ვადით. ამ ხნის განმავლობაში გაიმართება მოგებათა 76 ტირაჟი. გათამაშებული იქნება 2.921.500 მოგება. მოგებათა საერთო ჯამი შეადგენს 311.535.000 მანეთს.

ყველაზე დიდი მოგება ახალ სესხში შეადგენს 5.000 მანეთს, შემდეგ—1000 მან., 250 და 100 მანეთი.

ათი წლის განმავლობაში სესხის ობლიგაციების პატრონები პროცენტის სახით მიიღებენ 119.589.375 მანეთს. ამრიგად, ათი წლის განმავლობაში პროცენტების ასანაზღაურებლად და მოგებათა გასანაღდებლად მთავრობა დახარჯავს 431.124.375 მანეთს.

ობლიგაციების შეძენის პირობები

მუშა-მოსამსახურეებისათვის ობლიგაციების გამოსყიდვის ვადათ კოლექტიური ხელისმოწერის დროს დაწესებულია 8 თვე, ინდივიდუალურ მყიდველებისათვის—4 თვე, მუშა-მოსამსახურეებს კოლექტიური ხელისმოწერის ჩატარება შეუძლიათ სამსახურის ადგილის მიხედვით, საქარხნო-საფაბრიკო და ადგილ. კომიტეტების საშუალებით. გლეხებს კი-გლეხკომების, კოოპერატივების, კომუნებისა და კოლმეურნეობათა საშუალებით.

სესხი გავრცელებული იქნება ნებაყოფლობით. იძულებით გავრცელება, რომელიც ზოგ რაიონებში იქნა შემჩნეული საგლეხო სესხის განაღდების დროს, არავითარ შემთხვევაში არ იქნება დაშვებული.

სესხის ობლიგაციების შეძენა შეიძლება ყველა ბანკებში, შემნახველ სალაროებში, სასოფლო-საკრედიტო ამხანაგობებში და სხვ.

ობლიგაციების გაყიდვა ოფიციალურად დაიწყება მიმდინარე წლის პირველი სექტემბრიდან.

მოგების შანსები

სესხის პროცენტიან-მომგებიან ნაწილში პირველ 24 ტირაჟში მოგებათა რაოდენობა უდრის 29.000 (თითეული ტირაჟის დროს). პირველი ტირაჟისათვის ხმარებაში იქნება 10.000.000 ობლიგაცია. ამრიგად პირველი ტირაჟის დროს ერთი მოგება მოდის 344 ობლიგაციაზე. რადგან ის ობლიგაცია, რომელსაც მოგება ხვდა, იფარება (პატრონს უბრუნდება მისი სრული ღირებულება პროცენტებით) და მოგებათა შემდეგ ტირაჟებში არ მონაწილეობს, მოგებათა რაოდენობა კი პირველ 24 ტირაჟში უცვლელი რჩება, თითეული ტირაჟის შემდეგ მოგების შანსები იზრდება. უკანასკნელი ტირაჟის დროს ერთი მოგება მოდის 164 ობლიგაციაზე.

სესხის უპროცენტო-მომგებიან ნაწილში მოგების შანსები უფრო დიდია. ამ ნაწილში პირველ 24 ტირაჟში მოგებათა რაოდენობა (თითეული ტირაჟის დროს) უდრის 61.000. პირველი ტირაჟისათვის ხმარებაში იქნება 10.000.000 ობლიგაცია. ამრიგად სესხის ნაწილში პირველი ტირაჟის დროს ერთი მოგება მოვა 163 ობლიგაციაზე, უკანასკნელი ტირაჟის დროს კი—76-ზე.

ა.-კ. სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ინსტრუქტორთა მეორე თათბირი

სას.-სამ. კოოპერაციის მორიგი ამოცანები

(ამხ. აბაკის მოხსენება)

საბჭოთა კავშირის სას.-სამ. კოოპერაცია—სთქვა მომხსენებელმა—დღიდან თავისი წარმოშობისა (1921 წლიდან) ისეთ ობიექტიურ პირობებში იყო მოქცეული, რომ მას შეეძლო განვითარება მხოლოდ უნივერსალური სახით, ე. ი. ეწარმოებია ვაჭრობა და მხოლოდ ვაჭრობა.

ამ მიმართულებით ჩვენი სას.-სამ. კოოპერაცია სწრაფად ვითარდებოდა. მიმდინარე წლის დამდეგისათვის საბჭოთა კავშირში, უკრაინის გამოკლებით, ირიცხებოდა 300 კავშირი 50.000 კოოპერატივით, რომლებშიაც შეკავშირებული იყო 7,5 მილიონი წევრი. კოოპერატივების ამ დიდ რაოდენობას ახასიათებდათ მუშაობის უნივერსალობა და საწარმოო გაერთიანების სისუსტე.

მთელი საბჭოთა კავშირის საქონლის ბრუნვაში სასოფლო-სამ. კოოპერაციის ხვედრითი წონა შეადგენს 14,5 პროცენტს. რამდენათაც სას.-სამ. კოოპერაცია ვერ ამართლებდა თავის დანიშნულებას, იგი სათანადო გავლენას ვეღარ ახდენდა გლეხის მეურნეობის საქონლიანობის ზრდაზე. მთელ რიგ რაიონებში ნათესობათა სივრცემ მიაღწია ომის წინა ხანების დონეს, ხოლო მოსავლიანობამ კი ომის წინა ხანის მოსავლიანობის 50—60 პროც. ასეთივე მდგომარეობაში იმყოფებიან სხვადასხვა სპეციალური სახის მეურნეობანი, რომელთა პროდუქციის სუსტი ზრდის გამო საბჭოთა კავშირის მრეწველობა განიცდის ნედლი მასალის დიდ ნაკლებობას.

ამ გარემოებამ პარტიის მე-15 ყრილობა მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ საჭიროა როგორც თვით სასოფლო მეურნეობის, აგრეთვე სას.-სამ. კოოპერაციის რეკონსტრუქცია. პარტიის მეთხუთმეტე ყრილობის დადგენილების თანახმად სას.-სამ. კოოპერაცია სავაჭრო ორგანიზაციიდან—უნდა გარდაიქმნას საწარმოო ორგანიზაციად.

მომავალ მუშაობაში დიდი ყურადღება უნდა მიექცეს სპეციალური სახის კავშირების შექმნას, მიღებული უნდა იქმნას გადამჭრელი ზომები საკუთარი თანხების გაძლიერებლად, ვინაიდან წინააღმდეგ შემთხვევაში შეუძლებელია სას.-სამ. კოოპერაციის გაძლიერება.

მომხსენებელი აღნიშნავს, რომ ღარიბთა დახმარების საქმე ვერ დგას სათანადო სიმაღლეზე და ღარიბი გლეხობის ფონდი ძალიან ხშირად იხარჯება არა პირდაპირი დანიშნულებით. მომავალში ამ გარემოებას უნდა მიექცეს სერიოზული ყურადღება მომავალი ხუთი წლის დამლევისათვის მთელი ღარიბი მოსახლეობა შეკავშირებული უნდა იქნეს კოოპერაციაში.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს კოოპერაციის მუშაკების კადრის შექმნას. ადგილებზე ამ საკითხს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს, რომ რაც შეიძლება მალე შეიქმნას მომზადებულ მუშაკების საკმაო რაოდენობა. ამ მიზნით გამოყენებული უნდა იქნას დაწინაურების პრინციპი.

სას.-სამ. კოოპერაციის დღევანდელ მდგომარეობაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა საინსტრუქტორო განყოფილებას, რომელიც მოწოდებულია ჩვენი სას.-სამ. კოოპერაციის უშუალო ხელმძღვანელათ. სას.-სამ. კოოპერაციის სწორი ხაზით განვითარება ბევრად არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორი ცოდნით და გამოცდილებით არის აღჭურვილი ინსტრუქტორი. ჩვენმა ინსტრუქტორმა უნდა იცოდეს არა მარტო სქემა და ფორმა, არამედ ისიც, თუ როგორ შეუფარდოს ეს სქემა და ფორმა სინამდვილეს.

თათბირის მეორე სხდომაზე გაიმართა კამათი.

სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დაბეგვრა თბილისის მაზრაში

თბილისის აღმასკომის სას.-სამეურნეო გადასახადის ქვეგანყოფილება უკვე შეუდგა სამზადისს ერთიანი სას.-სამეურნეო გადასახადის კამპანიის ჩასატარებლად თბილისის მაზრაში. აღნიშნული სამზადისის შესახებ ჩვენს თანამშრომელს საგადასახადო ქვეგანყოფილებაში აცნობეს შემდეგი:

— პირველ რიგში სას.-სამ. გადასახადის ქვეგანყოფილებას გადაწყვეტილი აქვს ჩაატაროს დასაბეგრი ობიექტების აღრიცხვა, რადგანაც დასახადის აკრეფის საქმეზე დასაბეგრი ობიექტების სწორ აღრიცხვას უაღრესად დიდი მნიშვნელობა ექნება. ამით დაჩქარდება იმის გამორკვევა, თუ თვითეულმა გადამხდელმა რამდენი უნდა გადაიხადოს და ამას გარდა, უფრო მოკლე დროში მოხერხდება ე. წ. საგადასახადო ანუ დასაბეგრი ფურცლების დარიგება.

ეს გარემოება წინასწარვე იყო გათვალისწინებული და ამიტომ მოწვეულია მუშაკთა სპეციალური კადრი, რომლებიც ჩაატარებენ გადასახადის გამოანგარიშებას დასაბეგრი ობიექტების აღრიცხვის მიხედვით. მუშაობა, საქმის დაჩქარების მიზნით იწარმოებს დილით და საღამოობითაც იმ ვარაუდით, რომ 15 აგვისტოსათვის მთელი სამუშაო დამთავრდეს.

20 აგვისტომდე სას.-სამ. გადასახადის ქვეგანყოფილება მოახერხებს გადამხდელთათვის საგადასახადო ფურცლების დარიგებას.

მუშაობის ასეთი დაჩქარება აიხსნება იმითაც, რომ გადასახადის შეკრების დაწყების ვადათ დანიშნულია აღმოსავლეთ საქართველოს მაზრებისათვის 1-ლი სექტემბერი. 1-ლ ოქტომბრამდე გადაწყვეტილია შეკრებილ იქნეს მთელი გადასახადის 20 პროცენტი.

სათემო საგადასახადო კომისიებს დავალებული აქვთ გადამხდელთა საჩივრები სასწრაფოდ განიხილონ და თუ სათემო კომისიებს გაუძნელდებათ რომელიმე საჩივრის შესახებ დასკვნის გამოტანა, ასეთი გადაუგზავნონ ცენტრალურ სამაზრო კომისიაში.

სულ წელს მთელ მაზრაში აღრიცხულია 88.000 გადამხდელი, გასულ წელს კი აღრიცხული იყო 82.280. გადამხდელთა რიცხვის ასეთი ზრდა აიხსნება უმთავრესად საგლეხო მეურნეობების ბუნებრივი ზრდით და გლეხთა ახალი ფენების ეკონომიური მოღონიერებით.

საკავშირო სპარტაკიადის წინ

ამიერ-კავკასიის ფიზკულტუროსნების გამგზავრება

საკავშირო სპარტაკიადაზე მონაწილეობის მისაღებათ დღეს მოსკოვში მიემგზავრება ამიერ-კავკ. 360 ფიზკულტუროსანი, აქედან მონაწილეობას მიიღებს 136 კაცი.

ფეხბურთელთა გუნდიდან საკავშირო სპარტაკიადაზე გამოვა ამიერ-კავკ. ნაკრები გუნდი შემდეგი შემადგენლობით: პაპკოვი, ფოჩხუა, ნიხეზინი, პარამანოვი, ჟორდანია; ფროიძე, ქოიავა; ფაჩულია, ვაჩნაძე.

კალათბურთის გუნდებიდან სპარტაკიადაზე გამოდის საქართველოს გუნდების (ვაჟების და ქალების), რომლებმაც აიღეს ამიერ-კავკასიის პირველობა.

ფრენბურთელთა გუნდებიდან მოსკოვში მიემგზავრება აზერბეიჯანის (ქალთა და ვაჟთა) გუნდი.

სროლის შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებათ სპარტაკიადაზე მიემგზავრება 16 კაცი საქართველოსა და სომხეთის ფიზკულტუროსნებიდან.

ფარიკაობის ცილობაში მონაწილეობას მიიღებს 8 კაცი, საქართველოდან და აზერბეიჯანიდან.

ამიერ-კავკ. ტენისისტებიდან მიემგზავრება 18 კაცი.

მსუბუქ მძლეოსნობის შეჯიბრებაზე ამიერ-კავკასია გამოყოფს კოლექტივს 120 კაცის შემადგენლობით.

ძალოსნებიდან სპარტაკიადაზე გამოვა ამიერ-კავკასიის 17 ფიზკულტურელი. (საქართველოდან და სომხეთიდან).

ცურვის შეჯიბრებაში გამოდის 16 ფიზკულტუროსანი, აქედან 6 ქალი.

ტანთვარჯიშის ცილობაში საქართველო წარმოდგენილი იქნება 3 კოლექტივით. გარდა ამისა საკავშირო პირველობის შეჯიბრებაში გადიან: მეიფარიანი, რცხილაძე და დალაქიშვილი.

სპარტაკიადის პროგრამაში განსაკუთრებული ყურადღება აქვს მიქცეული ნაციონალურ ჭიდაობას.

ა.-კ. ფიზკულტურის უმაღლესი საბჭო სპარტაკიადზე აგზავნის 6 მოჭიდავეს.

მოტო-ველო შეჯიბრებაში ა.-კ. ფიზკულტურის საბჭოს მიერ გამოყოფილია 25 კაცი. აქედან 16 მოტოციკლეტისტია და 9 ველოსიპედისტი.

სპარტაკიადის დღეებში მოსკოვში გაიხსნება ფიზკულტურის მიღწევათა საკავშირო გამოფენა, სადაც ა.-კავკასიის ფიზკულტურის უმაღლესი საბჭო აწყობს ცალკე პავილიონს.

ა.-კ. პავილიონში წარმოდგენილი იქნება ჩვენი ფიზკულტუროსნების მუშაობის დამახასიათებელი დიაგრამები, და სხვა ექსპონატები.

საქართველოს ფიზკულტუროსნები მოსკოვში მიემგზავრებიან დღეს დილით. ნავთლუღში მათ შეუერთდებიან სომხეთის ფიზკულტუროსნები.

აზერბეიჯანის ფიზკულტუროსნები მოსკოვში გაემგზავრებიან 6 აგვისტოს.

მოსკოვში მიმავალმა ფიზკულტუროსნებმა დღეს, დილის, 12 საათზე თავი უნდა მოიყარონ თბილისის სადგურზე.

საკავშირო სპარტაკიადის მთავარ მსაჯთა კოლეგიაში ამიერ-კავკასიიდან არჩეულია ამხ. ერგარდტი.

ამიერ-კავკასიის ფიზკულტუროსნებს მოსკოვში მიაქვთ წითელი დროშა, რომელსაც ისინი გადასცემენ თავის საშეფო ორგანიზაციას—ჩეხო-სლოვაკიის მუშათა სასპორტო კავშირს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქრონიკა

მისალმება საქ. კომ. პარ. (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტს

ხულოს მაზრის მრავალრიცხოვანი საზეიმო მიტინგი, რომელიც გაიმართა 20 ივლისს პარტიის წევრებისა, კომკავშირელებისა და აჭარელ უპარტიო მუშა-მოსამსახურეების ოჯახის წევრების მონაწილეობით, ჩადრის დემონსტრატიულად ახდის დღეს მხურვალე სალამს გიგზავნის თქვენ და თქვენი მხრივ ამიერკავკასიის ყველა მშრომელს. დღევანდელი დღე აჭარისტანის ისტორიაში ჩაირიცხება, როგორც განსაკუთრებული მოვლენა. უჩამბის გზის საზეიმო გახსნასთან ერთად, დღეს ჩვენ ვზეიმობთ აჭარელ ქალთა განთავისუფლებას და მონურ ზნე-ჩვეულების წინააღმდეგ ბრძოლის გაცხოველებას. გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას, გაუმარჯოს თავისუფალ აჭარელ ქალს. **მიტინგის პრეზიდიუმი.**

—:—

პროფ. ეგორნოვის ჩამოსვლა

გუშინ თბილისში ჩამოვიდა ლენინგრადის პოლიტეხნიკური ინსტიტუტის პროფესორი **ნ. ეგორნოვი.**

ქიმიურ-ტეხნიკური ინსტიტუტის დაარსება

ს. მ. უ. ს. პრეზიდიუმის დადგენილებით, ს. მ. უ. ს. ცენტრალური ქიმიო-ტეხნიკური ლაბორატორია გადაკეთებული იქნება სამეცნიერო ქიმიურ-ტეხნიკურ ინსტიტუტად, რომელიც ჩაატარებს როგორც ქიმიურ-ტეხნიკურ ანალიზებს, ისე მისცემს შესაფერის დასკვნებს სხვადასხვა, შესასწავლად წარდგენილ საკითხების გარშემო.

სამეცნიერო ქიმ.-ტეხნიკური ინსტიტუტი მუშაობას შეუდგება მოკლე ხანში.

სახ. უნივერსიტეტში შემსვლელთა საყურადღებოთ

სახ. უნივერსიტეტში ახლად შემსვლელთათვის განცხადებების მიღების უკანასკნელი ვადა არის 10 აგვისტო.

15 აგვისტოდან დაიწყება შემოსასვლელი გამოცდები. გადასახადი გამოცდებისათვის დაწესებულია 10 მანეთი.

ტყავეული ხორბლის დამამზადებელ რაიონებს

ვაჭრობის კომისარიატის რწმუნებულის საქართველოს ცნობით, საქართველოს ხორბლეულის დამამზადებელ რაიონებს, ხორბლეულის დამზადების მიზნით გაუნაწილდათ — 10.233 მანეთის ტყავეული.

აბანო მარელისში

სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ადგილობრივი მრეწველობის განყოფილებამ საქართველოს საამშენებლო-ტეხნიკურ კომიტეტს განსახილველად წარუდგინა აბანოს პროექტი, რომელიც აგებული უნდა იქნეს მარელისში გრეხილ ავეჯეულობის ქარხნის მუშებისათვის. აბანოს აგება დაჯდება 20 000 მანეთამდე. აბანო აგებული იქნება მიმდინარე კალენდარული წლის დამლევამდე.

თბ. ალმასკომში

◆ **ქუნთრუშასა და ხუნაგის აცრა.** ჯანმრთელობის განყოფილებას გადაწყვეტილი აქვს შემოდგომიდან ქალაქის სკოლებში შეუდგეს მოწაფეთა მასიურ აცრებს ქუნთრუშასა და ხუნაგისაგან.

◆ **ტყეების დამუშავება.** თბილისის ალმასკომის ინიციატივით კახეთის ტყეებში დაწყებულია ქალაქისათვის საჭირო ხე-ტყის სააღმშენებლო მასალათა დამზადება.

ჯანმრთელობის კომისარიატში

◆ **საექიმო რაზმების მუშაობა.** ჯანმრთელობის კომისარიატში მოსული ცნობებით სხვადასხვა მაზრებში გაგზავნილი საექიმო რაზმები უკვე ამთავრებენ მუშაობას და ახლო ხანში გადავლენ ახლო რაიონებში სამუშაოთ.

◆ **მალარიასთან ბრძოლა.** მალარიასთან ბრძოლის საქმის გასაუმჯობესებლათ გადაწყვეტილია ყველა სამალარიო რაიონებში მოეწყოს მალარიასთან მებრძოლი სასოფლო და სათემო კომისიები.

პროლეტ. სტუდ. ბიუროში

◆ **ალმასბიუროს გამოკვლევა.** პროლეტსტუდენტთა ბიურომ ჩაატარა თბილისის სახ. უნივერსიტეტის სტუდენტთა ალმასბიუროს გამოკვლევა. ბიურომ მუშაობა დამაკმაყოფილებლად სცნო.

◆ **აჭარისტანის მუშფაკელები კურორტზე.** პროლეტ. სტუდ. ბიურომ აჭარისტანის მუშფაკელებს დაუთმო რამოდენიმე ადგილი სანატორიუმებში.

◆ **ექსკურსიები.** მიმდინარე საზაფხულო სეზონში სახ. უნივერსიტეტმა მოაწყო 9 ექსკურსია ამათგან 3 შორეული ექსკურსია იყო.

◆ **ჟურნ. „მუშფაკელი".** სახ. უნივერსიტეტის რკ. გზ. მუშფაკმა გამოსცა ჟურნალი „რკ. გზის მუშფაკელი".

ს. მ. უ. ს.-ში

◆ **სად იქნება შემოღებული 7 ს. სამუშაო დღე.** ს. მ. უ. ს. პრეზიდიუმმა მისწერა ყველა ტრესტებს და წარმოებებს, რომ შეუდგენ დაწვრილებითი ცნობების შეგროვებას იმის შესახებ, თუ სად ან რომელ წარმოებაში მიაჩნიათ მათ შესაძლებლათ 7 საათის სამუშაო დღეზე გადასვლა 1-ლ რიგში.

◆ **შირაქის ნავთი.** შირაქიდან დაბრუნდა სამთო ზედამხედველობის უფროსი ინჟ. ი. ყიფშიძე, რომელმაც თან ჩამოიტანა შირაქის 1-ლი საცდელი ჭაბურღილიდან ამოღებული ნავთის ნიმუში.

◆ **გეოლოგ კონიუშევსკის მივლინება.** ს. მ. უ. ს. სამთო განყოფილებამ შავი ზღვის სანაპიროებზე ახალი მადნეულობის გამოსაკვლევ სამუშაოთა დასათვალიერებლათ მიავლინა გეოლოგი ლ. კონიუშევსკი.

წითელ ჯვარში

კინო სურათი. საქ. წითელმა ჯვარმა დასდგა სააგიტაციო სურათი „პირველი დახმარება უბედურ შემთხვევებში".

◆ **საექიმო იურტა.** წითელმა ჯვარმა ახალ ქალაქის საძოვრებზე გახსნა საექიმო იურტა.

◆ **დახმარება სტუდენტობას**—პროლეტ. სტუდენტთა ბიუროს, წითელმა ჯვარმა დახმარების სახით გადასცა 200 მანეთი.

◆ **მფრინავი რაზმები**—სტიქიურ შემთხვევებთან საბრძოლველად წითელმა ჯვარმა გადაწყვიტა მოაწყოს მფრინავი რაზმები.

◆ **წ. ჯვრის ლიტერატურა.** პირველ საექიმო დახმარების წრეებისათვის, საჭირო ლიტერატურის მისაწოდებლად წითელმა ჯვარმა გადასდო 1.065 მანეთი.

◆ **ტრაქტორი გლეხობას.** საქართველოს წითელმა ჯვარმა სოფ. სასირეთის გლეხობას — 1.000 მ. შეუძინა „ზენცი"-ს სისტემის ტრაქტორი.

◆ **წ. ჯვრის სამდღიური.** შემოდგომისათვის განზრახულია ჩატარდეს წითელი ჯვრის სამდღიური.

სხვადასხვა

◆ **გლეხკომების რეორგანიზაცია.** გლეხკომების ცენტრალურმა კომიტეტმა გადასწყვიტა ახლად გაერთიანებულ მაზრებში მოახდინოს გლეხკომების ორგანიზაციების გადახალისება.

◆ **რესპუბლიკის მრეწველობის პროდუქცია.** ს. მ. უ. ს. ეკონომიური განყოფილების ცნობით ივნისის განმავლობაში რესპუბლიკაში დამზადებული ყოფილა 1.917.500 მანეთის პროდუქცია.

◆ **საინკუბაციო კამერების შეძენა.** აბრეშუმის ტრესტმა გადასწყვიტა შეიძინოს საინკუბაციო კამერების ახალი პარტია მაზრებში დასაგზავნათ.

◆ **ჩაის ქარხნების მოწყობა დამთავრდა.** საზ-ბა „საქართველოს ჩაის" ცნობით ყველა ახლად დაწყებული ჩაის ქარხნების მოწყობა უკვე დამთავრებულია.

— თბილისის შრომის ბირჟა აცხადებს, რომ მუშის შვილები, დაბადებულნი 1911—1912 და 1913 წელში, რომლებიც გატარებულარიან თბილისის შრომის ბირჟასთან არსებულ მოზარდთა სექციაში და იქვე დამთავრებული 4—7 და 9 წლედები, ვალდებულნი არიან წარმოადგინონ მოზარდთა სექციაში სასწავლებლის მოწმობები ერთი კვირის განმავლობაში.

ჩაუბარებელი დეპეშები

ვანჯიდან — კარაპეტიანს; მინუტკიდან — სანდლერს; ქარელიდან — ედილაშვილს; მოსკოვიდან — კამელკოვს; კარაკლისიდან — ბეკოგოსოვს.

—:—

„მნათობი" № 7

გამოვიდა და იყიდება ჟურნალი „მნათობი" № 7.

ჟურნალში მოთავსებულია შემდეგი მასალა: **გალ. ტაბიძე**—ეპოქა (გაგრძელება), **ვარ. ჟურული**—მეწყერი, **ნ. ზომლეთელი**—ჩვენი გზა, **კ. ბობოხიძე**—ლექსი, **მ. გაბესკირია**—ლექსი, **სტ. კასრაძე**—მებადურთ უბანი, **მ. წერეთელი**—გულქან (გაგრძელება), **იასამანი**—სამეგრელოში, **ბანოვანი**—სამართალს სისხლით მოვძებნით, **მ. გორკი** არტამანოვების საქმე (გაგრძელება თარგ. **ლ. ქიაჩელის**), **ლ. ანდრეევი**—ცხენი სენატში (თარგ. **ვ. ბ—ძის**). **მიხ. კახიანი**—იდეოლოგიის ფრონტზე, **ვ. ბახტაძე**—სადღეისო საკითხები ლიტერატურაში, **რ. კალაძე**—ქართული პროლეტარული მწერლობა, **ვ. ხუროძე**—ორი სტილი (გაგრძელება), **გრ. რობაქიძე**—პისკატორის თეატრი. და ბიბლიოგრაფიები.

ჟურნ. „კაპიტალის ტყვეების ხმა"

საქ. რემედასი, თავისი საგამომცემლო ფონდის გასაძლიერებლათ და ადგილობრივ ორგანიზაციებისათვის ფონდის შესაქმნელად ა. წ. 10 აგვისტოსათვის გამოუშვებს ჟურნ. „კაპიტალის ტყვეების ხმა"-ს. ჟურნალის გამოსვლასთან დაკავშირებით გაიმართება ლატარეია. ლატარეიაში გათამაშებულ იქნება რამოდენიმე ადგილი ა.-კ. და საქართველოს კურორტებზე და რემედასის ბიბლიოთეკა. ჟურნალის გასავრცელებლად შესდგა კომისია. საქ. რემედასის ცეკას მდივნის ამხ. ქოიავას თავმჯდომარეობით. კომისიაში შედიან საქ. კომ. პარტიის ცეკას და კომკავშირის ცეკას, წარმომადგენლებიც.

შემთხვევები

გაუპატიურება

სისხლის სამართლის სამძებრო მილიციამ დააპატიმრა სანიკო არსენისძე ბაკუტოვი, რომელსაც ბრალდება ლ. კ—ვას გაუპატიურება.

დაჭრა

თათრის მოედანზე ისაკ დავითისძე შაფთოშვილმა დანით დასჭრა ი. ბოქერაშვილი. შაფთოშვილი დაპატიმრებულია.

ჯიბგირობა

ამას წინად თბილისში ჩამოსულ სვანეთის ალმასკომის თავმჯდომარეს ვიღაც ბოროტმოქმედმა რუსთაველის პროსპექტზე ჯიბიდან ამოაცალა 800 მანეთი. ამ დღეებში სისხლის სამართლის მილიციამ ბოროტმოქმედი დააპატიმრა. ჯიბგირი აღმოჩნდა დავით გრიგოლისძე ბლიუმი.

ქურდობა

ბოქლომის გატეხის საშუალებით გაქურდეს შალვა ლომთაძის ბინა (კეცხოველის ქ. 22), წაიღეს 150 მანეთის ნივთები,—გარდა ამისა, 2 აგვისტოს ქალაქში აღრიცხულია წვრილი ქურდობის შვიდი შემთხვევა.

ქურდობისათვის დააპატიმრეს: ალიხან თათეოსისძე ხოსროევი, რაჩ კირაკოზისძე ოგანეზოვი, სერგო ალექსანდრესძე შენთე და გაბრიელ გიორგისძე ხიმიზური.

სასამართლო

ქმრისათვის ყურის მოჭრა

ამ მოთხრობის მთავარი „გმირია" ოლღა სიმონის ასული კურჩენკო.

ამბავი იწყება მიჯნურობით.

ბუხჰალტერ ანტონ საველიევს რკინის გზაზე მუშაობის დროს ძლიერ მოსწონდა თანამშრომელი ქალი ოლღა კურჩენკო.

მოსვენებას არ აძლევდა ქალს. სწერდა სატრფიალო წერილებს. თავს აბეზრებდა და წამდაუწუმ ერთ აზრს ჩასჩურჩულებდა:

გახდი ჩემი ცოლიო.

საველიევმა თავისი მოქმედებით მოინადირა ქალის გული.

კურჩენკოს ქალიც იმდენათ გატაცებული იყო, რომ ყურადღებას არ აქცევდა ამხანაგების გაფრთხილებას, რომლებიც ეუბნებოდნენ:

— ოლღა! არ გაბრიყვდე, კურჩენკოს არ გაყვე, რადგან ის დატვირთულია ცოლშვილითო.

დღე-დღეს სცვლიდა და განწყობილება მათ შორის მტკიცდებოდა.

ოლღა მითხოვდა საველიევს.

ქმარიც, პირველ ხანებში, მოკრძალებით ეპყრობა ცოლს. არ აძლევს მას საბაბს უკმაყოფილებისას.

რამოდენიმე ხნის შემდეგ საველიევს უკვე აღარ მოსწონს ოლღა, აკრიტიკებს მის ყოველ ნაბიჯს. უბრალო რამეზე იშლება.

იმ ხანებში საველიევის პირველი ცოლი და შვილები ფოთში იმყოფებოდნენ. (ამბავი კი ხდება თბილისში).

— ჩვენი ერთ დაწესებულებაში სამსახური უხერხულია. გავიგე, რომ ახლო ხანში ერთერთს შეგვამცირებენ, რაღა გვეშველება მაშინ,—ეუბნება ცოლს ანტონი.

— არა უშავს რა, შენთან მარტო პურის მეტი რომ არაფერი დაგვირჩეს, მე მაინც ბედნიერათ ჩავთვლი ჩემ თავს.

დღე არ გავიდოდა ისე, რომ ქმარს საყვედურით არ მიემართა ცოლისათვის.

ქალი კი ითმენდა ყველაფერს. ცემა-ტყეპასაც კი.

ბოლო დროს საველიევმა ხელი მიჰყო როსკიპ ქალებთან ხეტიალს.

მოიყვანდა სახლში ქალს და თავის ცოლს კი ეტყოდა:

— აბა, დაგვტოვე მარტოთ.

ცოლიც ასრულებდა ქმრის ბრძანებას.

ქეიფის დაკმაყოფილების შემდეგ საველიევი დაცინვის კილოთი მიმართავდა ცოლს:

— ესა და ეს ქალი უფრო მომწონს, რადგან შენზე უფრო ლამაზი არისო.

ერთ მშვენიერ დღეს საველიევი ეუბნება ცოლს:

— ამიერიდან ჩვენს შორის ყველაფერი გათავდა. მე მივდივარ ფოთში—ყოფილ ცოლთან. შეკარი შენი ბარგი და წადი აქედან.

ქალი ემუდარებოდა ქმარს ხელი აეღო თავის განზრახვაზე, მაგრამ ამაოდ.

საველიევი მაინც თავისას გაიძახოდა:

— პირველ ცოლთან უნდა წავიდე.

ქალი პანღურის ცემით გამოაგდო ოთახიდან.

კურჩენკოს ქალმა დერეფანში თვალი მოჰკრა სუფრის დანას, რომელიც შეუმჩნევლად აიღო და როცა საველიევი ოთახის კარებს ჰკეტავდა, მოსჭრა ყურის ბიბილო და მიაყენა ტანზე რამდენიმე ჭრილობა.

ხმაურობაზე შეცვივდნენ მეზობლები და კურჩენკო დააპატიმრეს.

საქმე უკვე გამოძიებულია და გადაეცა თბილისის სამაზრო სასამართლოს.

—:—

ხულიგანი—„მომღერალი"

ამას წინათ ღამით, პლეხანოვის პროსპექტზე ბარბაცით მიაბიჯებდა შეზარხოშებული ალექსი ივანესძე ზაზიაშვილი და „ტკბილად" მიიმღეროდა.

მილიციელმა წინადადება მისცა ზაზიაშვილს თავი დაენებებია სიმღერისათვის.

— რა გაჭირვე საქმე, კვერთი სხვასაც ჰქონია ხელში,—ეუბნება მილიციელს.

— ამხანაგო! თქვენ წესრიგს არღვევთ, განებეთ თავი სიმღერას,—კვლავ მიმართავს მილიციელი.

ზაზიაშვილი პლეხანოვის პროსპექტიდან გადავიდა ყ. ქსენიევის ქუჩაზე.

სიმღერას მაინც განაგრძობს „სადაც არ ვიარე"-ს ხმაზე. და მართლაც, „სადაც არ იარა"-მან, ყველგან შეხვდა მილიციელს და მეეზოვეს, რომელიც უკრძალავდა ქუჩაში სიმღერას.

ქუჩაზე გამვლელმა მოქალაქემ, რომელსაც მობეზრდა სიმღერა, ურჩია მას თავი გაენებებია სიმღერისათვის.

ბრაზისაგან აენთო ზაზიაშვილი. მუშტი დაარტყა ელექტრონის ბოძს და მოქალაქეს დაემუქრა:

— ვის უბედავ შენ გველის წიწილო—და ყელში სწვდა უცნობ კაცს, რომელსაც ისეთი უბიძგა, რომ კინაღამ დაასკდა ფილაქანს.

ჩხუბის დროს შეგროვდა ხალხი. გაისმა მეეზოვის სტვენა.

„ქუჩის გმირი" არ წყნარდება და ღრიალებს:

— ახლოს არ მომეკაროთ, თორემ დაგკლავთ ღორივით.

მილიციელის დანახვაზე წაუხდა „ვაჟკაცობა".

კომისარიატში კი დანაშაულის პატიებას ითხოვდა.

ზაზიაშვილს ადმინისტრატიული წესით მიესაჯა ორი კვირით დაპატიმრება.

თ.

ვის ჩამოერთმევა სახლები

ნინო ალადაგოვს (ბარნოვისა და გურამიშვილის ქ. № 12—8), **ივანე დასაევს** (ორჯონიკიძის ქ. № 76), **კვირიკაშვილს და სხვებს** (ორჯონიკიძის ქუჩა № 74), **მალაევს** (ორბელიანის ქუჩა № 23), **სარქისოვს** (ფურცელაძის ქუჩა № 26), **თადეოზ ბერუჩაშვილს** (ყაზბეგის ჩიხი № 4), **ბერიძეს და ბეჟანოვს** (ზუბალოვის ქ. № 3), **რუბენ მინასიანს** (საზონოვის ქ № 50—20); **ოქროევს** (ნერსისოვის და კალოუბნის ქ. № 6—20), **ნ. სულხანიშვილებს და სხვებს** (ცხემის ჩიხი № 11—5), **მელუხას და თეთროდი კობიევს** (ნერსისოვის ქ. № 12), **ამილახვარს და კუვიაზოვს** (ჯორჯიაშვილის ჩიხი № 3), **მიკირტიჩ ოგანიანს** (ხაზინის ქ. № 5—1), **შახვერდოვს და ოსკანიანცებს** (სპარტაკის შესახვევ. № 17), **იორდანაშვილს და ბეგლარიანს** (ნოვის ალმართი № 1), **მელიქოვს და ფირალოვს** (ყოფ. ნერსისოვის ქუჩა № 4), **კარაპეტ ოგანეზოვს** (ორჯონიკიძის ქ. № 106), **ნიკოლოზ გალუსტოვს** (გუმბრის ქ № 9), **ხახანაშვილებს** (ხაზინის და ყოფ. ნერსისოვის ქ. № 7—2), **ვასილ კორნეევს** (ახალი ტროცკის ქ. № 38), **ბუკიას და კეჩუნაშვილს** (ცხემის შესახვევი № 13), **გაჯი-აზიზ-იმ-ალოვს** (სუმბათოვის ქ. № 11), **კაცოშვილს და ფარულავას** (ნორაშენის შეს. № 4—6), **ალექსანდრე მგალობლიშვილს** (ბაქრაძის ქუჩა და ბაქრაძის ჩიხი № 6—1), **ხაჩატურ კერეშოვს** (კალინინის ქ. № 29), **ელისაბედ ინაშვილს** (არაგვის შესახვ. № 15), **ვასილ სარაულს და ვასილ ზაუტაშვილს** (გელათის ქ. შესახვევი № 9), **ივანე თულაევს** (ვერცხლის ქ. № 43 — 10), **ანნა ბარსეგოვას** (კალისის ქ. № 23), **ბაკურაძეს, ბერეჟიანს და მუსერიძეს** (კალისის ქ. № 34), **თედორე ზაქარიაძეს** (მაგისტრალის ქუჩა № 7—15), **თედორე ჩეპაგოვსკის** (ჩელაუბნის ქ. № 14), **პოლოსოვს** (პრესის ქ. № 6), **ელიაშვილს** (ძნელაძის და ვოდოვოზნის ქ. № 11—1), **ქუთათელაძეს და კოხრეიძეს** (ძნელაძის ქ. და შესახვევი № 19—1), **ქურხულს** (ნატახტარის ქ. № 19), **ნ. ზორიანცს** (ზოროაშევის და მეტეხის ქ. №28—39), **ივანე ონანოვს** (კამოს ქ. № 43), **სერგო პაპუაშვილს** (შამხორის ქ. № 11—13), **ეკატერინე და ივანე იარალოვს** (შამხორის ქ. № 8), **ჩერნიშევს** (ქუთაისის ქ. № 30), **მამრაძეს** (ხიდისთავის ქ. № 15), **ვართანოვებს** (ავლაბრის ქ. № 5), **გძელიძეს და ისაკაძეს** (კალინინის ქ. № 25), **ნიკოლოზ ზერდილაძეს** (გურამიშვილის ქ. № 28), **ოსტიკიანცს** (ნატახტარის ქ. № 7—12), **ჯანანოვს** (იორის შესახვ. № 5—3).

მოტო-გადარბენა

მოსკოვი—თბილისი—მოსკოვი

თბილისის ალმასკომის ადმინისტრატიულ განყოფილების უფროსმა—ამხ. **საჯაიამ** მიიღო დეპეშა, რომ მოტოციკლეტისტები კავკავში ჩავიდოდნენ გუშინ, 3 აგვისტოს. თბილისში გადარბენის მონაწილეთ მოელიან დღეს, 4 აგვისტოს 2—4 საათზე. გადარბენას ფინიში გაიმართება საბურთალოზე.

ამ დროისათვის საბურთალოზე თავს მოიყრიან: პროფკავშირების, კომკავშირის, ფიზკულტურის საბჭოს და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები.

აქვე გაიმართება სახელდახელო მიტინგი.

მიტინგის შემდეგ მოტოგადარბენის მონაწილენი დაივლიან ქალაქის მთავარ ქუჩებზე.

მოტო-გადარბენის მონაწილეთათვის ავტოკლუბთან მოეწყო საგანგებო გარაჟი და ხელოსნობ.

გადარბენის მონაწილეთა შესახვედრათ კავკავში გაემგზავრა ამიერ-კავკ. გზა-ტკეცილების სამმართველოს უფროსის მოადგილე — ამხ. **აზარიანი** და ავტო-კლუბის, მოტოველო საზოგადოების, წითელ დროშოვან არმიის წარმომადგენლები.

გარდა ამისა გუშინ, სახკინმრეწვმა, გადარბენის გადასაღებათ კავკავში მიავლინა ოპერატორები.

მოტოციკლეტისტების პატივსაცემათ, კვირას ორჯონიკიძის სახელობის კლუბში იმართება სალამო-მიტინგი.

ამას გარდა, ადგილობრივ ტრანსპორტზე მომუშავეთა პროფკავშირის თაოსნობით შაბათს, 5 აგვისტოს, საღამოს 6 საათზე გადარბენის მონაწილეთა პატივსაცემად მუშათა ცენტრალურ კლუბში გაიმართება მიტინგი, რომელზედაც მოწვეული არიან პროფკავშირების წევრები და სხვადასხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები.

მეცნიერება და ტეხნიკა

სისხლის გადასხმა

მრავალ შემთხვევებში, მაგალითად სისხლის დიდი რაოდენობით დაკარგვის დროს, როცა ადამიანის სიცოცხლეს საფრთხე მოელის, ადამიანის გადასარჩენად საუკეთესო საშუალებად მიჩნეულია მეორე—ჯანსაღი ადამიანისაგან მიღებულ სისხლის გადასხმა. დადებითი გავლენის ახდენს სისხლის გადასხმა იმ ადამიანებზე, რომლებიც სისხლის ავთვისებიანი ნაკლებობით არიან დაავადებული.

სისხლის გადასხმის საკითხების შესასწავლად და ამგვარ ოპერაციების შესასრულებლად მოსკოვში ამ რამდენიმე ხნის წინად დაარსდა სისხლის გადასხმის ინსტიტუტი.

მთავარ დაბრკოლებას სისხლის გადასხმის დროს წარმოადგენს ის გარემოება, რომ ასეთი ოპერაციის დროს სისხლი ჩქარა იკეთება. რომ თავიდან იქნეს აცილებული ამგვარი მოვლენა, სისხლს ურევენ განსაკუთრებულ ნივთიერებას—ეგრედ წოდებულ ლიმონმჟავა ნატრიუმს, მაგრამ ეს ნივთიერება რამდენიმედ ცვლის სისხლის თვისებას, აუარესებს მის ხარისხს.

მოსკოვის სამეცნიერო-ქიმიურ ფარმაცევტიულ ინსტიტუტში სისხლის გადასხმის მიზნისათვის რამდენიმე წელიწადია სწავლობენ ნივთიერებას, რომელსაც ეწოდება „ბაიერ 205" ან „გერმანია". ცდებს ახდენდნენ ბაჭიებზე. გამოირკვა, რომ ეს ნივთიერება სისხლს აცავს შეკეთებისაგან და ამავე დროს უფრო მოხერხებულია სისხლის გადასხმის ოპერაციების დროს, ვიდრე ლიმონმჟავა ნატრიუმი, და რაც უმთავრესია—უვნებელი.

მორიგ ამოცანას ამჟამად წარმოადგენს მიღებულ შედეგების შემოწმება ადამიანებზე. თუ ეს ნივთიერება გამოსადეგი აღმოჩნდება ადამიანებისათვის სისხლის გადასხმის დროს (არის საბუთები, რომ იგი გამოსადეგი უნდა იყოს), მაშინ სისხლის გადასხმის ტეხნიკა საგრძნობლად გამარტივდება, რაც შესაძლებელს გახდის ამ ოპერაციების წარმოებას უფრო ფართო მასშტაბით, ვიდრე დღემდე.

რადიო-გადაცემა

შაბათი, 4 აგვისტო

დღეს, 4 აგვისტოს, თბილისის 4 კილოვატიან რადიო-სადგურიდან 1070 მეტრიან ტალღაზე გადაცემული იქნება:

მორზეს ანბანი — განმარტება ქართულ ენაზე.

სოფლის რადიო-გაზეთი—ქართულ ენაზე.

ტუბერკულოზი—მოხს. ქართულ ენაზე.

ბრძოლა დეფექტების აღმოსაფხვრელად კომუნისტების ყოფა-ცხოვრებაში—მოხს. რუსულ ენაზე.

კულტურული რევოლუცია ეროვნულ უმცირესობათა რესპუბლიკებში—მოხს. სომხურ ენაზე.

გაზ. „ენიკენდ"—თურქულ ენაზე.

კვირეული ცხრილის გადაცემა—ქართულ და რუსულ ენებზე.

კონცერტი ან ტრანსლიაცია.

საქ. გეოფიზიკური ობსერვატორიის ცნობები—ქართულ და რუსულ ენებზე.

ა.-კ. დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია—ქართულ და რუსულ ენებზე.

მოხსენებების შუა—მუსიკალური ნომრები.

შრომის ბირჟაში

მოთხოვნილება მუშა-ხელზე

დღეს, 4 აგვისტოს თბილისის შრომის ბირჟა სამუშაოზე გასაგზავნად იწვევს შემდეგი პროფესიის უმუშევართ:

კვალიფიციურ მუშაკთა პირველ სექციიდან: ნინო წამალაშვილი; მარიამ გარსევანიშვილი; მუშანიკ სირუნიანცი; მარიამ სააკოვა; ნინო იარალოვა; ზაქარია შავგულიშვილი; მარიამ ტერ-ანდრიასოვა; ვერა კოტიაშვილი; ხორენ გრიგორიანი; არტაშეს შხიკიანი; ამბარცუმ ამამჯიანი, ნინო ლიუცენკო; ეკატერინე მაული; სტეფანე არუთინოვი; ბარბალე ბევუმოვა და მართა არაქელაშვილი.

გონებრივ მუშაკთა მეორე სექციიდან: ნინო გოგოლაშვილი; ალექსანდრე მეირლოვი; მიხეილ ნიკურაძე; ლევან კიკნაძე; ნინო ასლამაზოვა; სალომე თაბუაშვილი; მარიამ ჭუბაბრია, ევგენია მეხრიშვილი; ნინო ჯანდიერი; ვასილ იიქოვანი; პლატონ ბარამიძე; ვალერიან ბოკერია; გენო ჯავახიშვილი; სოფიო ბერიძე; გვერდწითელისა; გიორგი მეძმარიაშვილი; გიორგი ქორელი; ნინო ჯაყელი; ივანე ხაჩატუროვი; ბარბალე გვენცაძე; ანტონინა პოპოვა; ალექსანდრე ურგებაძე; არმენაკ სარქისოვი; არამ მარქარიანი; სედრაკ არუთინოვი; სიმონ სადინიშვილი; ლიდია პოლიუდოვა; კლავდია კოსტიანოვსკაია; კარაპეტ ვართანიანცი; მარტიროს გევორქოვი; ალექსანდრე ოსიპოვი; გენადი გაჩეჩილაძე; მელიტონ ბაბიანცი; ისმაილ სულთანოვი; ზაქარია ბუხარაშვილი და ა. კონტრიძეს.

შავ მუშაკთა მესამე სექციიდან: მარიამ ჩარექიშვილი; მარგალიტა ჯაში; ივანე ზალიაშკალი; ვასილ მუმლაძე; ნიკოლოზ ტრაპაიძე; არტემ კობახიძე; ანნა ბელკინა; გრიგოლ შერაზადაშვილი; თედორე დამათიევი; ვასილ კახიანი; ფილიპე ფოლშინი; ეთერი თოფურია; ალექსი დავლინიძე; დავით ჩეჩელაშვილი; არსენ გოგლიძევი; გიორგი სოგომონოვი; გრიგოლ ასიტოვი; პანტელეიმონ პაიჭაძე; პარმენ ურგებაძე; სოფიო სარაული; ელენე გოიაშვილი; ნატალია ფიცხელაური; ბერიკვა ნატალია; ეკატერინე მურადოვა; ბარბარე ნებიერიძე; ნინო ჩაუსოვა და ზასითა ავდალოვა.

მშენებელთა მეხუთე სექციიდან: მოსეს ვართანოვა; ვიქტორ ლიუცენკო და ივანე მოლოტოვი.

1927 წ. 10 პროცენტიანი სესხის ტირაჟი

მოგებათა ოფიც ცხრილი.

250 მანეთიანი მოგებანი

22 ივლისის დილის სხდომა

001333	08	034225	05	068686	19
002330	13	039349	07	070784	08
002681	18	039895	12	071338	09
005302	13	042244	05	073997	09
005528	05	044484	12	074217	14
008936	20	047205	07	074898	09
009195	16	047371	11	077487	09
009503	16	047442	17	078953	03
009543	14	049774	13	080344	06
018426	13	050240	17	082531	10
018814	05	054839	14	082855	20
018885	10	055500	09	083591	13
019438	07	056671	15	085747	04
019470	07	056692	18	087825	20
021416	20	058605	05	093276	05
024006	13	059338	13	093458	10
025800	10	059967	04	094261	05
026596	11	060404	02	095858	19
028251	14	060563	14	096348	06
031985	08	063018	08	097008	01
033002	01	063332	10	099635	02
034224	18	068350	13	109056	08
111763	02	142876	08	178094	12
113610	04	143625	10	179398	10
121404	14	143879	16	179833	20
121750	05	144998	08	179976	02
124643	14	145119	05	180855	13
124836	17	145306	15	180967	08
127058	06	148209	18	181617	17
128226	06	148655	08	181791	13
128406	15	150579	10	183100	16
129429	11	151414	04	183213	08
131605	19	152430	06	183304	04
131987	13	152602	08	183450	03
132331	01	152667	01	188499	05
132588	20	153855	16	189059	03
132930	11	155662	10	191276	09
136115	02	162097	05	193816	12
136322	19	163718	14	196574	16
137319	06	164263	03	199135	06
139321	16	168673	08		
139412	19	168716	08		
141547	03	170969	10		
141825	19	173669	11		

1000 მანეთიანი მოგებანი

003704	13	031095	03	102071	13
015634	04	034701	09	103023	10
018809	09	052901	03	103340	01
020675	06	075757	06	109018	17
022184	19	083921	14	114590	12
023511	19	095849	17	116458	12
025297	11	101119	13	117683	17
121577	13	147920	13	188985	12
134081	18	151563	19	188999	19
134211	02	152901	13	191605	09
136768	14	163325	01	193730	05
138290	05	167323	12		
140916	11	167942	12		
142259	01	187815	13		

22 ივლისის სალამოს სხდომა

001847	07			059126	10
011820	01	031777	19	065065	03
012666	03	037383	02	070515	06
015813	19	054105	18	106202	07
017922	08	055896	12	111130	17
017995	16	058900	09	120283	18
122647	02	159730	06	184822	14
124498	06	172256	12	189870	03
131212	15	174058	06	191046	16
147238	17	176518	18		
149460	08	181545	08		
153859	20	183991	15		

5.000 მანეთიანი მოგებანი

011061	17	040027	17	129176	02
032651	06	072345	07	146153	09
157538	07	190996	07	193945	13
159720	19				

10.000 მანეთიანი მოგებანი

069599	17	072385	18	131780	11
140140	13	153945	09		

25.000 მანეთიანი მოგებანი

ობლიგაციის № 060974, სერიის № 16;

ობლიგაციის № 195646, სერიის № 09.

50.0000 მანეთიანი მოგება

ობლიგაციის № 164803, სერიის № 19.

100 მანეთიანი და 250 მანეთიანი მოგებათა მიღება შეიძლება საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე სახელმწიფო ბანკისა და საკავშირო მრეწველობის ბანკების ყველა დაწესებულებაში, რესპუბლიკანური მნიშვნელობის ბანკების დაწესებულებებში, ადგილობრივ საკრედიტო დაწესებულებათა უმრავლესობაში, ფინანსთა კომისარიატის ძაკასო დაწესებულებებში, სადაც კი არსებობენ, სახელმწიფო შრომითი შემნახველ სალაროებში და ფოსტა-ტელეგრაფის დაწესებულებებში მას შემდეგ, რაც მიღებული იქნება „Известия Цик СССР и ВЦИК"-ისა და „Тагильский Рабочий"-ს შემდგომ სამი მორიგი ნომერი აღნიშნულ გაზეთების იმ ნომრების შემდეგ, რომლებშიაც გამოქვეყნებულია ეს ოფიციალური ცხრილი.

ჩვენი ფოსტა

ალექსანდრე ლაზს. გთხოვთ დღესვე შემოიაროთ რედაქციაში.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 55

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. საკურორტო ადგილებში საკურორტო გამოსალების დაწესების შესახებ

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. უფლება მიეცეს სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტებსა და საქალაქო საბჭოებს დააწესოს ხოლმე საკურორტო გამოსალები მე-2 მუხლში აღნიშნულ სამკურნალო ადგილებში და გადაახდევინონ იგი კურორტზე მიმსვლელებს, მე-6 მუხლში ჩამოთვლილ გამონაკლისებით, მთელი საკურორტო სეზონის განმავლობაში.

2. საკურორტო გამოსალების დაწესება ნებადართულია შემდეგ სამკურნალო ადგილებში: 1) ბორჯომში, 2) აბასთუმანში, 3) წაღვერში, 4) ცემში, 5) ტბაში; 7) ახალ-დაბაში, 8) სურამში, 9) კოჯორში, 10) კიკეთში, 11) წყნეთში, 12) მანგლისში, 13) აბულაღში.

3. მეორე მუხლში კურორტების სამკურნალო სეზონის ხანგრძლივობა განსაზღვრულ იქნეს შემდეგნაირად: კოჯორისა, მანგლისისა, აბულაღისა, კიკეთისა, წყნეთისა; ბორჯომისა; სურამისა და აბასთუმანისა—ივნისის 1-დან ოქტომბრის 1-მდე; წაღვერისა, ტბისა; ცემისა და ახალ-დაბისათვის—ივნისის 15-დან ოქტომბრის 1-მდე და ბაკურიანისათვის—ივნისის 15-დან სექტემბრის 15-მდე.

4. საკურორტო გამოსალების რაოდენობა მთელი სეზონის განმავლობაში არ შეიძლება აღემატებოდეს: ბორჯომსა, აბასთუმანსა და წაღვერში 5 მანეთს, ხოლო დანარჩენ კურორტებში, რაც ამა დადგენილების მე-2 მუხლშია აღნიშნული 3 მანეთს თვითეულ მიმსვლელზე.

5. ქვემოდ ჩამოთვლილ პირებს ეძლევათ შეღავათი ამა დადგენილების მე-4 მუხ. თანახმად დაწესებული გამოსალების 50 პროც. რაოდენობით:

ა) მუშებსა და მოსამსახურეებს, „თვითშრომის", კავშირში მყოფ შინამრეწველებსა და ხელოსნებს და მათი ოჯახის წევრებს.

ბ) იმ მშრომელ გლეხებს, რომელთა ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დასაბეგრი წლიური შემოსავალი 400 მან. არ აღემატება, და მათი ოჯახის წევრებს.

შენიშვნა: გამოსალების განაკვეთი ამა მუხლში აღნიშნულ პირთა ისეთი ოჯახის წევრებისათვის, რომელშიაც სამ სულზე მეტია, განისაზღვრება მე-4 მუხ. დაწესებული გამოსალების 25 პროც. რაოდენობით

6. საკურორტო გამოსალებისაგან განთავისუფლებულია:

ა) ის მუშა, მოსამსახურე და გლეხი, რომელსაც სახელმწიფო ორგანო და პროფესიონალური ორგანიზაცია გაჰგზავნის მთავარ საკურორტო სამმართველოს, პროფესიონალური ორგანიზაციებისა და სოციალური დაზღვევის ორგანოების სანატორიუმში, პანსიონატში და დასვენების სახლში;

ბ) ის მუშა და მოსამსახურე და მათი ოჯახის წევრი, რომლის თვიური სამუშაო საშოვარი 120 მან. არ აღემატება;

გ) სოციალურ უზრუნველყოფაზე მიღებული ინვალიდი;

დ) სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან განთავისუფლებული გლეხი;

ე) ბავშვი და მოზარდი 16 წლამდე;

ვ) სახელმწიფო დაწესებულებისა და საწარმოს და მათთან გათანაბარებული დაწესებულებისა და საწარმოს ის მოსამსახურე, რომელიც საკურორტო ადგილას მივა სამსახურის საქმის გამო;

ზ) ის სასეზონო მუშა და მოსამსახურე, რომელიც მუშაობს კურორტის ტერიტორიაზე სამკურნალო სეზონის განმავლობაში;

თ) ის პირი, რომელიც პირადი საქმისათვის მივა კურორტზე ვადით არა უმეტეს 5 დღისა.

7. საკურორტო გამოსალებს საკურორტო ადგილას მისულს გადაახდევინებს მილიციის ორგანო მისული პირის ვინაობის დოკუმენტების საცხოვრებელ დავთარში ჩაწერის დროს.

შენიშვნა. კურორტ აბასთუმანში გამოსალებს ახდევინებს ადგილობრივი საკურორტო სამმართველო.

8. საკურორტო გამოსალების გადამხდევინებელი ორგანო მისცემს გადამხდელს აღნიშნული გამოსალების გადახდის სათანადო ქვითარს.

შენიშვნა 1. სათანადო წარწერა ქვითარის გაცემის შესახებ უნდა გაუკეთდეს გადამხდელების მიერ წარდგენილ ვინაობის დოკუმენტს მეორე გვერდზე.

შენიშვნა 2. საქვითარო დავთარი ზონარგაყრილი და შემოწმებული უნდა იყოს სამაზრო საფინანსო განყოფილების ან საკურორტო სამმართველოს მიერ—კუთვნილებისამებრ.

9. მილიციის ორგანო მოვალეა აკრეფილი საკურორტო გამოსალები შეიტანოს ფინანსთა სახალხო კომისარიატის ადგილობრივ სალაროში თვეში ორჯერ მაინც.

10. საკურორტო გამოსალების შემოსავალი გამოყენებულ უნდა იქნეს მარტოოდენ სათანადო კურორტის სანიტარო-საჰიგიენო პირობების გაუმჯობესებისა და კეთილმოწყობისათვის.

11. საკურორტო გამოსალებით შემოსული თანხები გატარებულ იქნება სათანადო ადგილობრივი ორგანოს ბიუჯეტში და დაიხარჯება თვით ამ ორგანოს მიერ, ამა დადგენილების მე-12 და 13 მუხლებში აღნიშნულ გამონაკლისებით.

12. იმ საკურორტო ადგილას, სადაც გამოსალების აკრეფას უშუალოდ საკურორტო სამმართველო აწარმოებს, სახელდობრ, გამოსალებით შემოსულ თანხებს დახარჯავს თვით საკურორტო სამმართველო ამა დადგენილების მე-10 მუხლში აღნიშნულ ღონისძიებათა განსახორციელებლად.

13. ისეთ კურორტებში, რომლის გამგებლობაც ეკუთვნის როგორც საკურორტო სამმართველოს, ისე ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოს, სახელდობრ: ბორჯომსა, წაღვერსა, ცემსა, ბაკურიანსა და ახალ-დაბაში საკურორტო გამოსალების შემოსავალი თანასწორად განაწილდება ორივე ორგანოს შორის და მთლად დაიხარჯება ამავე კურორტის კეთილმოწყობისათვის ორივე ორგანოს მიერ წინასწარი შეთანხმებით შემუშავებული გეგმისამებრ.

14. ის საკურორტო გამოსალები, რასაც გადამხდელი თავის დროზე არ გადაიხდის, ჩაირაცხება ნარჩენად და გადაჰხდება გადამხდელს საურავის დარიცხვით უდავო წესისამებრ, რაც დადგენილია გადასახადთა გადახდევინების დებულებით.

15. სამაზრო საფინანსო განყოფილება პერიოდულად შეამოწმებს ხოლმე ანგარიშწარმოებას, რაც დაკავშირებულია საკურორტო გამოსალების გადახდევინებასთან და მეთვალყურეობას გაუწევს როგორც მილიციის ორგანოს მიერ აღნიშნული გამოსალების სისწორით გამოანგარიშებას, ისე ამ გამოსალების თავის დროზე ფინანსთა სახალხო კომისარიატის ადგილობრივ სალაროში შეტანას.

16. გადამხდელის მიერ შეტანილი საჩივარი გამოსალებით არასწორი დაბეგვრის შესახებ განიხილება ადგილობრივ გადასახადთა და გამოსალებთათვის არსებული საერთო წესის მიხედვით.

17. ზედმეტად ან უკანონოდ შემოსული საკურორტო გამოსალები დაბრუნებულ უნდა იქნეს საერთო წესით, რაც დადგენილია ადგილობრივი გადასახადთა და გამოსალებთათვის.

18. დადგენილება ესე ძალაში შედის 1928 წლის მაისის 1-დან.

19. აფხაზეთის სსრ-ისა, აჭარისტანის ავტონომიური სსრ-ისა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალური აღმასრულებელ კომიტეტებს უფლება აქვთ დააწესონ აღნიშნული რესპუბლიკებისა და ოლქის ტერიტორიის საკურორტო ადგილებში საკურორტო გამოსალები მე-4 და 5 მუხლ. აღნიშნული უკიდურესი რაოდენობით და ამ გამოსალების გადახდევინებისა და გამოყენების იმ წესით, რაც ამა დადგენილებითაა გათვალისწინებული.

20. ინსტრუქციას ამა დადგენილების შეფარდებისათვის გამოსცემს ფინანსთა სახალხო კომისარიატი, ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მაგ. ვ. სტურუა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. ივანოვ-კავკასკი.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი

ი. ვარძიელი.

1928 წლ. ივლისის 18.
თბილისი—სასახლე.

პარტიული კალენდარი

ამხ. მიხ. კახიანის სახელობის ქართული მუშფაკის ახ. ლენ. კომკავშირის ბიურო-კოლექტივი იუწყება, რომ დღეს, 4 აგვისტოს, საღამოს 5 საათზე შესდგება უჯრედის საერთო კრება, ნაშუადღევის სრულ 3 საათზე კი შესდგება ბიუროს სხდომა.

ბიუროს წევრები და კანდიდატები უნდა გამოცხადდენ დაუგვიანებლათ.

ხახკინმრეწვის კინოები

განთიადი — ამერიკული კინო-რომანი **რობინზონ კრუზო** 1 და 2 სერია ერთად

საზაფხულო ეთერი — ნიკოლოზ კოლინი მხატვრულ სურათში **საყვარელი მაწანწალა**

საზაფხულო დარბაზი — ახალი სურათი **ჭირვეული დედაკაცი** რუფ კლიფორდის მონაწილეობით.

საზაფხულო პალასი — თავგადასავალის კინო-რომანი **რობინზონ კრუზო** 5 და 6 სერია

პროლეტარი ავლაბარი — **„ამერიკელი ქალის თავგადასავალი"** 5 და 6 სერია

ა ნ ო ნ ს ი ამ დღეებში კინო ეთერში მხატვრული სურათი „დ ი დ ქ ა ლ ა ქ შ ი" 0—50

კინო-პალასი

დ ღ ე ს
და
ყოველდღე
უკანასკნელი
5 და 6 სერია
თავგადასავლის
კინო-რომანის

რობინზონ კრუზო

1-ლი სეანსის
დასაწყისი
6 ს. და 45 წუთ.

ნ. 1456

დაიბეჭდა და გამოვიდა
ყოველთვიური
მხატვრულ-ლიტერატურული
და
მეცნიერულ-პუბლიცისტური
ჟ უ რ ნ ა ლ ი

მნათობი № 7

 შ ი ნ ა ა რ ს ი:
მხატვრული-ლიტერატურა: გალაქტიონ ტაბიძე—ეპოქა (გაგრძელება); ვარლამ ჟურული—მეწყერი; ნ. ზომლეთელი ჩვენი გზა; კალე ბობოხიძე—(ლექსი); ვიქტორ გაბესკირია—მაშინ გავექეც მოწოლილ გზნებას; სტეფანე კასრაძე—მებადურთ უბანი (მოთხრობა); გიორგი წერეთელი—გულქან (რომანი, გაგრძელება); იასამანი—სამეგრელოში (ლექსი); ბანოვანი—სამართალს სისხლით მოვძებნი (რომანი); მ გორკი—არტამანოვების საქმე (გაგრძელება); ლეონიდ ანდრეევი—ცხენი სენატში (ვოდევილი ერთ მოქმ.);
კრიტიკა—მეცნიერება—პუბლიცისტიკა; მიხ. კახიანი იდეოლოგიურ ფრონტზე; ვ. ბახტაძე—სადღეისო საკითხები ლიტერატურაში. რაჟდენ კალაძე—ქართული პროლეტარული მწერლობა; ვარლამ ხუროძე—ორი სტილი (გაგრძელება); გრიგოლ რობაქიძე—პისკატორის თეატრი.
ბიბლიოგრაფია: ვ. ხუროძე—„გრიგოლ ორბელიანის ლექსები". გ—ლი—„ი. გრიშაშვილი—ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემა", ს. დ.—ნი—„К. Маркс, Ф. Енгельс. сочинения"—გვერდი 248, ფასი 1 მან. 50 კაპ ჟურნალი დაურიგდა ხელის მომწერთ და იყიდება ყველგან.—
ნ. 1455

მათემატიკის
მასწავლებელი
ი. მაჩაიძე
ამზადებს
ქართულ და რუსულ ენაზე
უმაღლეს სასწავ., მუშფაკ., სპეც. ტეხნიკ., სამხედრ. აკად., 9 წლ. ყველა ჯგუფ. (რუსულსა და მათემატიკაში) საშემოდგომო მისაღებ და განმეორებითი გამოცდებისათვის აგრეთვე 7 წლედისათვის ყველა საგნებში. პლეხანოვის ქ. 25 (შესავალი ჩერნიშევის ქ. № 5) 8—1 ს., 2—6 ს. ერთ მოწაფეს არ უხდის 15 წლისა. ვლებულობთ სრულ კმაყოფაზე და ბინით. 4—1 3189

კბილის ექიმი
დ. ს. რიჟინაშვილი
კბილების და პირის სნეულებათა მკურნალობა. პლომბები; კბილების უმტკივნეულოდ ამოღება, ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა. ავადმყოფთა მიღება: 10—3 საათად. 5—7 საათ. საღ.—მისამართი: გრიბოედოვის ქუჩა № 34 რუსთაველის გამზირის კუთხე

ახალი მუშათა კლუბი
დღეს, 4 აგვისტოს
პოპულიარული სიმფონიური კონცერტი
უკანასკნელი გამოსვლა დირიჟორ ხეიფეცის
პროგრამაში: გლაზუნოვი, რიმსკი-კორსაკოვი, ლიადოვი, ლატოლფი.
დასაწყისი სალამოს 9 საათზე. ბაღში კინო.
სიმფონიურ კონცერტზე აღებული ბილეთები გამოდგება კინოშიც.
შემოღებულია მოწაფის ბილეთები. უამინდობა კონცერტს ხელს არ შეუშლის.
ხვალ, 4 აგვისტოს, მადსაწარმოების მუშათა კლუბში ცნობილი დირიჟორის ხესინის პირველი გასტროლი. ნ. 1450

ლოგოპედი
ტ. კაიშაური
ყოფილი გამგე მოსკოვის მეორე უნივერსიტეტთან არსებულ ლოგოპედ ის კაბინეტისა
ასწორებს
ლოგოპათებს: ენაბლუებს, ენაჩლუნგებს, აფატიკებს და მეტყველების ყოველგვარ დეფექტებს
იღებს: საღამოს, 5—7 საათ.
მისამართი: კ. ცეტკინის ქუჩა № 32

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში
შემომსვლელთა საყურადღებოდ
ახლად შემომსვლელთათვის განცხადებების მიღების უკანასკნელი ვადა არის
ათი აგვისტო
15 აგვისტოდან დაიწყება შემოსასვლელი გამოცდები.
გადასახადი გამოცდებისათვის დაწესებულია 10 მანეთი
ნ. 1457

მიხეილ გედევანიშვილის
სახელობის
სამკურნალო
საწოლებით
ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო კაბინეტი
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომლებიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 25—1

ბაღდადის და მის რაიონში
გაზეთ „კომუნისტ"-ზე
ხელისმოწერას და განცხადებების მიღებას აწარმოებს ადგილობრივ პროფკავშირთა წიგნის მაღაზიაში რწმუნებული
ალექსანდრე აბულაძე
6—1 „კომუნისტი"-ს მთავარი კანტორა.

ქ. ონსა და მის რაიონში
გაზ. „კომუნისტ"-ზე
ხელისმოწერა და განცხადებები
მიიღება სახელგამის განყოფილებაში
ამხ. ს. ბერიშვილთან
5—3. მთავარი კანტორა

ექიმი
კ. ს. ფონ-ირტელი
სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება) ვენერიულ (ტრიპერი) ავადმყოფობას, სიფილსს და მის შედეგებს, ანიხა და ქირურგიულ ავადმყოფობას (სიმსივნე. ბუასილი) ელექტრომკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღის 12 საათამდე და საღ. 4 ნახ. საათ.—7 საათამდე. ქალების მიღება დღის 10—12 საათამდე.
პლეხანოვის პროსპ. № 10

ქალ. ქუთაისში
გაზ. „კომუნისტ"-ზე ხელისმოწერა
ბინაზე მიტანით მიიღება კონტრაგენტ
მიხა ტყაბლაძესთან
როზა ლიუქსემბურგის ქ. 64
6—1 „კომუნისტი"-ს მთავარი კანტორა.

ექიმი
ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული. საშარდე—სასქესო ორგანოების სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 ს. ქალებისათვის ცალკე შესავალი, სასასტუმრო „ევროპას" (ყოფ. „ნოეს") პირდაპირ ჩოდრიშვილის შესახვევი (პლეხანოვის შესახვევი) № 8. 25—1

ექიმი
გ. ო. ზანდუკელი
შინაგანი და ნერვიული ავადმყოფობანი. ელექტრო-სინათლით სამკურნალო კაბინეტი.
ავადმყოფების მიღება გარდა შაბათისა და კვირა უქმე დღეებისა საღამოს 7-დან 8 საათამდე. ლენინის ქ. (ყოფილი ოლღას ქ.) № 11.
ტელ. 4—82. 25—1

ქ. ჭრებალოში და მის რაიონში
გაზეთ „კომუნისტ"-ზე
ხელისმოწერა და განცხადებები
მიიღება საკრედიტო ამხანაგობის ბუხჰალტერ
მხ. კოტე ცხვედიანთან
6—1 „კომუნისტი"-ს მთავარი კანტორა

ექიმი
გ. მ. ფხალაძე
გადავიდა მარტის ქუჩაზე № 6 (ყოფ. ბოგოლსოვის) ჩასახვევი ოლღის ქუჩიდან. სპეციალ. სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი.
იღებს: დილის 7—8 საათამდე
საღამოს 7—9 კაცებს, 6—7 ქალებს.

ექიმი
ს. ა. გალუსტიანი
შინაგანი, კანის და ვენერიული სნეულებანი (მწვავე და ქრონიკული ტრიპერი) სიფილისის მუწუკები, ავადმყოფების მიღება დილის 9-დან ნაშუადღევის 1 საათამდე, ქალების დილის 11-დან 1 საათამდე და საღამოს 5—7-მდე. კლარა ცეტკინის ქ. № 77 (ყოფ. ელისაბედის ქ.) ფოსტის გვერდით. 25—1

თმის მკურნალობა
საექიმო-კოსმეტიკა, ელექტრო-სინათლით სამკურნალო კაბინეტი
ნ. გ. კანტორ-ჯვირისა
მიღებულია საზღვარგარეთიდან ახალი საშუალებები თმების სამკურნალოთ და ფერის მშვენებისა, მუწუკების, ჭორფლის, ტალის, ხეჭეჭის და სხვ. გასაქრობათ. ვაძლევ საექიმო რჩევა-დარიგებას პირის კანის მოვლისა და თვითმასაჟის შესახებ საზღვარ-გარეთის მეთოდების მიხედვით. ფრეილინის ქ. № 1. პაციენტების მიღება 11-დან 3-მდე და საღამოს 6-დან 8 საათამდე. 25—1

დაიკარგა: წითელ არმიელის წიგნაკი კოსტა კვირიკაშვილის სახელზე ჩ. გ. 3206

დაიკარგა: პირადობის მოწმობა № 104 ბაგრატი ზურაბის ძე გაბუნიას სახელზე, ჩ. გ. 3207

დაიკარგა: ზესტაფონის რკ. გზის სკოლის 7-წლედის კურსის დასრულების მოწმობა № 290, იოსებ რაფიელის ძე ბაღდავაძის სახელზე, ჩ. გ. 3205

დაიკარგა: სამხედრო სამსახურის წიგნაკი № 347 ფ. № 6 ვენტი ივანეს-ძე ხვიჩიას სახელზე, ჩ. გ. 3207

დაიკარგა: პირადი წიგნაკი ფ. № 4 № 90 ზოსიმე (ონისიმე) ლუარსაბის ძე გაგოშიძის სახელზე ჩ. გ. 3207

დაიკარგა: პირადი წიგნაკი ფ. № 4 № 29 აკაკი ... გიორგობიანის სახელზე, ჩ. გ. 3207

დაიკარგა: მოწმობა საბუთებით: პირადობის მოწმობა გაცემული ა.-კ. რკ. გზ. პროფკავშირის საგზაო კომიტეტის მიერ № 71-1, სასურსათო-სამკვებო ბარათი და რკ. გზ. კავშირის წიგნაკი ალ. (შურა) კაპარავას სახელზე, ჩ. გ. 3208

პოლიგრაფტრესტის მე-5 სტამბა, კამოს ქუჩა № 68.